ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 აპრილი **შაბათი** 2013
№092 (14 008) ფასი 80 თეთრი

# საოცარი დილა

გორელებმა ზესტაფონში 3:0 იმარჯვეს და დინამოს (2:0 განმუხურში) მისდევენ! სიონი (0:3 ვიტ ჯორჯიასთან) საშიშ ზონაშია!

2-3



ნათან ჟუნიორმა ზესტაფონთან დუბლი შეასრულა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



12

## საქართველოს ნაკრების ჯგუფიდან გასვლა გმირობის ტოლფასი იქნება!

ესპანეთი

## იკერის დემონტაჟი

კასილიასი მზადაა, მაგრამ ჟოზე მაინც დიეგო ლოპესს ენდობა. სანამ გრანდები ჩემპიონთა ლიგისთვის ვარჯიშობენ, სხვების ყოფნა-არყოფნა წყდება

5-9



ინგლისი

## რაფა ენფილდზე ბრუნდება!

ბენიტესს ლივერპული ძალიან უყვარს, მაგრამ...

იტალია

## დიდი იტალიური ჯახი

იუვე-მილანი ბალოს გარეშე და ცხელი დერბი

გერმანია

## ოცნებები ევროპაზე და გავარდნის შიში

დორტმუნდის გმირი კი შალკეში გადადის...







# ბოსტონი ჩეჩნებს აუფეთქებიათ!

ერთი დახვრეტილია, მეორეს ეძებენ...

16

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXVIII ტური

19.04. ზესტაფონი. ღ. აბაშიძე
1000 მაყურებელი

**ზესტაფონი 0**
**დილა 3**

0:1 მოდებაძე (42. ალადაშვილის პასით), 0:2 ნათან ჟუნიორი (54. გოგუას პასით), 0:3 ნათან ჟუნიორი (79. მაისურაძის პასით)

| ზესტაფონი 4-1-4-1 | დილა 4-4-1-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | შეყრილაძე |
| თორ. გრიგალაშვილი | ალადაშვილი |
| ეილიჩი | კვახაძე |
| თედ. გრიგალაშვილი | თომაშვილი |
| ბაგოშიძე | კვირკველია |
| გორგიაშვილი | ლეონარდო |
| კუტალია | ი. მაისურაძე |
| ბაბუნაშვილი | გვალია |
| პეტკოვი | გოგუა |
| ენდელაძე | ნათან ჟუნიორი |
| ბოტი დემელი | მოდებაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | ვ. ივანაუსკასი |

**ზესტაფონი**
46. გორგიაშვილი- **აფციაური**
56. ენდელაძე- **კვერნაძე**
76.კუტალია- **რაჟამაშვილი**
*სათადარიგოები:* **მეშველიანი, ბენაშვილი, შარიქაძე, სამუშია**

**დილა**
77.მოდებაძე- **არზიანი**
82.ალადაშვილი- **ბექვაია**
83.გოგუა- **კახელიშვილი**
*სათადარიგოები:* მამალაძე, თოთაძე, ჯიშკარიანი, აბურჯანია
*არბიტრი:* ა. ნონიკაშვილი
*გაფრთხილება:* ალადაშვილი (59)

# დილას საოცარი მატჩი


ანგარიში ირაკლი მოდებაძემ გახსნა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მიმდინარე ჩემპიონატში გორელები თბილისის „დინამოს" პირველობას ეცილებიან და მათთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს, ამიტომაც გუშინდელ შეხვედრას განსაკუთრებული მობილიზებით შეხვდნენ. „დილამ" „ზესტაფონთან" მატჩში მაქსიმუმი გაილო და მართლაც შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. სტუმრებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და ზესტაფონიდან მეტად საჭირო სამი ქულა წაიღეს. რაც შეეხება „ზესტაფონს", ბოლო პერიოდში **კახა კაჭარავას** გუნდი ძალიან სუსტად გამოიყურება, მათ ზედა ექვსეულში ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგია და გულშემატკივრებიც განაწყენებული ჰყავს. გუშინდელი ფიასკოს შემდეგ ზესტაფონური პუბლიკა მთავარი მწვრთნელის გადადგომას ითხოვდა, თუმცა კახა კაჭარავას მდგომარეობის გამოსწორების იმედი აქვს და გუნდის დატოვებას არ აპირებს.

შეხვედრა გორელების აქტიურობით დაიწყო. სტუმრები ბევრს მოძრაობდნენ, მათი ნახევარმცველები ხშირად ცვლიდნენ ფლანგებსა თუ პოზიციებს და ამით ზესტაფონელთა რიგებში დაბნეულობის შეტანას ცდილობდნენ. პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევაც გორელებმა განახორციელეს, თუმცა **ლეონარდო რამოსის** დარტყმის გაუვნებელყოფა **როინ კვასხვაძეს** არ გასჭირვებია. საწყისი მღელვარების შემდეგ მასპინძლებმაც გამოასწორეს თამაში და გორელთა კარისკენ სახიფათო იერიშიც განახორციელეს. მარჯვენა ფლანგზე **ლევან კუტალიამ** ითამაშა კარგად, მეურვეებს დაუსხლტა და საჯარიმოში **ბოტი დემელის** მისამართით ჩააწოდა, კოტდივუარელმა თავით ახლი მანძილიდან დაარტყა, მაგრამ ააცილა.

დაახლოებით 25-ე წუთიდან კვლავ გორელები დაეუფლნენ უპირატესობას, ახლა მათ ფლანგები აამოქმედეს, განაპირა მცველები **კახა ალადაშვილი** და **დავით კვირკველია** ხშირად ერთვებოდნენ შეტევებში და მდგომარეობასაც ამწვავებდნენ. აქტიური იყო **ირაკლი მაისურაძეც**, რომლის შორეულმა ძლიერმა დარტყმამ ადგილობრივი პუბლიკა საკმაოდ აანერვიულა. ერთწუთიან მონაკვეთში სტუმრებმა ორი მეტად სახიფათო შეტევა განახორციელეს: კვირკველიას უძლიერესი დარტყმა კვასხვაძემ თავგანწირული ნახტომით მოიგერია, კუთხური ალადაშვილმა ჩააწოდა, ბურთი ერთ-ერთ ზესტაფონელ მცველს მოხვდა და მცველთაგან უყურადღებოდ მიტოვებულ ლეონარდო რამოსს მიუვიდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ გორელთა ლეგიონერმა ახლო მანძილიდან სასწაულებრივად ააცილა. სტუმართა აქტიურობამ ნაყოფი ტაიმის მიწურულს გამოიღო. ალადაშვილის ფლანგური შეტევისა და პასის შემდეგ **ირაკლი მოდებაძემ** ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

კახა კაჭარავამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე **თორნიკე გორგიაშვილის** ნაცვლად მოედანზე **თორნიკე აფციაური** შეიყვანა. გამოცდილი ნახევარმცველი აქტიურად ჩაერთო თამაშში, მისი ჩაწოდების შემდეგ ბოტი დემელი ცდილობდა კარში დარტყმას, მაგრამ სტუმართა მცველებმა მდგომარეობა დროულად განმუხტეს. მალე ინიციატივა კვლავ **ვალდას ივანაუსკასის** გუნდის ხელში გადავიდა. გორელებმა ბურთი დაიჭირეს და მეტოქე ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს. ბევრს მოძრაობდა და ძალიან ნაყოფიერი იყო **გოგიტა გოგუა**, რომლის შესანიშნავი გადაცემა **ნათან ჟუნიორმა** ასევე უნაკლოდ დააგვირგვინა, მან ნახტომში თავით გაიტანა და მასპინძლები ისევ დაამწუხრა. მეორე გოლის შემდეგ გორელებმა თამაში დააწყნარეს და მეტოქეს შეტევების საშუალებაც მისცეს, თუმცა თავად მწვავე კონტრშეტევებს ავითარებდნენ და ზესტაფონელებს ასე ავიწროვებდნენ. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე სტუმრებმა მესამე გოლიც გაიტანეს: ირაკლი მაისურაძის გამჭოლი გადაცემა ნათან ჟუნიორმა ერთი შეხებით დააგვირგვინა. „ზესტაფონის" საშინელი თამაშის გამო ადგილობრივი გულშემატკივრები აღშფოთებას ვერ ფარავდნენ, მესამე გოლის შემდეგ მაყურებლებმა სტადიონიდან გასვლა დაიწყეს. დარჩენილ დროში ივანაუსკასის გუნდს კიდევ შეეძლო გატანა, თუმცა **გიორგი კახელიშვილის** ძლიერი „მოჭრილი" დარტყმა კვასხვაძემ მოიგერია...

### მატჩის შემდეგ

**ვალდას ივანაუსკასი:** „ჩემპიონატს ინტრიგა რომ შეენარჩუნებინა, ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო და საბედნიეროდ, მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ. მოგებაცაა და მოგებაც, ჩემმა ფეხბურთელებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს და მეტოქეს ლამაზ სტილში აჯობეს."

**კახა კაჭარავა:** „მეტოქემ გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა... გულშემატკივართა უკმაყოფილება გასაგებია, მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც უნდა გაითვალისწინონ, როცა გუნდში 12 ახალი ფეხბურთელია, მათი შეთამაშება დროს მოითხოვს. წლეულს ჩვენი მიზანი ზედა ექვსეულში მოხვედრა იყო და ეს შევძელით, გუნდის შენება რთული პროცესია და ასეთ ჩავარდნებს ველოდით კიდეც. სამომავლოდ, გუნდში ბევრი რამ შეიცვლება."

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

19.04. განმუხური. ცენტრალური.
900 მაყურებელი

**ზუგდიდი 0**
**დინამო (თბ) 2**

0:1 გველესიანი (60), 0:2 ხმალაძე (90)

| ზუგდიდი 4-2-3-1 | დინამო 4-2-3-1 |
|---|---|
| ძაგანია | ლორია |
| ქვარცხავა | სეთურიძე |
| აქუბარდია | გ. კვარაცხელია |
| აფაქიძე | შაშიაშვილი |
| ანანია | გლიშიჩი |
| რ. ონიანი | გრაიციარი |
| სიხარულია | ძარია |
| შ. ლომია | ხმალაძე |
| ეხვაია | ალვარო |
| ხუბუა | მერებაშვილი |
| გაბედავა | ჩისკო |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | დ. უჯრინი |

**ზუგდიდი**
78. კანკია – **კუკავა**
89. ხუბუა – **მალანია**
90. რ. ონიანი – **კობერიძე**
*სათადარიგოები:* მაქაცარია, ხუხია, ქომეთიანი, ფარჯიკია

**დინამო**
21. შაშიაშვილი – **გველესიანი**
90. ჩისკო – **დვალი**
*სათადარიგოები:* ზარქუა, კოტო, პაპავა, მენდი, ტატანაშვილი
*გაფრთხილება:* სეთურიძე (88)

## I-VI ადგილები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო(თბ) | 28 | 20 | 6 | 2 | 73-20 | 66 |
| 2. დილა | 28 | 20 | 2 | 6 | 50-19 | 62 |
| 3. ტორპედო | 28 | 16 | 7 | 5 | 47-21 | 55 |
| 4. ჩიხურა | 28 | 15 | 6 | 7 | 41-28 | 51 |
| 5. ზესტაფონი | 28 | 11 | 6 | 11 | 31-27 | 39 |
| 6. ზუგდიდი | 28 | 10 | 6 | 12 | 28-42 | 36 |

**XXIX ტური**
**27 აპრილი, შაბათი**
ჩიხურა-ზუგდიდი
ტორპედო-ზესტაფონი
დილა-დინამო (თბ)

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 21 |
| დვალი (დინამო თბ) | 17 |
| ს. ლომია (მერანი) | 16 |

19.04. 2013 წ. ივანწმინდა
700 მაყურებელი

**ჩიხურა 1**
**ტორპედო 1**

0:1 ბერიაშვილი (65), 1:1 კვასხვაძე (74)

| ჩიხურა | ტორპედო |
|---|---|
| სომხიშვილი | მიგინეიშვილი |
| კაშია | რიგვავა |
| ე. საჯაია | ზ. ჯელიძე |
| რეხვიაშვილი | ტაბატაძე |
| ჩიკვაიძე | გ. გურული |
| ლომაშვილი | დათუნაიშვილი |
| დიღმელაშვილი | გიგაური |
| ოდიკაძე | დოლიძე |
| ნ. კვასხვაძე | ტულუში |
| კირკიტაძე | ე. გრიგალაშვილი |
| დეკანოიძე | ბერიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფრუიძე | გ. გეგუჩაძე |

**ჩიხურა**
68. კირკიტაძე – **გოცირიძე**
76. ჩიკვაიძე – **დ.ბოლქვაძე**
89. ლომაშვილი – **ქიმაძე**
*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, გუშარაშვილი, ზაბახიძე, ლ. ჭელიძე.

**ტორპედო**
54. დოლიძე – **საბანაძე**
69.ტულუში – **კუხიანიძე**
80. გრიგალაშვილი – **ფანცულია**
*სათადარიგოები:* ქვილითაია, ცინცაძე
*გაფრთხილება:* ჩიკვაიძე (4), კაშია (44), გიგაური (76), გურული (90+1)
*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია

# თამაში ბრწყინვალე, ფრე ლოგიკური

ბასაგების მიზეზის გამო, სიფრთხილის ფონზე მიმდინარე მართლაც ბრწყინვალე მატჩში ოდნავ უპირატესობას (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) „ჩიხურა" ფლობდა, მაგრამ ეს „ოდნავ" საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის.

მიზეზი სიფრთხილისა კი ის გახლდათ, რომ ორივე გუნდი (გაცილებით უკეთესი შანსით „ტორპედო") საპრიზო ადგილებისათვის იბრძვის, რისთვისაც თავი „შეაკლეს" ერთმანეთს, ამ სიტყვის კარგი გაგებით.

არადა, მასპინძლები, გამარჯვების შემთხვევაში, შანსს თითქმის ათანაბრებდნენ, სტუმრებს კი საქმე შედარებით ურთულდებოდათ.

ალბათ, მოსალოდნელი დაძაბულობის შედეგებისაგან დაზღვევის მიზნით, მსაჯმა **ვადაჭკორიამ** უკვე მეოთხე წუთზე გააფრთხილა ჩიკვაიძე სავსებით ჩვეულებრივი ჯარიმისათვის, თუმცა, იმავე წუთზე, ვერ შენიშნა დათუნაიშვილის გაცილებით მეტი უხეშობა. სხვა შემთხვევაში არბიტრი მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

ქუთაისელთაგან მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გოლის გამტანი ბერიაშვილი იყო, საჩხერელთაგან კი, მიუხედავად უამრავი საგოლე მომენტის გაფანტვისა, მაინც დეკანოიძე გამოირჩეოდა, რომელმაც საწყის წუთებშივე რამდენჯერმე ვერ გაისწორა მიზანი.

სტუმრები ჩვეული გრძელი გადაცემებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მასპინძლები კი - კომბინაციური თამაშით, რასაც ბოლო ფაზაში უზუსტობა მოსდევდა.

პირველი ყველაზე სახიფათო მომენტი, მე-15 წუთზე მაინც რიონისპირელებმა შექმნეს - ნარიკოშეტალი ბურთი ძლივს მოიგერია კუთხურზე სომხიშვილმა. მე-19 წუთზე გოლი კი გავიდა, მაგრამ მას შემდეგ, როცა ანალოგიურ მომენტში მოწინააღმდეგის თავდამსხმელმა კინაღამ ხელი წააცალა „ჩიხურას" მეკარეს, ბუნებრივია, გოლი არ ჩაითვალა. უმალვე დეკანოიძის უზუსტობა რომ არა, გიგინეიშვილი უძლური იქნებოდა. ასევე ვერ იხსნიდა გუნდს გოლისაგან კაშიას მიერ 38-ე წუთზე დარტყმული ჯარიმის შემდეგაც, რომელიც მილიმეტრებით გადაცდა ხარიხას.

მეორე ტაიმის მე-7 წუთზე გოლის გაუტანლობა უკვე არალოგიკური იყო: ლომაშვილის უზუსტესი ჩაწოდება, დეკანოიძის უძლიერესი თავური დარტყმა და გიგინეიშვილის ნახტომი - სასწაული!

არალოგიკური იყო უგოლობა მე-10 წუთზეც: მოედანზე ახალშემოსულმა საბანაძემ ცარიელ კარში ზუსტად კი გაგზავნა ბურთი, მაგრამ იმდენად ძლიერად ვერა, რომ კაშიას თავგანწირვა უშედეგო ყოფილიყო. 65-ე წუთამდე უგოლო ხიფათს ხიფათი მოსდევდა ორივე კართან, სანამ ბერიაშვილმა არ გამოიყენა შედარებით უწყინარი სიტუაცია - 1:0.

დამარცხების წინაშე მდგარმა საჩხერლებმა შეტევები გააორმაგეს და ზუსტად 9 წუთში ყველაფერი ლოგიკას დაექვემდებარა: დეკანოიძის საიუველირო პასი, კვასხვაძის ასეთივე დარტყმა და 1:1.


საჩხერლებმა და ქუთაისელებმა ქულები გაიყვეს

თამაშის დასრულებამდე დარჩენილ დროში ორჯერ დეკანოიძე, ერთხელ გოცირიძე ვალდებულები იყვნენ გაეტანათ. შესაძლებლობა სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ...

### მატჩის შემდეგ

**სოსო ფრუიძე:** „იმდენად საინტერესო, ლამაზი და ვაჟკაცური თამაში იყო, რომ ცოდვა იქნებოდა რომელიმეს დამარცხება. მადლობა ორივე გუნდის ბიჭებს თავდადებისათვის. დაფიქსირებული ანგარიშით ქუთაისლებმა ჩვენზე მეტად იხეირეს - ოთხქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნეს, მაგრამ ფარ-ხმალს არ დავყრით, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ეს არა მარტო თასს ეხება."

**გია გეგუჩაძემ** რატომღაც თავი შეიკავა კომენტარისაგან.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერედან

## VII-XII ადგილები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 28 | 12 | 7 | 9 | 27-29 | 43 |
| 2. მერანი | 28 | 8 | 3 | 17 | 27-48 | 27 |
| 3. დინამო (ბთ) | 28 | 7 | 5 | 16 | 33-49 | 26 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 28 | 6 | 8 | 14 | 20-38 | 26 |
| 5. სიონი | 28 | 6 | 7 | 15 | 20-45 | 25 |
| 6. კოლხეთი | 28 | 2 | 7 | 19 | 15-46 | 13 |

**XXIX ტური**
**27 აპრილი, შაბათი**
სიონი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–დინამო (ბთ)
მერანი–მეტალურგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXVIII ტური

19.04. თბილისი. ბასა. 300 მაყურებელი

სიონი 0

ვიტ ჯორჯია 3

0:1 ჯავაშვილი (6), 0:2 ადამაძე (45. კორიფაძის პასით), 0:3 ვასაძე (45+2)

| სიონი 4-4-2 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | ნ. დაუშვილი |
| უგრეხელიძე | მჭედლიშვილი |
| სვანიძე | კასრაძე |
| ქემოკლიძე | ადამაძე |
| ორბელაძე | უბილავა |
| საპირი | ვასაძე |
| ჩივაძე | გურეშიძე |
| კლიმიაშვილი | კორიფაძე |
| ელიავა | ჯავაშვილი |
| მიქუჩაძე | ჯანელიძე |
| ახალაია | კუხალეიშვილი |
| მწვრთნელი ა. ჯელაძე | მწვრთნელი ზ. ბერიძე |

**სიონი**

24. კლიმიაშვილი – **ლექვთაძე**
61. ჩივაძე – **ცხადაია**
74. ორბელაძე – **ბიგილეიშვილი**

*სათადარიგოები:* მერლანი, ჯოჯუა, მანწკავა, ჰაიდუჩეკი

**ვიტ ჯორჯია**

71. კუხალეიშვილი – **ე. ლობჯანიძე**
75. ჯავაშვილი – **სოფრომაძე**
84. ჯანელიძე – **დავლაშელიძე**

*სათადარიგოები:* რეჭია, გოგიაშვილი, იაშვილი, ლიბრაძე

*გაფრთხილება:* ჯანელიძე (27), მჭედლიშვილი (49), ქემოკლიძე (58), ჯავაშვილი (66), უბილავა (77)

*გაძევება:* მჭედლიშვილი (89)

*არბიტრი:* ჯ. ხორავა

# ნახევარფინალიდან გასავარდნ ზონამდე

"სიონი" ბოლო დროს თითქოს აღმავლობის გზაზე იდგა – საქართველოს თასის მეოთხედფინალიდან ქუთაისის "ტორპედო" გააგდო, რის შემდეგაც უმაღლეს ლიგაში მარტვილის "მერანს" სძლია. ყოველივე ზემოთქმულმა და "ვიტ ჯორჯიას" ბოლოდროინდელმა უფერულმა ასპარეზობამ წყვილის ფავორიტად ბოლნისელები აქცია, მაგრამ "ბასაზე" სულ სხვაგვარი შინაარსისა და შედეგის მატჩი ვიხილეთ.

0:3 ის ანგარიშია, რომელიც გამარჯვებულის თაობაზე კითხვის ნიშნებს არ ტოვებს. "ვიტ ჯორჯიამ" შეხვედრა მართლაც ჩაატარა მეტოქეზე მთელი თავით უკეთ და სრულიად სამართლიანადაც მიითვალა სამი ქულა. აღსანიშნავია, რომ ეს მიმდინარე წელს ვეტერინართა მიერ მოგებული პირველი ოფიციალური შეხვედრაა.

სწრაფმა გოლმა სტუმართა გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა – მე-6 წუთზე მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა **ოთარ ჯავაშვილმა** მოჭრილი დარტყმით დალაშქრა ქვემოქართლელთა კარი.

ვერ ვიტყვით, რომ **არმაზ ჯელაძის** გუნდს სიტუაციის სათავისოდ შეტრიალებისთვის არაფერი გაუკეთებია. ანგარიშის გახსნიდან ცოტა ხანში **კოკა მიკუჩაძეს** ოდნავ უმტყუნა მიზანმა – ბურთი მეტოქის კარის ბადეს გარედან გაარტყა. ამას ვიტელი **გურამ გურეშიძის** დარტყმა მოჰყვა, რომელიც "სიონის" მეკარე **მინდია ბობღიაშვილმა** მოიგერია.

ყველაზე საინტერესო ამბები პირველი ტაიმის მიწურულს განვითარდა. 45-ე წუთზე **გიორგი კორიფაძის** მიერ მოწოდებულ კუთხურს **გურამ ადამაძის** ზუსტი თავური მოჰყვა, ორ წუთში კი ბობღიაშვილის მიერ მოგერიებული ბურთი **გიორგი ვასაძეს** მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს მისადგომებიდან ერთი შეხებით ულამაზესი გოლი გაიტანა.

შეხვედრის მეორე ნახევარში "სიონმა" თამაშის გადასარჩენად ბევრი ვერაფერი მოიმოქმედა. **ზურაბ ბერიძის** გუნდმა თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვა და საქმე სასურველ დასასრულამდე მშვიდად მიიყვანა.

"სიონი" გასავარდნ ზონაში მოექცა, მაგრამ ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში ისეთი დაძაბული კონკურენციაა, ვითარება კიდევ შეიძლება შეიცვალოს. უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი "სიონსაც" აქვს და "ვიტ ჯორჯიასაც", თუმცა გამორიცხული არ არის, ძალთა გადანაწილებაში ამ მატჩის შედეგმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

19.04. ფოთი. ფაზისი

კოლხეთი 0

მეტალურგი 0

# ქობულეთური კომპლექ(ვ)სი

19.04. ქობულეთი. „ჩელე-არენა". 500 მაყურებელი

დინამო (ბთ) 6

მერანი 0

1:0 კოშკაძე (11. ჩიმაკაძის პასით), 2:0 გურული (14. კიკნაველიძის პასით), 3:0 ჩიმაკაძე (30), 4:0 ჩიმაკაძე (65. გაბუნიას პასით), 5:0 ქორიძე (72. გურულის პასით), 6:0 მუჯირი (89)

| დინამო (ბთ) 4-1-4-1 | მერანი 4-2-3-1 |
|---|---|
| პიტსანი | შეროზია |
| ფარტენაძე | გეგეჭკორი |
| გ. ჟვანია | იობაშვილი |
| ზ. ლობჟანიძე | ლ. ლონღაძე |
| გაბუნია | მელიავა |
| მახარაძე | დიდავა |
| ა. გურული | ბუაია |
| კოშკაძე | ფონიავა |
| მუჯირი | ხუბუა |
| კიკნაველიძე | კუჭუხიძე |
| ჩიმაკაძე | ს. ლომია |
| მწვრთნელი გ. გურული | მწვრთნელი მ. ჟვანია |

**დინამო (ბთ)**

71. გაბუნია - **ქორიძე**
77. ჩიმაკაძე - **აბუსელიძე**
77. გურული - **ბერიძე**

*სათადარიგოები:* ტაკიძე, გოგიტიძე, დიასამიძე, მაკარიანი

**მერანი**

26. მელიავა - **ზაქრაძე**
46. ფონიავა - **შარვაძე**
55. კუჭუხიძე - **ტორონჯაძე**

*სათადარიგოები:* მუჯირიშვილი, ქარქუზაშვილი, გუგუნაშვილი, ბანება

*გაფრთხილება:* მახარაძე (83)

*არბიტრი:* მ. ბეუქლიშვილი

უკვე მეორედ, ქობულეთური ჰაერი მარტვილის „მერანმა" ცუდად დასცადა — **მალხაზ ჟვანიას** განწრთნილმა გუნდმა „ჩელე-არენაზე" ამ სეზონში ორივე შეხვედრა დიდი ანგარიშით წააგო, თანაც ისე, რომ ერთხელაც ვერ გაუტანეს ფორმალურ მასპინძლებს, ხოლო საკუთარ კარში ჯამურად 10 გოლი მიიღეს. თუ წინა წაგებისას (0:4) მარტვილელების უიღბლობაზე შეიძლებოდა გველაპარაკა, რადგან შედეგი თამაშის მიმდინარეობას ზუსტად ნამდვილად ვერ ასახავდა, ამჯერად სტუმრებმა ყველაფერი თავიანთ თავს უნდა დააბრალონ.

პრინციპში, „მერანს" შეტევაში ზურგი ახლაც აქცია იღბალმა და უფრო მეტად, **ივან პიტსანის** უშეცდომო თამაშმა, მაგრამ რას აკეთებდნენ სტუმარი მცველები გაშვებული გოლებისას, ძნელი სათქმელია. ფაქტია, ასე გარღვეული და იოლად დასაჩაგრი „მერანის" უკანა ხაზი აქამდე არ გვენახა. ამ წაგებით სტუმრებმა მდგომარეობაც გაირთულეს და გამანადგურებელი ანგარიში ფსიქოლოგიურად რამდენად გატეხს ამ სიმპათიურ გუნდს, დარჩენილ მატჩებში გამოჩნდება.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, მათ ამ სეზონში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს და თუნდაც სტუმართა დაცვა ასე არ გარღვეულიყო, გამარჯვებას უთუოდ **გია გურულის** შეგირდები იმსახურებდნენ, რომლებმაც კონკურენტზე იოლი გამარჯვებით განწყობა აშკარად გამოიკეთეს.

მატჩის დასაწყისი ისეთი იყო, სტუმრებს ცუდს არაფერს უქადდა, მით უფრო — ასეთ განადგურებას, მაგრამ სამწუთიან მონაკვეთში „მერანის" მცველების „ჩაძინება" ბათუმელებმა ორ გოლად აქციეს — ჯერ **ბესიკ ჩიმაკაძემ** ქუსლით კარგად დაუტოვა **ალეკო კოშკაძეს**, ხოლო ძირითადში გამწესებულმა **ნოდარ კიკნაველიძემ** (მან მწვრთნელს იმედები გაუმართლა და შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ) მარცხენა ფლანგზე აიწყვიტა და მარჯვნიდან შემორბენილი **სანდრო გურულიც** კარგად „მოძებნა" — შედეგად, მე-14 წუთისთვის უკვე 2:0 იყო.

ამან სტუმრები დააბნია, მათ ხეირიანი შეტევაც ვერ განახორციელეს. „მერანის" თავკაცმა მარცხენა მცველი შეცვალა, მაგრამ ახლა უკვე მისი გუნდის მარჯვენა ფრთა ააწიოკა კიკნაველიძემ **ჯემალ გაბუნიასთან** ერთად, თუმცა აქედან დინამოელებმა სარგებელი ვერ ნახეს. სამაგიეროდ, მათ ისევ სტუმრები „დაეხმარნენ" — დაცვის მორიგი მიუტევებელი შეცდომა ჩიმაკაძემ შეირგო და ანგარიშს სოლიდური სახე მისცა, 3:0.

მეორე ტაიმის დასაწყისი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მარტვილელები სწრაფი გოლის გატანას შეეცადნენ, თუმცა ვერ მოახერხეს. ამის ყველაზე კარგი შანსი **საბა ლომიას** ორჯერ მიეცა — პირველ შემთხვევაში, იგი ერთბაშად რამდენიმე მცველს გასცდა და მეკარესთან პირისპირ შეყრილმა პიტსანს ველარ აჯობა, როგორც ორი წუთის შემდეგ, როცა თავით სახიფათოდ ურტყამდა. იქვე ბათუმელთა მეკარემ კიდევ ორი საშიშროება განმუხტა.

ამ დროში უფრო ფასეული „დინამომ" შექმნა, როცა ჩიმაკაძე მეკარესთან ერთი ერთზე გავიდა და დარტყმა იჩქარა, თუმცა ბათუმელთა ფორვარდმა დუბლი მალევე შეასრულა - გაბუნიას ჩაწოდებული მეკარეს ბრძოლაში თავით მოუგო და ცარიელ კარში გატანა აღარ გასჭირვებია, 4:0.

ამის მერე „მერანი" მთლიანად მოიშალა და მის განადგურებას საბოლოო სახე **ვაჟა ქორიძემ** და **ამირან მუჯირმა** მისცეს — პირველმა მოედანზე შესვლიდან წამებში უფროს გურულს ნდობა, ხოლო სანდროს კარგი გადაცემა დაუფასა; ბათუმელთა კაპიტანმა კი მისთვის ჩვეული ულამაზესი გოლი გაიტანა.

**მათე გურული**
**ქობულეთიდან**

პირველი ლიგა. ბ ჯგუფი

# იარეთ ლოკომოტივის მატჩებზე და ისიამოვნეთ!

შარშან გაზაფხულზე ყველა ვხარობდით, როცა **ვასილ მაისურაძის** დამოძღვრილმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა და ევროპის ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვდა! იმ გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობა დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატში, კერძოდ, პირველი ლიგის „ლოკომოტივში" ასპარეზობს და მათი თამაშის ხილვა ერთი სიამოვნებაა! თანაც, ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ არის და „ბენდელას" სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმაც (უმაღლესი ლიგის ბევრ მატჩზე ასეთი აუდიტორია სანატრელია) ალალი ტაშით გააცილა „ლოკომოტივის" ახალგაზრდა ფეხბურთელები. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში თვალშისაცემი იყო სტუმართა ორგანიზებული თამაში: დაცვიდან ბურთი სწრაფად და, რაც მთავარია, ზუსტად ამოჰქონდათ, მაქსიმალურად ცდილობდნენ შეტევების ფლანგებზე გაშლას და 90 წუთის განმავლობაში მეტოქეს უმკაცრესი პრესინგიც (თანაც, ხშირ შემთხვევაში, მოწინააღმდეგის ნახევარზევე) შესთავაზეს. ფაქტია, რომ ამ ნიჭიერ ბიჭებს მწვრთნელის ხელიც ეტყობათ: „ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიაში ნამუშევარმა **ჟერარდ სარაგოსამ** თამაშის განმავლობაში სწორი კორექტივები (გნებავთ, გადაადგილებები) შეიტანა მატჩის საბოლოო შედეგიც, ალბათ, ლოგიკური იყო. არადა, ამ წყვილის უპირობო ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ. გამოცდილი სპეციალისტის, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი სავსებით დამსახურებულად ლიდერობს თავის ჯგუფში და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ერთწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში უნდა ვიხილოთ. თანაც, ამ მატჩის წინადღეს, საკუთარ მოედანზე დამარცხდა „სპარტაკის" უახლოესი მდევარი „შუქურა", - მოკლედ, „ლოკომოტივთან" გამარჯვების შემთხვევაში ცხინვალელებს 14-ქულიანი უპირატესობა ექნებოდათ, მაგრამ...

...მატჩის დასაწყისი მასპინძელთა აქტიურობით აღინიშნა და გუნდის კაპიტანს **თეიმურაზ შონიას** ადრეული გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მისი „ერთი შეხებით" შესრულებული დარტყმა მიზანს მცირედით ასცდა. თუმცა, მასპინძლებმა სწრაფი გოლი მაინც გაიტანეს: მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე გამწესებულმა **ვალერი კილასონიამ** თითქმის დაკარგული ბურთისათვის ბოლომდე იბრძოლა, კუთხური „მოინაგრა", თავადვე ჩააწოდა და შონიას თავური დარტყმაც ზუსტი აღმოჩნდა! ამის მერე „სპარტაკს" კიდევ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა: კილასონია - **ბურძენაძე-მეტრეველის** ეფექტური კომბინაცია „სპარტაკის" საუკეთესო ბომბარდირის დარტყმით დამთავრდა, მაგრამ **ბაჩო მიქავამ** უშეცდომოდ ითამაშა და **ზვიად მეტრეველს** ჩემპიონატში მე-13 გოლის გატანა არ დაანება. ამასობაში სტუმრებიც „გათამამდნენ" და ეს, განსაკუთრებით მარცხენა გარემარბზე, **დავით ჯიქიაზე** ითქმის - 18 წლის შემტევი, ვიდრე გამოცვლიდნენ, ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ მოედანზე. იგივეს თქმა შეიძლება მის თანატოლებსა და პარტნიორებზე: ცენტრალური მცველი **ნიკა ჭანტურია**, საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი გორგოზია** და ცენტრფორვარდი **დათო დარციმელია** ასაკთან შეუფერებელი ოსტატობით ირჯებოდნენ. სტუმრებს აქტიური თამაში პირველ ტაიმშივე დაუფასდათ: „სპარტაკის" მცველებმა ბურთი უხეიროდ მოიგერიეს და 18 წლის **დავით მთივლიშვილმა** მოჭრილი დარტყმით საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მეკარეს **გიორგი ნადირაძეს** შანსი არ დაუტოვა. სხვათა შორის, პირველ ტაიმში ჯერ სტუმრები ითხოვდნენ პენალტს (**მათე ცინცაძის** ნაქცევისათვის), მერე კი, მასპინძლები - ტრიბუნიდანაც ისე სჩანდა, რომ „ლოკომოტივის" ერთ-ერთ მცველს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა...

მეორე ტაიმი პირველზე უკეთესი გამოდგა: სტუმართა რიგებში მარცხენა გარემარბის პოზიციაზე კიდევ ერთი ნიჭიერი ქართველი შემტევი, 17 წლის **ლუკა ზარანდია** გამოჩნდა, „ლოკომოტივმა" სისწრაფეს მოუმატა და დათო დარციმელიას ეფექტური შორეული რეიდი გოლით უნდა დაეგვირგვინებინა, მაგრამ უშეცდომოდ ითამაშა გიორგი ნადირაძემ. მანამდე კი კიდევ ერთი საკამათო ეპიზოდი იყო: შეტევაში წასული **ენდიკა ბორდასი** ზვიად მეტრეველთან ორთაბრძოლაში წაიქცა და პენალტის დანიშვნას იმდენად ემოციურად ითხოვდა, ფიფას არბიტრის, **ლევან კვარაცხელიასაგან** გაფრთხილებაც დაიმსახურა. ცნობისათვის: 31 წლის ენდიკა ბორდასს თავის დროზე ბილბაოს „ატლეტიკში" არაერთი მატჩი ჩაუტარებია. თუმცა სტუმართა გუნდში ბორდასის გარდა სხვა „ცნობადი" ახალწვეულიც ვიხილეთ: ბოლო წლების ერთ-ერთმა ყველაზე უიღბლო ფორვარდმა **რატი ბარაბაძემ** პირველი მატჩი ჩაატარა „ლოკომოტივის" შემადგენლობაში და სწორედ მან გაუწია ასისტენტობა დათო დარციმელიას, რომელმაც მოხდენილი მოძრაობით ჯერ მეურვე ჩამოიცილა, შემდეგ კი აუღებელი დაურტყა გიორგი ნადირაძეს! ამ გოლამდე „სპარტაკს" ორი მეტ-ნაკლები სახიფათო მომენტი ჰქონდა: **ლაშა კემუხტაშვილის** დარტყმის შემდეგ სტუმრები კვლავაც მიქავამ გადაარჩინა, ზვიად მეტრეველის ეშმაკური დარტყმა კი მცირეოდენ არაზუსტი აღმოჩნდა...

**გია ტუხაშვილი**

19. 08. თბილისი. „ბენდელა". 400 მაყურებელი

სპარტაკი 1

ლოკომოტივი 2

1:0 შონია (12, კილასონიას პასით), 1:1 მთივლიშვილი (26), 1:2 დარციმელია (85, ბარაბაძის პასით)

| სპარტაკი 4-2-3-1 | ლოკომოტივი 4-2-3-1 |
|---|---|
| ნადირაძე | მიქავა |
| ჯაფოძე | გაბაძე |
| მგელაძე | ნ. ჭანტურია |
| ქურდაძე | ენდიკა ბორდასი |
| ლემონჯავა | მთივლიშვილი |
| თ. შონია | სულთანიშვილი |
| ბურძენაძე | გორგოზია |
| ვ. კილასონია | მზევაშვილი |
| ნარიმანიძე | ცინცაძე |
| ა. ხიზანეიშვილი | ჯიქია |
| მეტრეველი | დარციმელია |
| მწვრთნელი ვ. ხაჩიძე | მწვრთნელი ჟერარდ სარაგოსა |

**სპარტაკი**

59. ნარიმანიძე - **კემუხტაშვილი**
70. ხიზანეიშვილი - **მაქაცარია**
86. კილასონია - **კაკაშვილი**

*სათადარიგოები:* თვალავაძე, ზუხბაია

**ლოკომოტივი**

46. მზევაშვილი - **ზარანდია**
63. სულთანიშვილი - **ბარაბაძე**
72. ჯიქია - **კიკაბიძე**

*სათადარიგოები:* ბ. საჯაია, ჩიტეიშვილი, ყანჩაშვილი, მაკასარაშვილი

*გაფრთხილება:* ენდიკა ბორდასი (65), დარციმელია (85)

*არბიტრი:* ლ. კვარაცხელია

**სხვა მატჩები**

| | |
|---|---|
| შუქურა - კოლხეთი | 0:1 |
| ჩხერიმელა - სამტრედია | 1:2 |
| ადელი - სამგურალი | 0:1 |
| ლიახვი - ალგეთი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 22 | 18 | 2 | 3 | 58-12 | 56 |
| 2. ლოკომოტივი | 24 | 14 | 5 | 5 | 60-26 | 47 |
| 3. შუქურა | 22 | 14 | 3 | 5 | 42-17 | 45 |
| 4. კოლხეთი (ხ) | 24 | 14 | 2 | 8 | 31-24 | 44 |
| 5. სამგურალი | 24 | 12 | 7 | 5 | 48-32 | 43 |
| 6. სამტრედია | 24 | 13 | 4 | 7 | 40-30 | 43 |
| 7. ალგეთი | 23 | 9 | 3 | 11 | 36-40 | 30 |
| 8. მერცხალი | 23 | 3 | 8 | 12 | 28-41 | 17 |
| 9. ლიახვი | 24 | 3 | 6 | 15 | 22-56 | 15 |
| 10. ჩხერიმელა | 23 | 4 | 1 | 19 | 24-61 | 13 |
| 11. ადელი | 24 | 4 | 1 | 19 | 25-66 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ოთარ მარცვალაძე: ჩვენი გადასვლა ბევრს არ სურს


ოთარ მარცვალაძე

რუსეთის პირველი ლიგის 28-ე ტურში „როტორმა" ვოლგოგრადში „სკა-ენერგიასთან" წააგო (1:2). თავიდან ყველაფერი ქართველებისთვის სასურველად იყო: **ოთარ მარცვალაძემ** დუბლი შეასრულა და ინტერნეტ-გაზეთ "სპორტბოქსის" მკითხველმა მისი პირველი გოლი ტურში საუკეთესოდ აღიარა. გიორგი დარასელიას გაწვრთნილმა გუნდმა კი, სადაც ოთხი ქართველი თამაშობს (**ლაშა სალუქვაძე, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა, ოთარ მარცვალაძე**) 45 ქულა დააგროვა და ლიდერებში პოზიცია განიმტკიცა.

თუმცა, რუსეთში ეს მოგება ეჭვქვეშ დააყენეს – გაზეთმა "სოვეტსკი სპორტმა" „სკა-ენერგიას" წარმატება მამუკა ჯუღელს დაუკავშირა, "როტორთან" მარცვალაძის გოლები კი სპექტაკლად მონათლა.

გთავაზობთ წერილის ნაწყვეტებს: *"პირველი გოლის დროს, „როტორის" მოთამაშე ივან ტოროდოვიჩმა მარცვალაძეს ბურთი მოედნის ცენტრში ჩააბარა. ის მეტოქის კარისკენ მშვიდად დაიძრა, ტოდოროვიჩი არ გამოედევნა და არც ვოლგოგრადელ მცველთა წინააღმდეგობას შეხვედრია. და როდესაც ქართველი საჯარიმოს ხაზს უახლოვდება, „როტორის" მცველი ხისტად ცდილობს მისთვის ბურთის ართმევას. სასაცილოა - მარცვალაძე მშვიდად უვლის გვერდს და კარში ზუსტად არტყამს. ..."როტორის" „სტუმართა წიგნში" ასეთი გამოხმაურება იყო: - ისეთი გრძნობა დაგვრჩა, რომ ერთმანეთს გაურიგდნენ და გაყიდეს პირველი ტაიმი. „როტორი" ეზოს გუნდს ჰგავდა... მიმდინარე სეზონში „სპარტაკისა" და „ზენიტის" მცველებს არანაკლები კურიოზული შეცდომები მოსდით. როდესაც დიდი ოსტატები სცოდავენ, პირველი ლიგის რიგით მოთამაშეებს რა უნდა მოვკითხოთ?! სამწუხაროდ, სათამაშო ეპიზოდების რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენება შეუძლებელია... ნებისმიერი სათამაშო ეპიზოდი მხოლოდ მიზეზია თემის წამოსაწევად, განსჯისთვის და მეტი არაფერი. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მივაგოთ საკადრისი მამუკა ჯუღელს - გასაოცარია, როგორ გამოიცნო სკა-მ მარცვალაძის ტრანსფერი..."* – წერს "სოვეტსკი სპორტი".

ოთარ მარცვალაძეს ხაბაროვსკში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- "როტორთან" მოგებას სკანდალური წერილი მოჰვა, რა ხდება?**

- აქ შეხვედრა სხვას რომ ჩაეწყო, დამიჯერეთ, ასეთ ამბავს არ ატეხდნენ. რას ვიზამთ, ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" ბევრი ქართველი ვთამაშობთ, რაც ზოგს მოსწონს, ზოგსაც ალიზიანებს. მაგრამ უკვე არაფერი მიკვირს. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ყურადღებას არ ვაქცევ, "შავი პიარით" სახელს გვიფუჭებენ, მაგრამ მეტოქეს ბურთი რომ ავართვი და მცველი შიშისგან ვერ მომიახლოვდა, რადგან სწრაფი არ არის, ესაა ჩემი დანაშაული? ამ ლოგიკით, ყველა შედეგიანი თავდამსხმელი მეტოქესთან შეკრულია.

**- მოდი, მაშინ გულახდილად ვთქვათ, რატომ არის რუსული მედიის დარტყმის მუდმივი ობიექტი მაინცდამაინც მამუკა ჯუღელი?**

- იმიტომ, რომ... არ მინდა რა, ამაზე ლაპარაკი. ამ წერილის ლოგიკით, ჩვენ მატჩებს ვყიდულობთ და რომ ქართველი და კორუფცია ერთი და იგივეა. ვერ ხვდებით, რომ ასეთი წერილებით სახელს გვიტეხენ? რას ფიქრობთ, რუსეთში თუ გარიგებული მატჩებია, ეს ქართველმა მოიგონა? მეორეც – ბევრს არ სურს, რომ პრემიერლიგაში შორეული აღმოსავლეთის გუნდმა ითამაშოს. ეს პრაგმატული მოსაზრებაა. ყველაფრის დაკონკრეტება არც მინდა.

**- მეორე მხრივ, "სპორტბოქსის" მკითხველმა შენი გოლი ტურის საუკეთესოდ აღიარა.**

- იმიტომ, რომ მართლა ლამაზი გოლი იყო. საწყენია, როდესაც გუნდს ეხმარები და ყველაფრის ჩაშხამებას ცდილობენ. უბრალოდ, უკვე შევეგუე, რომ ჩვენი გამარჯვება, თურმე, აუცილებლად "ნაყიდია", კონკურენტებისა კი – სუფთა გამარჯვებაა. ასე სად არის?!

**- როგორც ჩანს, ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენას ახერხებ.**

- ფაქტობრივად, ცხრა თვე გამიცდა, თავიდან თამაში მიჭირდა, მაგრამ შეკრებამ და თამაშებმა ფორმის აღდგენის საშუალება მომცა და მგონი, საუკეთესო კონდიციებს ვუახლოვდები.

**- რას ფიქრობ, პრემიერლიგაში გადასვლას მოახერხებთ?**

- ეკატერინებურგის "ურალსა" და "ტომს", ფაქტობრივად, საგზური მოპოვებული აქვთ. ჩვენი კონკურენტი ნალჩიკის "სპარტაკია" და დარჩენილ ტურებში სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 ჭორილმანი

დავით თავართქილაძე

## აისბერგი

- გიჟობთ, ქალარა წვერი ოდნავ მოუშვათ. რჩევა ეძლევა როგორც ქართულ საფეხბურთო სამყაროს, ასევე ამ სამყაროზე მომუშავე ჟურნალისტებსაც.

და რა სარგებელს მოგვცემს ოდნავ მოშვებული, გათეთრებული წვერი?

როგორ თუ რა სარგებელს? ჰემინგუეის ფოტო არ გინახავთ? თუ ფეხბურთის გარდა არაფერი გაინტერესებთ? "ჰერმესის" ქამრის გაკეთების გარდა არაფერი იცით ამ სამყაროს წარმომადგენლებმა, ყველანი მაინც ერთმანეთს ჰგავხართ და ბარემ წვერსაც ერთნაირად მოუშვებთ.

ნუ ახლა, მთლად მასეც არ არის საქმე, ყველამ იცის, რომ ჰემინგუეი მწერალი იყო და თანაც ამერიკელი.

ესეც საქმეა. ის თუ იცით, რომ ჰემინგუეი უფრო მინი-ფეხბურთის ვირტუოზს ჰგავდა და არა დიდი ფეხბურთის კარუზოს?

ეგ როგორ?

როგორ და, ჰემინგუეი მოთხრობებს უფრო მაგრად წერდა, ვიდრე რომანებს.

იცი რას გეტყვი, ჩვენ აქ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ და ეგ შენი აზრები ლიტერატორებთან აფრქვიე, მისამართი შეგეშალა იუზგარ!

მხოლოდ ჰემინგუეის შეეძლო დაეწერა უბედური ფრენსის მაკომბერის ამბავი, რომელსაც საშინლად ცუდი ცოლი ჰყავდა, მხოლოდ ჰემინგუეიმ შეიცნო საცოდავი ბერიკაცი და კარგი ბიჭი, რომელთაც ბეისბოლი ძალიან უყვარდათ...

თავი დაგვანებე, ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფა.

საერთო უნიფორმასავით ყველას "ჰერმესის" ქამარი გიკეთიათ, ფეხბურთელებსაც, მწვრთნელებსაც, პრეზიდენტებსაც... ძაან სასაცილო სამყარო ხართ, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტებიც სიამაყით მოირგებდით "ჰერმესის" ქამარს, მაგრამ ამის ფული სად გაქვთ? არადა, ყველა ერთმანეთს ჰგავხართ რა...

და რატომ ვგავართ ყველა ერთმანეთს?

იმიტომ.

საერთოდ, თუ დადიხარ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე?

არ დავდივარ, მაგრამ ტელევიზორში გიყურებთ ხოლმე ყველას ერთად, ხანდახან საიტების და გაზეთების ფოტოებსაც ვათვალიერებ, ყველგან "ჰერმესის" ქამარი ჩანს, ყველგან "ჰერმესის" ქამარია დომინანტი, ისე, ზოგს სიგარაც ჰყვარებია თქვენს მილეთში, ვიპ ლოჟას მართლაც უხდება სიგარიანი ხალხი.

და ამის გარდა ვერაფერს ამჩნევ? საქმეს ვერ ხედავ?

როგორ არა, მაგალითად, ლეგიონერები სათადარიგოთა სკამზეც კი გყავთ ზედა თუ ქვედა ექვსეულში. გაზეთებში ერთმანეთს კარგად ლანძლავთ. კიდევ, აზერბაიჯანი და ყაზახეთი გხიბლავთ და თუ ჰემინგუეის წვერს არ მოუშვებთ, ყველანი მალე ბორატ სეგდიევს დაემსგავსებით.

დიდი ცინიკოსი ვინმე ხარ.

თვით ჰემინგუეი ამბობდა, ოსკარ უაილდი უფრო კარგად ლაპარაკობდა, ვიდრე წერდაო. უაილდი კი დიდი ესთეტი და ცინიკოსი იყო. რაც შეეხება ბორატს, იმედია, ეგ მაინც იცით, თუ ვინ არის.

კარგი, ჯანდაბას შენი თავი, ოღონდაც ახლა ის გვითხარი, ჰემინგუეი და თეთრი წვერი ჩვენთან, ფეხბურთში მოსაქმე ხალხთან რა შუაშია.

აისბერგი იცით რა არის?

ეგ ვინ არ იცის, ბოლოს და ბოლოს, "ტიტანიკი" ყველას გვაქვს ნანახი.

აისბერგის შვიდი მერვედი წყალშია დაფარული, ერთი მერვედი კი გარეთ ჩანს. ჰემინგუეიც მაგას ამბობდა, როცა რაღაცას წერ, რაღაცას ქმნი, არ არის ყველაფერ იმის დაწერა და თქმა საჭირო, რაც იცი, მწერალი თუ ხარ, აისბერგივით უნდა იყო, ოღონდაც ყველაფერი უნდა იცოდე, დანარჩენი შვიდი მერვედიცო.

მერე?

მერე ის, რომ თქვენც ყველაფერი იცით, რაც ხდება, მათ შორის ჟურნალისტებმაც, მაგრამ შვიდ მერვედს მალავთ. სამყაროც ეგეთია, მსაჯზე გადიან, ათას რაღაცებს ხლართავენ. ფედერაციის პრეზიდენტობა უნდათ და აღარ იციან, რა პიარ საშუალებები გამოიყენონ ამისთვის, ამბობენ, ისევ ქართულ ფეხბურთში გვინდა ყოფნაო, მაგრამ ზუსტად არ ამბობენ, ფედერაციის პრეზიდენტობა გვსურსო, ამ სურვილის შვიდ მერვედს მალავენ. ყველა მალავს შვიდ მერვედს თქვენს სამყაროში, ამიტომაც ვერ გერევათ ვერაფერი, ამიტომაც ხართ ასეთი ძლიერები.

"ჰერმესის" ქამარი რა ღირს?..



ფუტსალი

# ოთხთა ფინალამდე იბერიას მწვრთნელი შეეცვალა

თბილისში გასამართი ფუტსალის ოთხთა ფინალის მატჩები 26 აპრილს დაიწყება: ნახევარფინალში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი "იბერია სტარი" მოსკოვის „დინამოს" შეხვდება, "ბარსელონა" კი ყაზახურ „კაირათს". ფინალი კი 28 აპრილს გაიმართება.

ტურნირს ქართველი გულშემატკივარი დიდი იმედით ელის. მაგრამ ნახევარფინალამდე რამდენიმე დღით ადრე "ლელომ" სენსაციური ინფორმაცია მოიპოვა – ოთხთა ფინალში გუნდი მთავარი მწვრთნელის, ბრაზილიელი **სერჟიო ბენატის** ხელმძღვანელობით არ ითამაშებს.

ინფორმაცია "იბერია სტარის" პრეზიდენტ **ვახო წერეთელთან** გადავამოწმეთ.

*"სამწუხაროდ, ეს სიამრთლეა. ბენატი ავად გახდა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იძულებული შეიქმნა სამშობლოში დაბრუნებულიყო - მასთან კონტრაქტი დროებით შევაჩერეთ. ბენატის არყოფნაში გუნდს ალიკ სარქისიანი უხელმძღვანელებს, რომელიც ადრე ჩვენი კლუბისა და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, კარიერის დასრულების შემდეგ კი "იბერიას" მწვრთნელთა ასისტენტად მუშაობდა. ბენატის არყოფნა დანაკლისია, მაგრამ მიმაჩნია, რომ კატასტროფა ნამდვილად არ არის. გუნდი ისეთი აწყობილია, უბრალოდ, მწვრთნელმა ხელი არ უნდა შეუშალოს. ასე რომ, ოთხთა ფინალს ძველებურად, დიდი იმედით ველოდებით"* – დაგვიდასტურა წერეთელმა.

ელიტ რაუნდის შემდეგ, "იბერიაში" სერიოზული საკადრო ცვლილებები დაუგეგმავად მოხდა. გუნდის წამყვანი მოთამაშეებიდან ერთ-ერთს, რომარიოს ელიტ რაუნდში დისკვალიფიკაცია მისცეს, ნახევარფინალს ტოვებდა და გუნდს ვერ დაეხმარებოდა. ამის გამო წასვლა გადაწყვიტა, რასაც დაერთო სხვა მოულოდნელობები: მასთან ერთად, გუნდის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ სოლოდოვიკმა** უკრაინაში კიდევ ორი იბერიელი მოთამაშე წაიყვანა, ერთიც სხვა გუნდში მიიწვიეს და საქართველოს ჩემპიონს ბრაზილიაში ახალი ბირთვის მოძებნა დასჭირდა.

ამის მიუხედავად, წერეთელი განვლილი ეტაპით კმაყოფილია: *"ჩვენ არ ვართ რომელიმე კონკრეტულ მოთამაშეზე დამოკიდებული გუნდი. "იბერია", დიდი და შეკრული კოლექტივია, სადაც ზოგი მოდის, ზოგიც მიდის, მაგრამ კი არ ვსუსტდებით, არამედ, ვძლიერდებით. იყო პატარ-პატარა პრობლემები, მაგრამ სერიოზული არაფერია. ბენატის წასვლით ჩვენი მიზანი არ შეცვლილა - ნახევარფინალში მოსკოვის "დინამოსთან" მოედანზე იმ იმედით გავდივართ, რომ ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ".*

ფინალში მონაწილე გუნდები „ბარსელონა", „ქაირათი" და მოსკოვის „დინამო" თბილისში 25 აპრილს გვესტუმრებიან. იმავე დღეს მათი მთავარი მწვრთნელები პრეკონფერენციებს გამართავენ. შევიტყვეთ, რომ თითოეულ გუნდს 100-100 გულშემატკივარი ჩამოყვება.

საღამოს კი "იბერია სტარმა" ბენატის წასვლასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ დადასტურდა და ითქვა, რომ კლუბის ახალი მთავარი მწვრთნელი ალიკ სარქისიანი (რომლის ხელმძღვანელობითაც "იბერია სტარი" ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი) 25 აპრილს, სპორტის სასახლეში პრესკონფერენციას გამართავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტურის წინ

# რაფა ლივერპულის წინააღმდეგ

## 20 აპრილი

**ფულჰემი-არსენალი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დემიენ დაფი, მაჰამადუ დიარა, აშკან დეჟაგა, ნილ ეთერიჯი - ვასირიკი დიაბი, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანტი კასორლა, ლუკაშ ფაბიანსკი

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 47 თამაში: +7=10-30 (53-102)

**ნორვიჩი-რედინგი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯონ რადი, ბრედლი ჯონსონი, ენდრიუ სერმანი - ადამ ფედერიჩი, ჯიმი კებე, ჰოუპ აკპანი, ჯეისონ რობერტსი

ბოლო 6 მატჩი
+0=3-3 +0=1-5
ურთიერთშეხვედრები
სულ 17 თამაში: +6=5-6 (19-21)

**ქუინზ პარკი-სტოკი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბობი ზამორა -
**ტრავმა:** ენდრიუ ჯონსონი, შონ რაიტ-ფილიპსი - მარკ უილსონი, მეტიუ ეთერინგტონი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +0=1-5
ურთიერთშეხვედრები
სულ 31 თამაში: +16=6-9 (44-30)

**სანდერლენდი-ევერტონი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** კრეიგ გარდნერი -
**ტრავმა:** ფილ ბერდსლი, ვეს ბრაუნი, ლი კატერმოული, კონორ უიკჰემი, სტივენ ფლეტჩერი - ტონი ჰიბერტი, ლეონ ოსმანი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 136 თამაში: +50=22-64 (216-240)

**სუონსი-საუთჰემპტონი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ნილ ტეილორი, დარნელ შიტუ - კელვინ დევისი, გული დო პრადო

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +3=2-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 7 თამაში: +3=2-2 (12-10)

**ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** იუსუფ მულუმბუ -
**ტრავმა:** ჯორჯ ტორნი, ზოლტან გერა, პიტერ ოდემვინგე - ტიმ კრული, ფაბრისიო კოლოჩინი, დავიდე სანტონი, რაიან ტეილორი, ჰარის ვუკჩიჩი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 98 თამაში: +37=27-34 (171-161)

**ვესტ ჰემი-უიგანი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯორჯ მაკარტნი, ჯეიმს ტომკინსი, ჯო კოული, დენიელ პოტსი - ალბერტ კრუსატი, ბენ უოტსონი, მაიკლ პოლიტი, ფრეიზერ ფივი, ივან რამისი, რიო მიაიჩი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 18 თამაში: +8=2-8 (27-26)

## 21 აპრილი

**ტოტენჰემი-სიტი 16:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** იუნეს კაბული, აარონ ლენონი, გარეთ ბეილი, უილიამ გალასი, ჯერმეინ დეფო, რანიერ სანდრო - სისენანდო მაიკონი, სერხიო აგუერო, დავიდ სილვა

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +4=0-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 124 თამაში: +48=30-46 (169-182)

**ლივერპული-ჩელსი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯო ალენი, ფაბიო ბორინი, რაჰემ სტერლინგი, მარტინ კელი, ჯონ ფლენაგანი - ორიოლ რომეუ, ედენ აზარი, ნათან აკე

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 +4=0-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 155 თამაში: +69=34-52 (235-211)

## 22 აპრილი

**იუნაიტედი-ასტონ ვილა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ეშლი იანგი, პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი - რიჩარდ დანი, გაბრიელ აგბონლაჰორი, მარკ ოლბრაიტონი, სტილიან პეტროვი, კრის ჰერდი, გარი გარდნერი

ბოლო 6 მატჩი
+5=0-1 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 154 თამაში: +79=37-38 (283-196)

„იუნაიტედმა" ბოლო 3 შეხვედრაში 5 ქულა დაკარგა. თავის მხრივ „სიტიმ" ყველას მოუგო, ვინც კი გზად გადაელობა, მათ შორის უშუალო კონკურენტსაც, მაგრამ ამის მიუხედავად, სხვაობა თანაქალაქელებს შორის ჯერ კიდევ იმდენია, რომ საჩემპიონო ინტრიგის აღორძინებაზე მსჯელობა არასერიოზულია. მით უფრო, რომ „ეშმაკებს" მხოლოდ საშინაო შეხვედრებში გამარჯვებაც ჰყოფნით ტიტულის გასანაღდებლად. სამაგიეროდ, წარმოუდგენლად დაძაბულია ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. სულ ცოტა ხნის წინ ეს ლონდონური კლუბების შიდა საქმედ იყო აღიარებული, მაგრამ ახლა მარაქაში „ევერტონიც" გაერია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 33 | 26 | 3 | 4 | 75-35 | 81 |
| 2. სიტი | 32 | 20 | 8 | 4 | 58-27 | 68 |
| 3. ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 64-33 | 61 |
| 4. არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 64-35 | 60 |
| 5. ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55-40 | 58 |
| 6. ევერტონი | 33 | 14 | 14 | 5 | 51-37 | 56 |
| 7. ლივერპული | 33 | 13 | 11 | 9 | 59-40 | 50 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-43 | 44 |
| 9. სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43-42 | 41 |
| 10. ფულჰემი | 33 | 10 | 10 | 13 | 44-51 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 33 | 10 | 9 | 14 | 38-47 | 39 |
| 12. საუთჰემპტონი | 33 | 9 | 11 | 13 | 47-54 | 38 |
| 13. ნიუკასლი | 33 | 10 | 6 | 17 | 42-59 | 36 |
| 14. ნორვიჩი | 33 | 7 | 14 | 12 | 31-52 | 35 |
| 15. სანდერლენდი | 33 | 8 | 10 | 15 | 37-45 | 34 |
| 16. სტოკ სიტი | 33 | 7 | 13 | 13 | 28-41 | 34 |
| 17. ასტონ ვილა | 33 | 8 | 10 | 15 | 36-60 | 34 |
| 18. უიგანი | 32 | 8 | 7 | 17 | 37-58 | 31 |
| 19. ქუინზ პარკი | 33 | 4 | 12 | 17 | 29-54 | 24 |
| 20. რედინგი | 33 | 5 | 9 | 19 | 36-63 | 24 |

ბომბარდირები: 22 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 21 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი)



რაფა ბენიტესის თქმით, მას უყვარს ლივერპული, მაგრამ ამჯერად მის დამარცხებას შეეცდება

### მეორე დერბი ქრეივენ კოტეჯზე

ბოლო წლებში „არსენალს" ერთი კეთილი ტრადიცია აქვს: მართალია, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვერ ახერხებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ყოველ წელს იმსახურებს. ახლაც ასეა. „მეთოფეები" დიდხანს მიიჩნეოდნენ ამ ბრძოლაში აუტსაიდერებად, მაგრამ დედაქალაქელებმა კუდი მოიქნიეს და მთლად ფერფლიდან არა, მაგრამ მაინც აღდგნენ. „ბრძოლა ლიგის საგზურისთვის ბოლო ტურამდე გაგრძელდება. მიზნის მისაღწევად ერთადერთი გზა გვაქვს. დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი უნდა დავიმსახუროთ. ეს ნამდვილად შეგვიძლია, თუკი გავიხსენებთ, რომ ბოლო 9-დან 8 თამაში გვაქვს მოგებული. იმედია, ეს ისევე გამოგვივა, როგორც ადრე გამოგვდიოდა. რაც მთავარია, ამიერიდან ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ურთულესი სიტუაციიდან გამოვძვერით, თუმცა წინ კიდევ დიდი სამუშაოა," - განაცხადა **არსენ ვენგერმა**. „ქრეივენ კოტეჯზე" ზედიზედ მეორე დერბი გაიმართება და პუბლიკა ალბათ ძალიან გულნატკენი დარჩება, თუკი მასპინძელი გუნდი ისევე უსუსურად ითამაშებს, როგორც ეს 17 აპრილს „ჩელსისთან" იყო.

### ლამის გასავარდნად განწირულნი

„უიგანს" ზედიზედ მეორე გასვლითი შეხვედრა უწევს, ამჯერად დედაქალაქში. **რობერტო მარტინესის** გუნდმა წინა მატჩი „მანჩესტერ სიტისთან" მინიმალური სხვაობით კი დათმო, მაგრამ იმდენად კარგად ითამაშა, რომ **რობერტო მანჩინისგან** კომპლიმენტები დაიმსახურა. უქმეებზე „ათლეტების" უშუალო კონკურენტ „ასტონ ვილას" მძიმე გამოცდა ელის „ოლდ ტრეფორდზე", შესაბამისად, „აპტონ პარკზე" აღებულ ქულას, შესაძლოა, ოქროს ფასი დაედოს. **სემ ელერდაისის** „ვესტ ჰემი" კი ჩემპიონატის ბოლო ტურამდე აპირებს ბრძოლას და მან ეს „იუნაიტედთან" მატჩისას (2:2) დაამტკიცა.

„ევერტონთან" შეხვედრის შემდეგ (0:2) **ჰარი რედნაპმა** პირველად გააკრიტიკა საკუთარი ფეხბურთელები საჯაროდ. ისე, რომ გვარები არ დაუზუსტებია, ღვაწლმოსილმა სპეციალისტმა შეგირდებს უმოტივაციობასა და უამბიციობაში დასდო ბრალი. ასე რომ, გვგონია, „სტოკ სიტისთან" ის გადახალისებულ შემადგენლობას გამოიყვანს, ისეთს, ვისაც „ლოფტუს როუდიდან" გაქცევაზე არ უჭირავს თვალი. მეტოქის გათვალისწინებით, 3 ქულის აღება რეალური გვგონია. **ტონი პულისის** გუნდი ნელ-ნელა აუტსაიდერთა შორის დაეშვა და გამორიცხული არ არის, უქმეების შემდეგ გასავარდნ ზონაშიც კი ამოყოს თავი.

### დი კანიო გამოცდილების წინააღმდეგ

წინა ტურში „ნიუკასლთან" 3:0-ის შემდეგ **პაოლო დი კანიომ** სამართლიანად დაიმსახურა ქება-დიდება. რის შემდეგაც იტალიელმა მისთვის ჩვეულ სტილში თქვა, რომ ის თავს გმირად ვერ გრძნობს, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობითს. თუკი ექსცენტრულმა სპეციალისტმა „შავი კატები" დიდი განსაცდელისგან იხსნა, მას მართლაც შეამკობენ დაფნის გვირგვინით, მაგრამ იქამდე კიდევ ხუთი დაძაბული მატჩია.

ერთ-ერთი დღეს ლივერპულის „გუდისონ პარკზე" გაიმართება. მასპინძლები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და რამდენად გასწვდება დი კანიოს ემოცია **დევიდ მოიესის** გამოცდილებას, ამას აუცილებლად ვნახავთ.

### უქმეების მთავარი სათქმელი

მთავარი მოვლენები ინგლისში ხვალ გაიმართება. „ტოტენჰემი" „მანჩესტერ სიტის" ლამის სისხლისგან დაცლილი ხვდება. რაც მთავარია, **ანდრე ვილაშ ბოაშს გარეთ ბეილი** არ ეყოლება, რაც მასპინძლების შანსს სერიოზულად ამცირებს. „დეზების" ვარსკვლავებმა **კაილ უოკერმა** და **ლუის ჰოლტბიმ** გაზეთებს ერთმანეთზე ოპტიმისტური ინტერვიუები მისცეს, მაგრამ ეს „უელსელი ჯადოქრის" არყოფნას ვერ გაანეიტრალებს. „სიტი" ხომ ამ ეტაპზე ნამდვილად საუკეთესო ფორმაშია. „ქალაქელთა" ერთადერთი სერიოზული პრობლემა, შესაძლოა, დაღლილობა გამოდგეს.

დაბოლოს, **რაფა ბენიტესი** „ენფილდზე" ბრუნდება. ეს უკვე თავისთავად ნიშნავს დიდ ინტრიგას. ესპანელის გუნდმა იანვრის შემდეგ პირველი გასვლითი შეხვედრა მოიგო და კარგ ხასიათზეა. „წითლებს" სერიოზულად უნდა ეშინოდეთ სტუმართა მცველების. „ფულჰემს" ხომ სამჯერვე მათ გაუტანეს. „ჩელსის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ყველა ტურნირში ერთად უკანახაზელებმა უკვე 27-ჯერ გამოიჩინეს თავი, რაც გოლების საერთო რაოდენობის 21%-ია.

## ამბები

### იანგის სერიოზული ტრავმა

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის **ალექს ფერგიუსონის** ინფორმაციით, „ეშმაკების" 27 წლის ნახევარმცველის **ეშლი იანგის** მიერ მანჩესტერულ დერბიში მიღებული კოჭ-წვივის ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ექიმები ელოდნენ. თავდაპირველი პროგნოზით ფეხბურთელს 2-3 კვირა უნდა დაესვენა, თუმცა ახლა ირკვევა, რომ მისთვის სეზონი უკვე დასრულებულია. შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული იანგისთვის ეს უკვე მესამე სერიოზული ტრავმა აღმოჩნდა.

### ფიოლერი ადასტურებს

გერმანული პრესის მტკიცებით, „ჩელსიში" 22 წლის **ანდრე შიურლეს** ტრანსფერი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. „ბილდი" წერს, რომ ხუთშაბათს „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** და აღმასრულებელი დირექტორი **მიხაელ რეშკე** ლონდონში ჩაფრინდნენ. ბრიტანეთის დედაქალაქში სტუმრობის უმთავრესი მიზეზი „ჩელსისთან" მოლაპარაკებების დაწყება იყო. გერმანელები მზად არიან, გარემარბი 20 მილიონ ევროდ დათმონ (აქედან 3 მილიონი ანდრეს ყოფილ კლუბ „მაინცს" შეხვდება), ოღონდ იმ პირობით, რომ კუნძულელებმა საქმეში **კევინ დე ბრუინიც** უნდა ჩართონ. „ჩელსი" ფეხბურთელს 5-წლიან კონტრაქტსა და წელიწადში 4 მილიონ ევროს სთავაზობს. „კიკერის" ინფორმაციით, „ჩელსიში" ჯერ არ აქვთ გადაწყვეტილი, დაიტოვონ თუ არა 21 წლის ბელგიელი და შეთანხმებაც სწორედ ამის გამო არ შედგა. ფიოლერი და რეშკე ლონდონიდან ბრიუსელს ეწვივნენ, სადაც დე ბრუინის აგენტს პირისპირ შეხვდნენ. თავის მხრივ ბელგიური პრესა წერს, რომ ნაკრების თავკაცმა **მარკ ვილმოტსმა** ფეხბურთელს კარიერის გაგრძელება სწორედ „ლევერკუზენში" ურჩია.

### ყოფილი ეშმაკი გრანდების სამიზნეში

შარშან ზაფხულზე **რაველ მორისონი** „მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი უსიამოვნების შემდეგ დაშორდა. სერ **ალექს ფერგიუსონმა** ნიჭიერ, მაგრამ მძიმე ხასიათისა და მეტისმეტი ამბიციების ფეხბურთელთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. მორისონმა ძალიან მალე კონტრაქტი „ვესტ ჰემთან" გააფორმა, თუმცა „ჩაქუჩებმა" მეტი პრაქტიკის მისაღებად ის ჩემპიონშიპის „ბირმინგემში" მიავლინეს. 20 წლის შემტევი ნახევარმცველი ქვედა ლიგაში ბრწყინავსო, რომ ვთქვათ, არ იქნება მართალი, თუმცა მისით მაინც დაინტერესდნენ პრემიერლიგის გუნდები. მათ შორის „მანჩესტერ სიტი", „არსენალი" და „ნიუკასლი".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტურის წინ

# ინტრიგის დაბრუნების შანსი

**საფრანგეთის ჩემპიონატის 33-ე ტურში სულ 8 შეხვედრა გაიმართება, რადგან შაბათს სენ დენიში ლიგის თასის ფინალური შეხვედრა უნდა შედგეს. ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი პარასკევს, „მონპელიეს" და გამოსწორების გზას დამდგარ „ლიონს" შორის გაიმართა, თუმცა შაბათს და განსაკუთრებით კვირას, კიდევ არაერთი საინტერესო შეხვედრა გველის...**

| | |
|---|---|
| მონპელიე-ლიონი | 1:2 |
| **20 აპრილი** | |
| მარსელი-ბრესტი | 19:00 |
| **21 აპრილი** | |
| ბასტია-ლილი | 16:00 |
| ნანსი-ევიანი | 19:00 |
| სოშო-ბორდო | 19:00 |
| რეიმსი-ვალანსიენი | 19:00 |
| ტულუზი-ლორიანი | 19:00 |
| პსჟ-ნიცა | 23:00 |
| **24 აპრილი** | |
| სტ. ეტიენი-აიაჩო | 20:30 |
| რენი-ტრუა | 20:30 |

### ლიდერი ნიცას გამოცდის

თასის გათამაშებიდან გამოვარდნილი „პარი სენ ჟერმენი" „ნიცას" მასპინძლობს და ჩემპიონატში 3-მატჩიანი მოგებათა სერიის გაგრძელებას ეცდება.მასპინძლებს იოლი გასეირნება რომ არ ელით, ამაზე სტუმრების სატურნირო მდომარეობაც მეტყველებს და **კლოდ პუელის** გუნდის ფორმაც – ზღვისპირელებმა ბოლო ორი მატჩი მოიგეს და ისინი ცხრილში მეხუთე ადგილზე არიან. „ნიცას" დისკვალიფიკაციის გამო **ეისერიკი, ბოტეაკი** და **ბოსეტი** დააკლდება. ასევე არ იქნება 16 წლის **ნილ მოპეი**, ვინც რეზერვისტებში თამაშის დროს მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე ამ ფეხბურთელმა წელს თავის გამოჩენა მოასწრო, მათ არყოფნას აუნაზღაურებელ დანაკლისად ვერ მივიჩნევთ, რადგან პუელს ყველა სხვა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს.

ალსანიშნავია, რომ ბოლო წლებში პარიზელებს „ნიცასთან" შინ გამართულ მატჩებში უარყოფითი ბალანსი აქვთ. კერძოდ, „პარკ დე პრენსზე" გამართული ბოლო შვიდი შეხვედრიდან, სტუმრებმა 3 მოიგეს და 2 მატჩი ფრედ დაასრულეს. ზოგადად, ბოლო 15 ურთიერთშეხვედრიდან პსჟ-მ „ნიცას" მხოლოდ 3 მოუგო, 3 ფრედ დაასრულდა და 9 წააგო, მათ შორის ერთი ამ სეზონში – 1 დეკემბერს გუნდები ერთმანეთს ნიცაში დაუპირისპირდნენ და მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. „ნიცას" მხრიდან გოლები ბოტეაკმა და ეისერიკმა გაიტანეს, პარიზელთაგან კი თავი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** გამოიჩინა.

როგორც ხედავთ, „ნიცა" დედაქალაქელებისთვის უხერხული მეტოქეა, რაც კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, რომ ვივარაუდოთ: **კარლო ანჩელოტის** გუნდს საკმაოდ მძიმე მატჩი ელის.

### მდევარი აუტსაიდერის წინააღმდეგ

მეორე ადგილზე მყოფი „მარსელი" ლიგა 1-ის მასშტაბით ყველაზე ცუდ ფორმაში მყოფ გუნდს ხვდება – „ბრესტმა" უკანასკნელი 5 მატჩი წააგო (ბურთების სხვაობა: 1-13) და მე-19 ადგილზე იმყოფება. „ოლიმპიკს" „ბრესტთან" შინ არასდროს წაუგია (7 მოგება, 2 ფრე) და წესით, **ელი ბოპის** შეგირდებმა ეს სერია შაბათსაც უნდა გააგრძელონ. პირველ წრეში „მარსელმა" სტუმრად 2:1 იმარჯვა და საინტერესოა, რომ „ოლიმპიკისთვის" ეს იყო „ბრესტთან" სტუმრად მოპოვებული პირველი გამარჯვება (მანამდე 3 ფრე და 6 წაგება ჰქონდა).

„მარსელს" განსაკუთრებული დანაკლისი არ აქვს. აი, სტუმრებს კი რამდენიმე ლიდერი აკლიათ (**ლესუამიე, დერნისი, ბეისი**), რაც „ბრესტის" მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

### ბრძოლა გადარჩენისთვის

„ნანსის" და „ევიანის" მატჩი ე.წ. „6-ქულიანთა" კატეგორიიდან არის. მასპინძლები გასავარდნ ზონაში არიან, თუმცა იმავე „ევიანს", რომელიც მე-16 ადგილზეა, მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებიან.

„ნანსის" **ბენჟამინ მუკანჯო** ჰყავს დისკვალიფიცირებული, სტუმრებს კი ტრავმის გამო **სიდნი გოვუ** და **ჯონათან მენსა** აკლიათ. „ევიანის" ფეხბურთელები ამაღლებულ განწყობაზე უნდა იყვნენ, მათ ხომ საფრანგეთის თასის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია მოახდინეს, 1/4 ფინალში პსჟ დაამარცხეს და თასის 1/2 ფინალში ისტორიაში პირველად გავიდნენ.

**პატრიკ გაბრიელის** „ნანსის" 4-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. გუნდი ბოლო დროს ძალიან კარგ ფორმაშია და თუ ასე გააგრძელა, სეზონის ბოლომდე გასავარდნი ზონიდან აუცილებლად ამოვა. გადარჩენისკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმა ნიცელებს კვირას შეუძლიათ.

### სანახაობის მოლოდინში

უხვგოლიანი უნდა გამოდგეს „ბასტიას" და „ლილის" შეხვედრა. კორსიკელებს ძალიან ბევრი გოლი გააქვთ და ბევრსაც უშვებენ, რის გამოც მათი მონაწილეობით გამართული თამაშები ყოველთვის კარგი საყურებელია. „ბასტიას" მონაწილეობით გამართულ მატჩებში 103 გოლი გავიდა (43 გაიტანა და 60 გაუშვა). მსგავსი შედეგი მხოლოდ „ლორიანს" აქვს (52 გატანილი და 51 გაშვებული ბურთი), რომელთანაც „ბასტიამ" წინა ტურში 1:4 წააგო. კუნძულელები 39 ქულით მე-11 ადგილზე არიან და გავარდნა ალარ უნდა დაემუქროთ. საინტერესოა, როგორ ითამაშებს უნიჭიერესი **ფლორიან ტოვენი**, რომელიც იანვარში „ლილმა" იყიდა და სეზონის ბოლომდე ისევ „ბასტიაში" გაანათხოვრა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 32 | 20 | 7 | 5 | 57-20 | 67 |
| 2. ლიონი | 33 | 17 | 8 | 8 | 54-35 | 59 |
| 3. მარსელი | 32 | 17 | 7 | 8 | 36-32 | 58 |
| 4. სტ. ეტიენი | 32 | 14 | 12 | 6 | 51-25 | 54 |
| 5. ნიცა | 32 | 15 | 9 | 8 | 48-37 | 54 |
| 6. ლილი | 32 | 14 | 11 | 7 | 48-31 | 53 |
| 7. მონპელიე | 33 | 14 | 6 | 13 | 50-43 | 48 |
| 8. ლორიანი | 32 | 12 | 11 | 9 | 52-51 | 47 |
| 9. ბორდო | 32 | 11 | 13 | 8 | 33-28 | 46 |
| 10. რენი | 32 | 12 | 6 | 14 | 43-47 | 42 |
| 11. ტულუზი | 32 | 10 | 11 | 11 | 40-41 | 41 |
| 12. ბასტია | 32 | 11 | 6 | 15 | 43-60 | 39 |
| 13. რეიმსი | 32 | 9 | 10 | 13 | 31-37 | 37 |
| 14. ვალანსიენი | 32 | 9 | 10 | 13 | 41-48 | 37 |
| 15. აიაჩო | 32 | 8 | 13 | 11 | 33-41 | 35 |
| 16. ევიანი | 32 | 8 | 10 | 14 | 38-46 | 34 |
| 17. სოშო | 32 | 8 | 8 | 16 | 32-50 | 32 |
| 18. ნანსი | 32 | 7 | 10 | 15 | 30-48 | 30 |
| 19. ბრესტი | 32 | 8 | 5 | 19 | 29-50 | 29 |
| 20. ტრუა | 32 | 4 | 13 | 15 | 36-55 | 25 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 26 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 14 – ალიადიერი (ლორიანი), ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 12 – მოდესტი (ბასტია), ბენ იედერი (ტულუზი).



პირველ წრეში „ნიცამ" პსჟ-ს 2:1 მოუგო

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი



23 წლის რუბენ ბოტამ (19) მორიგი შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა

# ბრაზილიელები უდანაკარგოდ

| II ჯგუფი. VI ტური | |
|---|---|
| სპ. კრისტალი-პალმეირასი | 1:0 |

**გოლი:** 1:0 ავილა (49).

| | |
|---|---|
| ლიბერტადი-ტიგრე | 3:5 |

**გოლები:** 0:1 ბოტა (11), 1:1 სამუდიო (14), 1:2 პერეს გარსია (29), 1:3 გ. დიასი (36-პენ), 2:3 ა. ნუნიესი (38), 2:4 პერეს გარსია (55), 2:5 ბოტა (78), 3:5 პ. ველასკესი (90).

**გაძევება:** ბენეგასი (33. ლიბერტადი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პალმეირასი | 6 | 3 | 0 | 3 | 5-5 | 9 |
| 2. ტიგრე | 6 | 3 | 0 | 3 | 9-10 | 9 |
| 3. ლიბერტადი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-9 | 8 |
| 4. სპ. კრისტალი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |

| VIII ჯგუფი. VI ტური | |
|---|---|
| ფლუმინენსე-კარაკასი | 1:0 |

**გოლი:** 1:0 რაფაელ სობისი (54).

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-გრემიო | 1:1 |

**გოლები:** 0:1 ზე რობერტო (33), 1:1 ასევალი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 6 | 3 | 2 | 1 | 5-5 | 11 |
| 2. გრემიო | 6 | 2 | 2 | 2 | 10-6 | 8 |
| 3. უაჩიპატო | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8 |
| 4. კარაკასი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-12 | 6 |

**ბომბარდირები:** 5 – ბ. როდრიგესი (უაჩიპატო); 4 – ავილა (სპორტინგ კრისტალი), ბოტა (ტიგრე), ბარეირო (ოლიმპია), მარტინეს ბორხა (სანტე ფე), გერერო (კორინთიანსი), ლაიხტვაისი (დეპორტეს ტოლიმა), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე).

**დასრულდა** ლიბერტადორესის თასის ჯგუფური ეტაპი და ყველა მერვედფინალისტი გაირკვა. ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს გასარკვევი 3 საგზურის ბედი იყო. გაცილებით დაძაბული მდგომარეობა მერვე ჯგუფში გახლდათ, სადაც მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივე გუნდს ჰქონდა.

საბოლოოდ, ბრაზილიურ კლუბებს პრობლემები არ შექმნიათ. „ფლუმინენსემ" **რაფაელ სობისის** ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, „გრემიო" კი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა (გოლი უბერებელმა **ზე რობერტომ** გაიტანა) და გამთანაბრებელი გოლი მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე გაუშვა. „უაჩიპატომ" მოსაგებად გაიწია, მაგრამ ჩილელებს დრო ალარ ეყოთ და მერვედფინალში ბრაზილიელები გავიდნენ.

მეორე ჯგუფის გადამწყვეტი მატჩი პარაგვაიში გაიმართა. „ლიბერტადი" „ტიგრეს" მასპინძლობდა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც ეყოფოდა. არგენტინელებმა მცირე სასწაული მოახდინეს და ურთულესი მატჩი მოიგეს, თუმცა სტუმრებს პარაგვაელთა მცველი **ისმაელ ბენეგასი** დაეხმარა – 25 წლის ფეხბურთელმა წითელი ბარათი მიიღო და საკუთარი გუნდი ათი კაცით დატოვა. „ტიგრეს" მხრიდან დუბლი **რუბენ ბოტამ** და **მატიას პერეს გარსიამ** შეასრულეს, ერთი გოლი კი (პენალტით) **გასტონ დიასმა** გაიტანა.

გაირკვა ყველა მერვედფინალური წყვილი და სატურნირო ბადეც. პირველი ოთხი წყვილი სატურნირო ბადის ერთ მხარეს მოხვდა, მეორე ოთხეული კი საპირისპირო მხარეს.

მერვედფინალების პირველი მატჩები 23 აპრილს გაიმართება.

გუნდები კი ასე დაწყვილდნენ:

„ატლეტიკო მინეირო"-"სან პაულო", „პალმეირასი"-"ტიხუანა", „კორინთიანსი"-"ბოკა ხუნიორსი", „ველეს სარსფილდი"-"ნიუელს ოლდ ბოისი".

„სანტა ფე"-"გრემიო", „ნასიონალი"-"რეალ გარსილასო", „ოლიმპია"-"ტიგრე", „ფლუმინენსე"-"ემელეკი".

თვალშისაცემია, რომ პირველი ოთხი წყვილი, საიდანაც ერთი ფინალისტი უნდა გაირკვეს, გაცილებით ძლიერია, ვიდრე მეორე ოთხეული, სადაც აშკარა ფავორიტად „ფლუმინენსე" მოჩანს.

ძალიან საინტერესო წყვლებია „ატლეტიკო მინეირო"-"სან პაულო" და „კორინთიანსი"-"ბოკა ხუნიორსი". ბრაზილიელები ჯგუფშიც ერთად იყვნენ და ერთმანეთს ბოლო ტურშიც შეხვდნენ, „კორინთიანსი" და „ბოკა" კი ერთმანეთს შარშანდელი ტურნირის ფინალში დაუპირისპირდნენ და მაშინ გამარჯვება ბრაზილიელებმა (1:1, 2:0) მოიპოვეს.

აქვე ვთქვათ, რომ ბრაზილიას ჯერ გუნდი არ დაუკარგავს – „პენტაკამპეონები" მერვედფინალში 6 გუნდით არიან წარმოდგენილნი, არგენტინას 4 გუნდი ჰყავს, ხოლო დანარჩენი 6 კლუბი 6 სხვადასხვა ქვეყნიდან (მექსიკა, ურუგვაი, პერუ, პარაგვაი, კოლუმბია, ეკვადორი) არის.

საფრანგეთის ლიგის თასი. ფინალის წინ

# ლიგის თასს ახალი მფლობელი ეყოლება

| 20 აპრილი | |
|---|---|
| სტ. ეტიენი-რენი | 23:00 |

ურთიერთშეხვედრები

**სულ 86 თამაში: +41 = 23 - 22 (137-93)**

„სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის ლიგის თასის ფინალური შეხვედრა გაიმართება. ნომინალური მასპინძელი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, 10-გზის ჩემპიონი „სენტ ეტიენია", რომელმაც ბოლო ტიტული 1981 წელს მოიპოვა, როდესაც უკანასკნელად გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. ამის გარდა, „მწვანეებს" საფრანგეთის თასი 6-ჯერ აქვთ მოგებული, ხოლო ლიგის თასზე ჯერ არ უმარჯვიათ.

მიუხედავად იმისა, რომ „ლიონთან" ერთად „რენი" არის ერთადერთი გუნდი, ვინც ბოლო 10 წლის განმავლობაში მუდამ ლიგა 1-ის ათეულში ასრულებს სეზონს, ამ გუნდს ტიტული უკვე 42 წელია არ მოუპოვებია და ლიგის თასი არც მას მოუგია.

შეხვედრის ფავორიტად „სენტ ეტიენი" მიიჩნევა, რომელმაც შუა კვირაში თასის 1/4 ფინალში წააგო (ლორიანთან).

*„ჩვენ ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან სათასო დუბლის შესრულება გვსურდა, მაგრამ ახლა იმ თამაშზე აღარ ვფიქრობთ და მთლიანად შაბათის დაპირისპირებაზე ვართ გადართულნი. შეხვედრის დაწყების წინ 100 პროცენტით მზად ვიქნებით,"* – განაცხადა **პიერ-ემერიკ ობამეიანმა**, ვისაც 2013 წელს 12 გოლი აქვს გატანილი.

სხვათა შორის, „ლორიანთან" განცდილი მარცხი „სენტ ეტიენისთვის" პირველი იყო 2013 წელს. საპირისპირო სიტუაციაა „რენში" – **ფრედერიკ ანტონეტის** შეგირდები იანვრის თვეში საოცარ ფორმაში იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტრავმა მიიღო **რომენ ალესანდრინიმ**, გუნდს თამაში აღარ მოუგია (2 ფრე და 6 წაგება). ამის გამო „რენი" ჩემპიონატში მე-10 ადგილამდე დაქვეითდა და ევროტურნირის საგზურის მოპოვება მხოლოდ ლიგის თასის მოგებით შეუძლია.

ეს გუნდები წელს უკვე ორჯერ შეხვდნენ. „სენტ ეტიენმა" შინ 2:0 მოიგო (გოლები ობამეიანმა და **კოადმა** გაიტანეს), ხოლო „სტად დე ლა რუტ დე ლორიანზე" გამართული შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა – **რომენ დანზეს** და **ჟულიენ ფერეს** გოლებს, **იოან მოლომ** და იმავე ობამეიანმა უპასუხეს.

გუნდების განვლილ გზას რაც შეეხება: „სენტ ეტიენს" ძალიან რთული გზა გამოუვიდა – წინა ოთხი ეტაპიდან სამში „მწვანეებმა" პენალტების სერიაში იმარჯვეს („ლორიანთან", „ლილთან" და პსჟ-სთან) და ერთადერთი გუნდი, რომელსაც ძირითად დროში მოუგეს „სოშო" (1/8 ფინალში) იყო.

**კრისტოფ გალტიეს** გუნდის საპირისპიროდ, „რენმა" ოთხივე მატჩი მოიგო, ოღონდ აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ანტონეტის გუნდმა ოთხივე მატჩი შინ ჩაატარა და ასე თუ ისე სერიოზული მეტოქე მხოლოდ 1/2 ფინალში („მონპელიე") შეხვდა.

გუნდებს ახალი დანაკლისი არ აქვთ. „მწვანეებს" დიდი ხნის წინ ტრავმირებული **მაქს-ალან გრადელი** და **ჟერემი კლემანი** ვერ დაეხმარებიან, „რენს" კი **რომენ ალესანდრინის** იმედი არ უნდა ჰქონდეს, ასევე საეჭვოა **რომენ დანზეს, ჯონ მენსას** და **კევინ ტეოფილ-კატერინის** თამაში.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სენტ ეტიენი (4-3-3):** რუფიე – კლერი, ბაიალი, პერენი, ბრისონი – ლემუანი, გილავოგი, კოადი – ობამეიანი, მოლო, ბრანდაო.

**რენი(4-2-3-1):** კოსტილი – დანზე, ბოიე, კანა-ბიიკი, მავინგა – პაჟო, მაკუნი – პიტროიპა, ფერე, დიალო – ერდინჩი.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტურის წინ

# ოცნებები ევროპაზე და გავარდნის შიში

**გლადბახი–აუგსბურგი 1:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 29 | 25 | 3 | 1 | 83-13 | 78 |
| 2. დორტმუნდი | 29 | 17 | 7 | 5 | 72-35 | 58 |
| 3. ლევერკუზენი | 29 | 14 | 8 | 7 | 53-38 | 50 |
| 4. შალკე | 29 | 13 | 7 | 9 | 50-45 | 46 |
| 5. ფრაიბურგი | 29 | 12 | 9 | 8 | 39-34 | 45 |
| 6. გლადბახი | 30 | 11 | 11 | 8 | 37-39 | 44 |
| 7. აინტრახტი | 29 | 12 | 6 | 11 | 42-42 | 42 |
| 8. ჰამბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 34-45 | 41 |
| 9. მაინცი | 29 | 10 | 9 | 10 | 36-34 | 39 |
| 10. ჰანოვერი | 29 | 11 | 5 | 13 | 50-49 | 38 |
| 11. ნიურნბერგი | 29 | 9 | 11 | 9 | 33-39 | 38 |
| 12. შტუტგარტი | 29 | 10 | 6 | 13 | 31-46 | 36 |
| 13. ვოლფსბურგი | 29 | 8 | 10 | 11 | 35-45 | 34 |
| 14. ვერდერი | 29 | 8 | 8 | 13 | 45-56 | 32 |
| 15. ფორტუნა | 29 | 7 | 9 | 13 | 35-45 | 30 |
| 16. აუგსბურგი | 30 | 6 | 9 | 15 | 27-45 | 27 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 29 | 6 | 6 | 17 | 35-54 | 24 |
| 18. ფიურტი | 29 | 2 | 9 | 18 | 19-52 | 15 |

**ბომბარდირები:** 22 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 19 - კისლინგი (ლევერკუზენი); 15 - მანჯუკიჩი (ბაიერნი); 13 - ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი).

**„ბაიერნის" გაჩემპიონების შემდეგ გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურებს ფონად ევროტურნირების საგზურებისა და გადარჩენისთვის ბრძოლა გასდევს და ბუნდესლიგა უკვე ამ მხრივად დასკვნით ფაზაში შედის. ყველა ხვდება, რომ დორტმუნდის „ბორუსია" გაისად აუცილებლად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ იურგენ კლოპის გუნდს ამ ტურში ლიგის საგზურის ოფიციალურად განალდება შეუძლია. ყველა ხვდება, რომ „ფიურტის" გადარჩენა შეუძლებელია, მაგრამ უიმედო აუტსაიდერი მეორე ბუნდესლიგაში ოფიციალურად შეიძლება სწორედ ამ ტურში დაქვეითდეს.**

### 20 აპრილი

**დორტმუნდი–მაინცი 17:30**

**ტრავმა:** ოვომოიელა, კელი - ჰ. მიულერი, ბუნგერტი, კირხჰოფი, ზაბავნიკი, ედე, ჩუპომოტინგი, კლასნიჩი

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 13 თამაში: +5=6-2, (16:10)**

**ლევერკუზენი–ჰოფენჰაიმი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** თოფრაქი (ლევერკუზენი)

**ტრავმა:** ბელარაბი - გომეში, აბრაამი, კრისი, გრიფო, ვუკჩევიჩი, დერდიოკი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +8=1-0, (22:7)**

**ჰანოვერი–ბაიერნი 17:30**

**ტრავმა:** ეგიმანი, ფელიპე, ანდრეასენი, ფრანკა, ჰუსტი - ბადშტუბერი, კროოსი, მანჯუკიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 47 თამაში: +9=8-30, (50:125)**

**ჰამბურგი–ფორტუნა 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბაისტერი (ჰამბურგი)

**ტრავმა:** ილიჩევიჩი, ბერგი - ბრუნო სუარესი, რამირესი, ბოძეკი, ბოლი, გარბუშევსკი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +0=3-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 45 თამაში: +20=12-13, (83:64)**

**აინტრახტი–შალკე 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ს. იუნგი (აინტრახტი)

**ტრავმა:** ტრაპი, კიტელი, მაიერი, შვეგლერი - უნერშტალი, მეტცელდერი, კ. პაპადოპულოსი, აფელაი, ფარფანი, ჰუნტელაარი, ობასი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 77 თამაში: +27=20-30, (116:117)**

**ვერდერი–ვოლფსბურგი 20:30**

**ტრავმა:** თრაობული, აკპალა, ფიულკრუგი - კირიაკოსი, პერიშიჩი, პილარი

ბოლო 6 მატჩი

+0=4-2 +1=4-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 31 თამაში: +13=7-11, (59:47)**

### 21 აპრილი

**შტუტგარტი–ფრაიბურგი 17:30**

**ტრავმა:** ბა, დიდავი, კაკაუ, თორუნი - ტერაცინო, ფრაისი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 27 თამაში: +15=2-10, (40:34)**

**ნიურნბერგი–ფიურტი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** პინოლა (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** მარკოს ანტონიო, გებჰარტი, ჰლუშეკი - შმიდტგალი, შტიბერი, ტირალა

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 1 თამაში: +0=1-0, (0:0)**

### დორტმუნდს მაინცის შემდეგ რეალი ელის

დორტმუნდელთათვის ალბათ მაინც სულერთია ის, რომ ამ ტურში ჩემპიონთა ლიგის საგზურის განალდება ოფიციალურად შეუძლიათ, რადგან ამაში ეჭვი ისედაც არავის ეპარება - ისევე, როგორც „ბაიერნის" ჩემპიონობა იყო გარდაუვალი. მეტიც: საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ბორუსიას" მეორე ადგილი განალდებული აქვს. შესაბამისად, დორტმუნდელები „მაინცთან" საშინაო მატჩის დროს სავარაუდოდ უფრო მადრიდის „რეალთან" მოახლოებულ პაექრობაზე იფიქრებენ. დიდი შანსია, რომ „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** როტაციას მიმართოს. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდელთა გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკის** ზედიზედ 11 შეხვედრაში გაჰქონდა და თუ ათამაშეს, ამ სარეკორდო მაჩვენებლის კიდევ უფრო გაუმჯობესებას ეცდება. „მაინცის" მოტივაცია კი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა და თომას ტუხელის გუნდს ამ მიზნამდე ახლა სამი ქულა აშორებს. შეგახსენებთ, რომ კლოპი „მაინცის" ყოფილი დამრიგებელია და ამ კლუბის ხელმძღვანელებთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა აქვს, მაინცელი ფანები კი დღემდე მასზე შეყვარებულები არიან. ბარემ იმასაც გაგახსენებთ, რომ კლოპმა **ნევენ სუბოტიჩი** დორტმუნდში სწორედ მაინციდან წაიყვანა...

„დორტმუნდს" ცხრილში „ლევერკუზენი" მოსდევს, რომელიც ამ ტურში „ჰოფენჰაიმს" მასპინძლობს. „ბაიერმა" წინა ტურში „შალკეს" დამარცხება ვერ შეძლო (2:2), თუმცა მესამე ადგილი და გელზენკირხენულ კლუბთან 4-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. იმისათვის, რომ თავი მშვიდად იგრძნონ, ლევერკუზენელებს ჰოფენჰაიმელებთან სამი ქულა სჭირდებათ, მაგრამ დისკვალიფიცირებული თოფრაქის გარეშე დარჩენილ „ბაიერს" იოლი თამაში არ ელის. „ჰოფენჰაიმი" გადარჩენისთვის გააფთრებით იბრძვის და თანაც, „სოფლელებს" **მარკუს გისდოლის** ხელში პროგრესი დაეტყოთ.

### ბაიერნი: მეორე წრის მე-13 გამარჯვება?

შესანიშნავ ფორმაში მყოფ „ბაიერნთან" ჭიდილი ამჯერად „ჰანოვერს" მოუწევს - გუნდს, რომელსაც საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის იმედი არ დაუკარგავს და რომლის ხელმძღვანელობაში აშკარა კრიზისია. სწორედ ამის დასტური გახლავთ ის, რომ ბოსებმა მენეჯერ **იორგ შმადტკეს** უფლებამოსილება მოუხსნეს. წინა ტურში „ჰანოვერი" ფრაიბურგში დამარცხდა და კიდევ უფრო მოშორდა საუკეთესო ექვსეულს, ახლა კი, **მირკო სლომკას** გუნდს თვით „ბაიერნთან" ექნება საქმე. რეკორდმასტერს კი, როგორც იცით, მეორე წრის ყველა, თორმეტივე თამაში მოგებული აქვს და გერმანიის თასის ნახევარფინალშიც იოლი გასეირნება მოიწყო (6:1 ვოლფსბურგთან). წინა ტურში, „ნიურნბერგთან" **იუპ ჰაინკესმა** ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა, მაგრამ მიუნხენელებმა ფრანკებს მაინც იოლად გადაუარბინეს (4:0). აღსანიშნავია, რომ „ბაიერნს" ჰანოვერში ორი წელია, არ მოუგია! ბოლო ორი სტუმრობის შემდეგ ბავარიელები ჰანოვერიდან ხელცარიელები გაბრუნდნენ...

### შალკე ფრანკფურტში

მხოლოდ ერთი მოგება ბოლო 9 მატჩიდან და 3 ფრე - რა გასაკვირია, რომ სენსაციური „აინტრახტი" მეოთხედან მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა და ახლა ექვსეულს მიღმა დარჩენის საფრთხეც ემუქრება. **არმინ ფეეს** გუნდი ახლა სწორედ უშუალო კონკურენტ „შალკეს" მასპინძლობს - გუნდს, რომელსაც პროგრესი დაეტყო (5 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება ბოლო 8 ტურში). ფრანკფურტელებს ძალიან დააკლდებათ ტრავმირებული კაპიტანი **შვეგლერი** და ლიდერი **ალექს მაიერი**, წამყვანი მარჯვენა მცველი **სებასტიან იუნგი** კი დისკვალიფიცირებულია. შესაბამისად, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ფეე ძირითადში ახალგაზრდა **შტენდერას** ათამაშებს.

### ჰამბურგი სტაბილურობის ძიებაში

„ჰამბურგმა" საკუთარ მოედანზე ზედიზედ ორჯერ 0:1 წააგო, ამ წაგებებს შორის კი „ბაიერნთან" 2:9 განადგურდა, წინა ტურში კი ამბიციური „მაინცის" დამარცხება შეძლო და ერთი სიტყვით, **ტორსტენ ფინკის** გუნდი ძველებურად ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილურია. მიუხედავად ამისა, „ჰამბურგი" ევროზონას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და ჯერ კიდევ აქვს ევროპალიგაში მოხვედრის იმედი. ჰამბურგელები ამჯერად დიუსელდორფის „ფორტუნას" მასპინძლობენ - გუნდს, რომელიც გასავარდნ ზონასთან ყველაზე ახლოსაა და შესაბამისად წაგება აკრძალული აქვს.



ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის: ბენედიქტ ჰიოვედესის (მარჯვნივ) შალკე სებასტიან როდესა და ქარიმ მატმურის „აინტრახტს" სტუმრობს

შაბათის საღამოს მატჩი კი „ვერდერისა" და „ვოლფსბურგის" დაპირისპირებაა. ბრემენელები და „მგლები" ცხრილის ქვედა ნაწილში არიან, თუმცა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე სერიოზულად არ ემუქრებათ. ამასთან, ამ მატჩის ინტრიგა „მგლების" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსიცაა**, რომელიც „ვერდერიდან" „ვოლფსბურგში" გადაბარგების შემდეგ ბრემენში პირველად ჩადის.

### შტუტგარტი-ფრაიბურგი, მეორე რაუნდი

კვირის პირველი მატჩი „შტუტგარტისა" და „ფრაიბურგის" ჯახია. ეს გუნდები ერთმანეთს ოთხშაბათსაც (გერმანიის თასის ნახევარფინალში) შეხვდნენ და ის მატჩი „შტუტგარტმა" 2:1 მოიგო, რითაც არა მარტო გერმანიის თასის ფინალში თამაში, არამედ ევროპალიგაში ასპარეზობაც გაინალდა. სწორედ ეს მიზანი აქვს „ფრაიბურგსაც", რომელიც 29 ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზეა და გამორიცხული არც ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც კი გაიბრძოლოს.

30-ე ტურს „ნიურნბერგისა" და „ფიურტის" დერბი დახურავს, რომელმაც ბოლოადგილოსანი მეორე ბუნდესლიგაში, შესაძლოა, ოფიციალურად გაისტუმროს...

● ტრანსფერი



# დორტმუნდის გმირი შალკეში მიდის!

### სენსაცია: გელზენკირხენელებს ფელიპე სანტანა მილიონი ევრო უჯდებათ

ეს იგივეა, „ბარსელონას" ფეხბურთელი „რეალში" რომ გადავიდეს, ან „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელმა ეს გუნდი „რივერ პლეიტზე" რომ გაცვალოს: წინა კვირაში 27 წლის ბრაზილიელმა მცველმა **ფელიპე სანტანამ** დორტმუნდის „ბორუსია" მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე გატანილი გოლით ჩეპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა და დორტმუნდის ფანებს კიდევ უფრო მეტად შეაყვარა თავი, ახლა კი გაირკვა, რომ სანტანა მომდევნო სეზონიდან „ბორუსიას" მოსისხლე მტერ „შალკეში" იასპარეზებს!

გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, ბრაზილიელი მცველის ტრანსფერი გადაწყვეტილია - გასარკვევი მხოლოდ რამდენიმე დეტალი დარჩა. „ბილდის" ინფორმაციით, ფეხბურთელი, რომელიც „დორტმუნდში" 2008 წლიდან თამაშობს, „შალკეს" სულ რაღაც მილიონი ევრო დაუჯდება.

„დორტმუნდისა" და „შალკეს" ხელმძღვანელებმა გუშინ ფელიპე სანტანას ტრანსფერზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. ფაქტია, რომ სანტანამ გელზენკირხენულ კლუბში 32 წლის **კრისტოფ მეტცელდერი** უნდა შეცვალოს - ამ უკანასკნელს „შალკესთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება. მიზეზი, თუ რატომ ტოვებს სანტანა „დორტმუნდს" ყველასათვის გასაგებია: **მატს ჰუმელსისა** და **ნევენ სუბოტიჩის** კომპანიაში მას „ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრების შანსი არა აქვს. სამაგიეროდ, ბევრისთვის კიდევ დიდხანს იქნება გაუგებარი, რატომ გადაწყვიტა მან მაინცდამაინც „შალკეში" გადასვლა - ცნობილია, რომ სხვა შეთავაზებებიც ბევრი ჰქონდა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფელიპე სანტანა არ არის პირველი ფეხბურთელი, რომელმაც რურის დერბის ერთი გრანდიდან მეორეში გადასვლა გადაწყვიტა. სწორედ ეს გზა გაიარეს თავის დროზე **ანდი მიოლერმა** და **როლფ რიუსმანმაც**. **სტან ლიბუდა** კი თავის დროზე „შალკედან" „დორტმუნდში" გადავიდა და მერე ისევ „შალკეში" დაბრუნდა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია აპრილის ნომერი!

იტალია. სერია A. XXXIII ტურის წინ

# დიდი იტალიური ჯახი

## და კიდევ უფრო ცხელი დერბი...

### 21 აპრილი

**ინტერი-პარმა 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** პალეტა (პარმა).
**ტრავმა:** ობი, მუდინგაი, მილიტო, კასტელაცი, კივუ, ნაგატომო, სტანკოვიჩი, პალასიო, კასანო, მბაიე, გარგანო, კამბიასო, გუარინი - მარიგა, პალადინო, მაჩეაკენი.

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +2=1-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 39 თამაში: +16=10-13, (58-48)

**ბოლონია-სამპდორია 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** გარიჩი - კოსტა, დე სილვესტრი.
**ტრავმა:** პერესი, კონე - ედერი, კრსტიჩიჩი.

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 18 თამაში: +4=7-7, (23-28)

**ფიორენტინა-ტორინო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** პასკუალი (ფიორენტინა).
**ტრავმა:** იოვეტიჩი, აგაცი, ვოლსკი, როსი, კამპორეზე - ბრიგი.

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 19 თამაში: +10=5-4, (30-14)

**სიენა-კიევო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო (სიენა).
**ტრავმა:** მატეუ - სპიროპულოსი.

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +2=1-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 18 თამაში: +7=5-6, (21-19)

**რომა-პესკარა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი, ბალცარეტი, ბურდისო - სკული.
**ტრავმა:** დეროსი, პანიჩი, ფლორენცი - დაგოსტინო, ბოკეტი, ძაური, კროლდრუპი, კუინტერო.

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 +0=0-6
ურთიერთშეხვედრები
სულ 1 თამაში: +1=0-0, (1-0)

**კატანია-პალერმო 17.00**

**ტრავმა:** შაკა, რიკიუტი, ტერაჩანო, ალვარესი - მანტოვანი, ილიჩიჩი, მიკოლი.

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 21 თამაში: +7=6-8, (33-34)

**ნაპოლი-კალიარი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** დე სანქტისი, კამპანიარო - კონტი, პინილია.
**ტრავმა:** ავრამოვი, პიზანო, კოსუ (კალიარი).

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 +3=2-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 25 თამაში: +8=12-5, (30-27)

**იუვენტუსი-მილანი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბალოტელი, ფლამინი (მილანი).
**ტრავმა:** ანელკა, კიელინი, ჯოვინკო, პეპე - დე იონგი.

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 44 თამაში: +16=14-14, (57-50)

### 20 აპრილი

**ჯენოა-ატალანტა 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვარგასი, ბორიელო - რაიმონდი, კარმონა, დენისი.
**ტრავმა:** როსი - ბელინი, კაცოლა, მარილუნგო, ბუდანი, ბრიენცა.

ბოლო 6 მატჩი
+0=2-4 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 17 თამაში: +7=3-7, (19-17)

**უდინეზე-ლაციო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** მურიელი - ცანა.
**ტრავმა:** ფარაონი - რადუ, კლოზე, ლულიჩი, პერეირინია, ბროკი.

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 37 თამაში: +18=9-10, (74-54)

**კვირას ტურინში არა მარტო იტალიური, მსოფლიო მასშტაბით გამორჩეული დაპირისპირება შედგება: „იუვენტუსი" „მილანის" წინააღმდეგ... ეს ის შემთხვევაა, როდესაც მატჩი სატურნირო ცხრილის გარეშეც პრინციპულია და დიდი მნიშვნელობა არც აქვს, ვინ რომელ ადგილზე იმყოფება. თუმცა, ამ ჯახს სატურნირო ინტრიგაც ახლავს - „როსონერი" მეორე ადგილისთვის, ანუ ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრისთვის იბრძვის, „იუვენტუსს" კი სკუდეტოს მოპოვება ეჩქარება...**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 23 | 5 | 4 | 63-20 | 74 |
| 2. ნაპოლი | 32 | 18 | 9 | 5 | 58-30 | 63 |
| 3. მილანი | 32 | 17 | 8 | 7 | 55-34 | 59 |
| 4. ფიორენტინა | 32 | 16 | 7 | 9 | 58-39 | 55 |
| 5. რომა | 32 | 15 | 6 | 11 | 62-53 | 51 |
| 6. ლაციო | 32 | 15 | 6 | 11 | 39-38 | 51 |
| 7. ინტერი | 32 | 15 | 5 | 12 | 49-44 | 50 |
| 8. უდინეზე | 32 | 12 | 12 | 8 | 44-39 | 48 |
| 9. კატანია | 32 | 13 | 8 | 11 | 40-38 | 47 |
| 10. კალიარი | 32 | 11 | 9 | 12 | 39-49 | 42 |
| 11. პარმა | 32 | 10 | 9 | 13 | 39-42 | 39 |
| 12. ბოლონია | 32 | 10 | 8 | 14 | 42-41 | 38 |
| 13. სამპდორია | 32 | 10 | 8 | 14 | 37-39 | 37 |
| 14. ატალანტა | 32 | 11 | 6 | 15 | 34-47 | 37 |
| 15. ტორინო | 32 | 8 | 13 | 11 | 40-45 | 36 |
| 16. კიევო | 32 | 10 | 6 | 16 | 32-48 | 36 |
| 17. სიენა | 32 | 9 | 9 | 14 | 34-44 | 30 |
| 18. პალერმო | 32 | 5 | 13 | 14 | 29-45 | 28 |
| 19. ჯენოა | 32 | 6 | 10 | 16 | 32-49 | 28 |
| 20. პესკარა | 32 | 6 | 3 | 23 | 24-66 | 21 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა - 2, სამპდორია - 1, ტორინო - 1.*

**ბომბარდირები:** 22 - კავანი (ნაპოლი); 17 - დი ნატალე (უდინეზე); 16 - ელ შაარავი (მილანი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 - ლამელა (რომა); 13 - პაცინი (მილანი); 12 - იოვეტიჩი (ფიორენტინა), პალასიო (ინტერი), ტოტი (რომა), ოსვალდო (რომა).

**ანტონიო კონტემ** ყველა გააკვირვა, როდესაც „ლაციოსთან" შეხვედრაში სრულიად ახალი ტაქტიკა 3-5-1-1 გამოიყენა. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის უკან **კლაუდიო მარკიზიო** გაამწესა და გამოვიდა, რომ ტურინელებს მოედანზე ექვსი ნომინალური ნახევარმცველი ჰყავდათ. „გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, კონტე „მილანსაც" იმავე ტაქტიკით დაუპირისპირდება და არც შემადგენლობაში შეიტანს ცვლილებებს. მოკლედ, ფორვარდი ვუჩინიჩია, მის უკან მარკიზიო გაირჯება, კიდევ უფრო უკან კი ტრადიციული ხუთეული.

ჩემპიონატის დასრულებამდე სულ უფრო ცოტა ტური რჩება და მოგების შემთხვევაში, ტურინელები სკუდეტოს ერთი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდებიან. ამად არის, რომ მთელი „იუვენტუსი" საბრძოლველად არის შემართული, კომენტარების პათოსი კი დაახლოებით ასეთია: არ უნდა მოვდუნდეთ...

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *„სკუდეტოს მხოლოდ მაშინ მოვიგებთ, როდესაც ჩვენი უახლოესი მდევარი დაწევის თეორიულ შანსსაც დაკარგავს. იქამდე ბრძოლაა საჭირო და ამას ვაპირებთ კიდეც. „მილანის" დამარცხება იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენი მიზანი სწორედაც რომ სამი ქულის მოპოვებაა. ზედმეტად დაცვითი ტაქტიკა? - „ლაციოსთან" მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გვყავდა, მაგრამ თამაში ძირითადად მეტოქის ნახევარზე მიდიოდა. ჩვენ შევუტევთ და ამაში ტაქტიკა მხოლოდ დაგვეხმარება".*

#### შემტევი მილანი

კაცმა რომ თქვას, **მასიმილიანო ალეგრის** „მილანი" არც არასდროს ყოფილა ზედმეტად დაცვითი, მაგრამ როგორც ლომბარდიელები ამბობენ, „იუვენტუსთან" ცალსახად შემტევ „როსონერის" ვიხილავთ... სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან „ნაპოლისთან" კიდევ უფრო ჩამორჩენა, ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში პირდაპირ მოხვედრასთან გამოთხოვების ტოლფასი იქნება. ეგ კი არა, ვინძლო „მილანს" „ფიორენტინაც" წამოეპაროს და დიდი ბრძოლა გაუმართოს. მოკლედ, „როსონერის" მოგება უნდა - ისე, როგორც არასდროს სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში.

„გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ამჯერად ალეგრი **კევინ პრინს ბოატენგს** სათადარიგო სკამზე დასვამს, სასტარტო შემადგენლობაში კი ბოლო ხანს დაჩაგრულ **მბაიე ნიანგს** ვიხილავთ. მასთან ერთად, შეტევის წინა ხაზზე **სტეფან ელ შაარავი** და **ჯამპაოლო პაცინი** გაირჯებიან. გეცოდინებათ, რომ **მარიო ბალოტელის** დისკვალიფიკაცია აქვს და „იუვენტუსის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა წინასამატჩო კომენტარში ბალოტელიც ახსენა...

**მასიმილიანო ალეგრი (მილანი):** *„მარიო ბალოტელი ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ საბედნიეროდ, სრულ მზადყოფნაში გვყავს ჯამპაოლო პაცინი. წინ დიდი მატჩია, რომელშიც მხოლოდ გამარჯვება გვაძლევს ხელს. ბევრს ეს უტოპიად მიაჩნია, მაგრამ პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვფიქრობ, ტურინელებიც მოსაგებად ითამაშებენ და წესით, კარგი ფეხბურთი უნდა გაჩაღდეს".*


ბევრი რამ მოედნის ცენტრში ანდრეა პირლოსა და რიკარდო მონტოლივოს დაპირისპირებაზე იქნება დამოკიდებული

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-1-1):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, პელუზო - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, პოგბა, ასამოა - მარკიზიო - ვუჩინიჩი.
**მილანი (4-3-3):** აბიატი - დე შილიო, საპატა, მექსე, კონსტანტი - ამბროზინი, მონტოლივო, მუნტარი - ნიანგი, ელ შაარავი, პაცინი.

#### კიდევ ერთი დერბი

კიდევ ერთი დერბი და ალბათ, კიდევ უფრო ცხელი, ვიდრე რომაული და მით უმეტეს, გენუური. XXXIII ტურში ერთმანეთის პირისპირ „კატანია" და „პალერმო" წარდგებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ სიცილიაში დუღილის ტემპერატურა მაქსიმუმამდე აიწევს. ამ დაპირისპირებას ხშირად მოსდევს არეულობა და თვით სისხლისღვრაც კი, ერთხელ კი ტიფოზებისა და კარაბინიერების შეტაკებას სულაც მსხვერპლი მოჰყვა... მოკლედ, მშვიდობის თემა ამ უქმეებზეც აქტუალურია და იმედია, სიცილიაში ყველაფერი რიგზე იქნება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

N1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტურის წინ

# მოურინიო: უნაკლო კლუბი არ არსებობს, არც – მწვრთნელი

## სანამ გრანდები ჩემპიონთა ლიგისთვის ვარჯიშობენ, სხვების ყოფნა-არყოფნა წყდება

**მალიორკა-ვალეკანო 1:1**

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 31 | 26 | 3 | 2 | 98-33 | 81 |
| 2. რეალი | 31 | 21 | 5 | 5 | 80-29 | 68 |
| 3. ატლეტიკო | 31 | 20 | 5 | 6 | 56-25 | 65 |
| 4. სოსიედადი | 31 | 15 | 9 | 7 | 57-39 | 54 |
| 5. მალაგა | 31 | 14 | 8 | 9 | 44-32 | 50 |
| 6. ვალენსია | 31 | 14 | 8 | 9 | 47-45 | 50 |
| 7. ბეტისი | 31 | 14 | 6 | 11 | 47-46 | 48 |
| 8. ვალეკანო | 32 | 14 | 3 | 15 | 41-52 | 45 |
| 9. ხეტაფე | 31 | 12 | 8 | 11 | 39-46 | 44 |
| 10. სევილია | 31 | 12 | 6 | 13 | 48-45 | 42 |
| 11. ესპანიოლი | 31 | 10 | 10 | 11 | 40-42 | 40 |
| 12. ლევანტე | 31 | 11 | 7 | 13 | 35-50 | 40 |
| 13. ვალიადოლიდი | 31 | 10 | 8 | 13 | 40-44 | 38 |
| 14. ბილბაო | 31 | 10 | 5 | 16 | 34-56 | 35 |
| 15. ოსასუნა | 31 | 8 | 7 | 16 | 26-36 | 31 |
| 16. დეპორტივო | 31 | 7 | 8 | 16 | 42-63 | 29 |
| 17. მალიორკა | 32 | 7 | 7 | 18 | 34-64 | 28 |
| 18. გრანადა | 31 | 7 | 7 | 17 | 27-50 | 28 |
| 19. სარაგოსა | 31 | 7 | 6 | 18 | 28-49 | 27 |
| 20. სელტა | 31 | 6 | 6 | 19 | 29-46 | 24 |

**ბომბარდირები:** 43- ლიონელ მესი (ბარსელონა); 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 24 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 18 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

### 20 აპრილი

**გრანადა-ვალიადოლიდი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბრაიმი (გრან)
**ტრავმა:** იებდა, ფ. რიკო, ბენიტესი (გრან)

ბოლო 6 მატჩი
+0=2-4 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 3 თამაში: +1=0-2, (3-4)**

**რეალი-ბეტისი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩაბი ალონსო (რეალ)
**ტრავმა:** ესიენი (?), კაკა, იოზილი, არბელოა - პოსუელო, სევილია, ვილარჩაო, ნაჩო, ნონო, მარიო

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 +2=3-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 35 თამაში: +16=12-7, (54-34)**

**ბარსელონა-ლევანტე 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** იბორა (ლევ)
**ტრავმა:** ბუსკეტსი (?), მესი (?), მასკერანო, პუიოლი (ბარ)

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +1=3-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 11 თამაში: +8=3-0, (28-8)**

**ვალენსია-მალაგა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პიატი, რამი, ბარაგანი - ტულალანი, გამესი (?), ჟ. ბაპტიშტა (?), მორალესი, პორტილიო, სანტა კრუსი

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +14=6-3, (40-23)**

### 21 აპრილი

**ხეტაფე-ესპანიოლი 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** რ. როდრიგესი (ესპ)
**ტრავმა:** ესკუდერო (?), ტორესი, პედრო ლეონი, კოლუნგა, მოია - მატიონი, ს. გარსია (?), ლონგო

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +2=3-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +7=6-8, (29-22)**

**დეპორტივო-ბილბაო 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** აგილარი, რიკი, ლაურე, კამუნიასი - ამორებიეტა (?), გალარეტა, პერესი, ირაოლა (?)

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +3=0-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 37 თამაში: +16=11-10, (56-41)**

**ოსასუნა-სოსიედადი 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბერტრანი
**ტრავმა:** - დე ლა ბელა (?), ანანი, სისი, ფლანიო, დამია - ილარამენდი (?), ზურუტუზა

ბოლო 6 მატჩი
+1=0-5 +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +7=5-9, (19-21)**

**სევილია-ატლეტიკო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტროხოვსკი, კამპანია - ტიაგო, არდა თურანი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +2=3-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 36 თამაში: +14=12-10, (51-47)**

### 22 აპრილი

**სელტა-სარაგოსა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტუნიესი, ლიორკა, ალვარესი, დემიდოვი (?), მალიო - ალამო, აპონიო (?), ობრადოვიჩი, სუკულინი

ბოლო 6 მატჩი
+0=1-5 +0=2-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 27 თამაში: +10=9-8, (26-27)**



ჟოზე მოურინიო კასილიასის საკითხში უკან არ იხევს

**ლა ლიგის დასრულებამდე 6 ტურით ადრე „რეალი“ და „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების უკანასკნელ რეპეტიციებს გამართავენ. ამ გუნდებისთვის ტურს მეტი დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს. აი, სხვები კი დიდ ქარცეცხლში არიან. ვინ ლიგის საგზურისთვის იბრძვის, ვინ - ევროპალიგის, ვინაც მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრებისთვის...**

### რალა დარჩა ახამდე

ერთი, ორი, სამი... სამი მოგებალა აშორებს კატალონიურ გრანდს ესპანეთის ჩემპიონობამდე, თუმცა ტიტულის გადმობარება ოფიციალურად შეიძლება უფრო ადრეც გაფორმდეს, თუ „რეალს“ ფეხი დაუცდება. „ბარსელონას“ მეტოქეა გუნდი, რომელსაც მისთვის არასოდეს მოუგია და გვეჭვება, რომ ახლა შეძლოს - ვალენსიური „ლევანტე“.

**ლეო მესიმ** გუნდთან ერთად ივარჯიშა, ის სრულიად ჯანმრთელია, თუმცა, არა გვგონია, სასტარტო შემადგენლობაში ვიხილოთ. **ტიტო ვილანოვა** არგენტინელს უფრთხილდება და მას ალბათ, შეცვლაზე მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას. ის, რომ მესი ითამაშებს, ლოგიკურია - „ლა პულგას“ „ბაიერნამდე“ სათამაშო ტონუსის აღდგენა ესაჭიროება.

**სერხიო ბუსკეტსმა** ტრავმა მოირჩინა, აი, **კარლეს პუიოლმა** და **ხავიერ მასკერანომ** - ვერა.

„ლევანტეს“ ნახევარმცველი **ვისენტე იბორა** დისკვალიფიცირებულია, მან ლა ლიგაში მე-10 ყვითელი ბარათი მიიღო. სტუმართა მწვრთნელ **ხუან იგნასიო მარტინესს** მეტი საკადრო პრობლემა არა აქვს, თუმცა მისი გუნდი იმდენად ცუდ ფორმაშია, რომ შემადგენლობაში ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

* „ბარსელონას“ 11-ტურიანი მოგებათა სერია აქვს.

* 31 მატჩში „ბარსამ“ 98 გოლი გაიტანა, ეს ლა ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

* ლიონელ მესი ლა ლიგის ბომბარდირია 29 მატჩში 43 გოლით.

* „ლევანტეს“ საგარეო მატჩებში 8-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს.

* ვალენსიურმა კლუბმა „ბარსელონასთან“ ბოლო 8 შეხვედრიდან 7 დათმო.

* რაც „ლევანტემ“ მთავარი ფორვარდი **ობაფემი მარტინსი** მლს-ის „სიეტლში“ გაყიდა, მხოლოდ ერთი მატჩის მოგება შეძლო.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, ბარტრა, ადრიანო, მონტოია - ტ. ალკანტარა, სონგი, ფაბრეგასი - ა. სანჩესი, ვილია, ტელიო.*

**ლევანტე:** *მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - დიოპი, მიჩელი - რიოსი, ბარკერო, რუბენ გარსია - აკვაფრესკა.*

### მოუ და როტაცია

თუკი „ბარსელონას“ და „ლევანტეს“ სატურნირო მოტივაცია აღარ შერჩათ (პირველი თითქმის ჩემპიონია, მეორე კი არც გავარდება და არც ევროსაგზურის მუშტარია), „რეალს“ და, განსაკუთრებით, მის მომავალ მეტოქე „ბეტისს“ ჯერ კიდევ სჭირდებათ ქულები. სევილიელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან (მაგრამ აუტსაიდერები არიან), ყოველ შემთხვევაში მათ შეუძლიათ ევროლიგა დააგემოვნონ. „რეალს“ კი ჯერ კიდევ არ გაუნაღდებია მეორე ადგილი.

მატჩის წინ **ჟოზე მოურინიომ** ბევრი საინტერესო მინიშნება გააკეთა. მან თქვა, რომ **იკერ კასილიასი** მატჩისთვის მზადაა, მაგრამ კარში მაინც **დიეგო ლოპესი** ჩადგება. აღნიშნა, რომ „რეალში“ თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ყველაფერი სეზონის მერე გაირკვევა და დაამატა: „დედამიწის ზურგზე არ არის უნაკლო კლუბი და არც უნაკლო მწვრთნელი“.

ჟოზე „დორტმუნდთან“ გასვლის წინ როტაციას აუცილებლად მიმართავს, ვარსკვლავების ნაწილს დაასვენებს.

**პეპე მელმა** მარცხენა მცველი **ნაჩო** დაკარგა, რომელმაც თითი მოიტეხა და 10 დღე ვერ ითამაშებს, ალბათ ვერც კიდევ ერთი მცველი, **მარიო** ითამაშებს. ფორვარდმა **ნოსა იგიებორმა** (რომელმაც „სევილიას“ გადამწყვეტი გოლი გაუტანა დერბიში) მცირე ტრავმა მიიღო და მისი თამაში საეჭვოა.

* მადრიდის „რეალმა“ ლა ლიგაში ზედიზედ 7 მატჩი მოიგო „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

* ბოლო შვიდ ტურში კასტილიელებმა, რომლის კარსაც იკერ კასილიასი არ იცავს, მხოლოდ ერთხელ შეძლეს კარის მშრალად შენახვა.

* **კრიშტიანო რონალდოს** გააქვს ყოველ ჯერზე, როცა მოედანზე გამოდის, უკვე 8 მატჩია.

* „ბეტისმა“ ყველა შეჯიბრში ბოლო 14 მატჩიდან მხოლოდ 3 მოიგო.

* **ბოლო ხუთი ურთიერთდაპირისპირებიდან 4 „რეალის“ გამარჯვებით დასრულდა.**

* **„ბეტისმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“** ბოლოს 1998 წელს მოუგო „რეალს“.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** *დ. ლოპესი - ნაჩო, ალბიოლი, კარვალიო, მარსელო - პეპე, მოდრიჩი - კალეხონი, კაკა, რონალდო - ბენზემა.*

**ბეტისი:** *ადრიანი - ჩიკა, პაულაუ, ამაია, ა. მარტინესი - კანიასი, ბენიატი - კემპბელი, პაბონი, ხუან კარლოსი - რ. კასტრო.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● დისკუსია

# კლოპმა ულის ნაკბინა


იურგენ კლოპი და ული ჰიონესი

ორიოდე დღის წინ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** საინტერესო განცხადება გააკეთა - ვშიშობ, რომ გერმანიის ჩემპიონატი მალე ესპანეთის პირველობას დაემსგავსება იმ თვალსაზრისით, რომ „ბაიერნი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ სხვებთან შედარებით უდიდეს უპირატესობას მოიპოვებენ და გერმანიის ჩემპიონის ვინაობაც ყოველთვის ამ ორ გუნდს შორის გაირკვევაო.

61 წლის ჰიონესს გუშინ დორტმუნდის თავკაცმა უპასუხა. **იურგენ კლოპის** თქმით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბუნდესლიგაში მოვლენების შოტლანდიური განვითარება უფრო რეალურია, ვიდრე ესპანური (მოგეხსენებათ, შოტლანდიაში ახლა ერთი გუნდი, გლაზგოს „სელტიკი“ დომინირებს).

*„თუ ულის უნდა, რომ ასე არ მოხდეს, მაშინ ზოგიერთი ფეხბურთელი უნდა გაყიდოს და სანაცვლოდ არავინ იყიდოს, მაგრამ არა მგონია, რომ ჰიონესმა ეს გააკეთოს,“* - უთხრა 45 წლის კლოპმა „ბილდს“.

„შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** (43) კი მისთვის და მისი გუნდისთვის იდეალური გამოსავალი იპოვა: *„ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ „ბაიერნმა“ უარი თქვას მომავალში ახალგაზრდა გერმანელი ფეხბურთელების შეძენაზე და სხვა გერმანული კლუბები არ დაასუსტოს.“*

**გოტფრიდ ლენცი**

ჭიდაობა. აზერბაიჯანის ტურნირი

# ბერძნულ-რომაული წარმატება

**ბაქოს „სერხედჯის" საჭიდაო კომპლექსში მიმდინარე „აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე" წარმატებით გამოვიდნენ ბერძნულ-რომაულად მოასპარეზე ჩვენი ახალგაზრდები და ჭაბუკები. განსაკუთრებით - ჭაბუკები, რომლებმაც 11 მედალი მოიპოვეს. მათ შორის, 2 - ოქრო, 4 - ვერცხლი და 5 - ბრინჯაო. ახალგაზრდების წილად 5 ჯილდოა - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო.**




ჭაბუკებში ჩემპიონები სამტრედიელი **გიორგი მელია** (69) და ქუთაისელი **ზვიად პატარიძე** (100) გახდნენ, ვერცხლის მედლებს ხობელი **ნუგზარ წურწუმია** (42), ოზურგეთელი **დავით ჩხარტიშვილი** (50), ბათუმელი **ნუკრი შავაძე** (76) და მისი თანაქალაქელი **გიგა ქოქოლაძე** (85) დაეუფლნენ, ბრინჯაოსსას - ოზურგეთელები **იური ლომაძე** (54), **გიორგი გუჯაბიძე** (58), სამტრედიელი **სულიკო ვახტანგაძე** (63) და სართიჭალელები - **ირაკლი თარხნიშვილი** (76) და **შოთა ცალუღელაშვილი** (85). ახალგაზრდებიდან ჩემპიონობა ბათუმელმა **შმაგი ბოლქვაძემ** (66) და წყალტუბოელმა **იაკობ ქაჯაიამ** (120) იზეიმეს, ბათუმელებმა - **ლაშა გობაძემ** (74) და **ნუკრი ფერსელიძემ** (96) ფინალები დათმეს, კიდევ ერთი იქაური **ირაკლი შავაძე** (50) კი მესამე აღმოჩნდა.

გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკები მასპინძელთა შემდეგ მეორე, ახალგაზრდები კი ასევე მასპინძლებისა და თურქების შემდეგ მესამე ადგილზე გავიდნენ.

ამ ტურნირმა ჭაბუკთა შორის რამდენიმე წონაში თავდაყირა დააყენა საქართველოს ჩემპიონატის შედეგები. მაგალითად, ლომაძემ სართიჭალელ **გიორგი კურტანიძეს** რევანში აუღო ქვეყნის პირველობის ფინალში მარცხისთვის, გუჯაბიძემ კი თანაქალაქელ **ლევან ქავჟარაძეს** აჯობა. არადა, ქვეყნის პირველობაზე დამარცხდა მასთან. როგორც ვხედავთ, 76-სა და 85-ში ორ-ორი მედალოსანი გვყავს, თუმცა ამ წონებში ისინი ერთმანეთს არ დაჭიდებიან. საყურადღებოა, რომ ჩვენები ორივეგან ერთსა და იმავე ფალავანთან, მასპინძელთა მომავალ ჩემპიონთან დამარცხდნენ - 76-ში მათ **ისლამ აბასოვმა** აჯობა, 85-ში - **სოსლან ფანზიევმა**.

ისიც აღსანიშნავია, რომ წურწუმია და ამჯერად უმედლოდ დარჩენილი **ჯონი ხეცურიანი** მშობლიურმა ხობის რაიონმა დააფინანსა, ლომაძე - ოზურგეთმა, ცალუღელაშვილი კი საკუთარი ხარჯით წავიდა.

ქართველთა პაექრობა ახალგაზრდებშიც ბლომად ვიხილეთ, თუმცა მათზე საუბარს ქაჯაიათი დავიწყებთ - რაც ამ ბიჭმა წონითი კატეგორია შეიცვალა და მძიმეში გადავიდა, შეუჩერებელია - ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და რიგის ტურნირიც მოიგო. 96-ში მას კონკურენციას ბიძაშვილები - **ირაკლი** და **მიხეილ ქაჯაიები** უწევდნენ, ახალ წონაში კი გაილაღა, რასაც აქ მოპოვებული მესამე ოქროც ადასტურებს. ბაქოში მეოთხედფინალში მან მასპინძელ **როიალ მირზაიევს** მოუგო, ნახევარფინალში ყაზახი **ბოლატ ბეიეჯანოვიც** ზედ მიაყოლა, ფინალში კი კიდევ ერთ აზერბაიჯანელს - **აბას აბდულაევს** აჯობა.

შმაგი ბოლქვაძეს ძალიან კარგი საქმე გაუკეთა საქართველოს მესამე პრიზიორმა, ქუთაისელმა **თემურ რუხვაძემ**, რომელმაც მეოთხედფინალში ქვეყნის ჩემპიონი **ფირუზ წულუკიძე** დაამარცხა და მთავარი ფავორიტი ჩამოაცილა. ამ დროს თვითონ ბოლქვაძე რუსეთის სახელით მოჭიდავე **ზურაბ დავითაძეს** უგებდა, რასაც მასპინძელ **როვშან ტაგიევთან** გამარჯვება და ფინალში გასვლაც მიაყოლა. რუხვაძემ ნახევარფინალში ყაზახ **ჯანიბეკ კანდიბაევთან** წააგო, თუმცა აზიელის ჯავრი ფინალში ბოლქვაძემ ამოგვყარა. სამწუხაროდ, რუხვაძემ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ვერ იყოჩაღა და მეხუთეზე დარჩა.

96 კილოგრამში ვერცხლის მომპოვებელი ნუკრი ფერსელიძე ევროპის ბრინჯაოს მედალოსან **გურამ ფერსელიძის** უმცროსი ძმაა და ოჯახური ტრადიციის კარგი გამგრძელებელიც ჩანს. მეოთხედფინალურ ეტაპზე ნუკრიმ **ჰაჯიმურატ ჩოპსიევს** აჯობა, მერე ყაზახ **ალიმხან სიზდიკოვსაც** მოუგო, ფინალში კი თურქ **ფატიჰ ბასკოუსთან** დამარცხდა. ამ წონაში მეოთხედფინალში **კუკური კირცხალიაც** გავიდა, მაგრამ სწორედ ბასკოუსთან წააგო და მერე ვერც სანუგეშოში ივარგა. ფინალურ პაექრობაში თურქთან - **ბაირაკ ფურკანთან** დამარცხდა გობაძეც, რომელმაც მანამდე კიდევ ერთ თურქს - **ისმაილ ერგანსა** და ყაზახ **აზამატ დუმბიროვს** მოუგო. აღსანიშნავია, რომ ფერსელიძეც და გობაძეც თავისი ხარჯით იყვნენ წასულები ბაქოში.

ირაკლი შავაძე ნახევარფინალიდან გადაერთო სანუგეშოში მომავალ ჩემპიონთან, მასპინძელ **რამიზ მამადოვთან** მარცხის შემდეგ, მანამდე კი ყაზახ **ნურსან სატმაგამბეკს** აჯობა. უმედლოდ დარჩენილი წონებიდან მეოთხედფინალში მხოლოდ 84-ში გავაღწიეთ, თანაც - ორი მონაწილით, მაგრამ მეტი შორს წასვლა ვერ შეძლეს - **რობერტ ქობლიაშვილი**, ვინც წლეულს საქართველოს ჩემპიონი უფროსებშიც კი გახდა, ამჯერად მომავალ გამარჯვებულთან, თურქ **გიოკტას დოგანთან** დამარცხდა, **გიორგი მდინარაძემ** კი მეორე ფინალისტთან, მასპინძელ **ტურალ დაშდამიროვთან** წააგო.

„აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე", რომელიც პარალელურად ტარდება თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის, 10 ქვეყანა მონაწილეობს: აზერბაიჯანი, საქართველო, რუსეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, უკრაინა და გერმანია. ბერძენ-რომაელებმა უკვე მოილიეს შეჯიბრება, დღეიდან კი ტურნირში „თავისუფლები" ჩაებმებიან - ჯერ ჭაბუკები, ხოლო ხვალ ახალგაზრდები იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა ფინალშია


ოქსანა კალაშნიკოვა

უზბეკურ ნამანგამში დღეს დამთავრდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომელშიც წარმატებით ასპარეზობს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა**. გუშინ მან ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო: ევგენია კულიჩკოვას (რუსეთი), ლუდმილა კიჩენოკის, ეკატერინა ბიჩკოვას (რუსეთი, №3) შემდეგ მე-2 ნომრად განთესილ კაგლა ბუიუკაკჩაის (თურქეთი) დაუპირისპირდა. პირველ სეტი ჩვენებურმა დაძაბულ პაექრობაში 7:5 მოიგო, მეორე თავად დათმო 5:7, გადამწყვეტ პაექრობაში კი ისევ კალაშნიკოვამ იყოჩაღა — 7:5 და ფინალში გავიდა, სადაც ტურნირის რეიტინგფავორიტის ალექსანდრა პანოვას (რუსეთი) მძლეველ ნადია კიჩენოკთან (უკრაინა, 4) გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. რეიტინგი

# რას გვეუბნება რეიტინგი?

**ალბათ,** უპრიანია, კონტინენტის პირველობის წინ კიდევ ერთხელ გადავხედოთ ძიუდოისტთა მსოფლიოს რეიტინგს, რადგან ევროპის ჩემპიონატზე წილისყრა განთესვით მოხდება. მით უფრო, სადღეისოდ ქართველებს რეიტინგში მოწინავე პოზიციები უჭირავთ (კიდევ უფრო მყარია ჩვენებურთა პოზიციები ევროპულ რეიტინგში), რაც წარმატების არა სრული, მაგრამ მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რადგან ძლიერებთან შეხვედრა დასკვნით ეტაპამდე არ მოუწევთ. რეიტინგი იმის გაგების საშუალებას ნადვილად გვაძლევს, მოწინავეთა ოთხეულიდან ანუ წონის ელიტიდან ვის ასცდებიან ან შეხვდებიან ფინალამდე, ნახევარფინალამდე ანუ მედლების მოპოვების შანსებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. ბუნებრივია, სადღეისოდ სურათი ვერანაირად ვერ იქნება სრულყოფილი, რადგან ლიდერების ნაწილი აუცილებლად გამოტოვებს ევროპირველობას, ჩვენ კი ჯერ არ ვიცით ასეთთა ვინაობა, მაგრამ ეს ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს - ევროპის ჩემპიონატზე მეორე-მესამე ნომრად განთესილები, შეიძლება, მსოფლიოს რეიტინგში 10-ეულს მიღმაც იყვნენ ანუ საშუალო დონის ფალავნებს მიეკუთვნებოდნენ.

## მსოფლიოს სია

თავდაპირველად საერთაშორისო რეიტინგს გადავავლოთ თვალი და ევროპის პირველობაზე გამომსვლელებზე ვთქვათ, სადაც დღეისათვის ხუთ წონაში - 60, 66, 81, 90 და +100-ში ხუთეულში შევდივართ. ამათგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში 90-ში ვართ, ვინაიდან ევროპის ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** 1668 ქულით სულაც რეიტინგის ლიდერია და გვარიანად უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ 1298-იან კუბელ **ეშლი გონსალესს**. 1072 ქულით მეორე ადგილზე ჩაინაცვლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლაშა შავდათუაშვილმა** (66), თორემ ერთხანს ისიც ლიდერობდა სიას. ახალგაზრდებში ფრანგთა მსოფლიოს ჩემპიონმა, 1120-ქულიანმა **დავიდ ლაროსემ** ჩვენებურს მშობლიური პარიზული „დიდი მუზარადის" მოგებით გადაუსწრო, თუმცა ისიც სათქმელია, შავდათუაშვილმა ტრავმის გამო ოლიმპიადის შემდეგ მხოლოდ ერთ ტურნირში იჭიდავა - გერმანიის „დიდ პრიზზე" და მეხუთეზე გავიდა, ბრინჯაოსთვის **შალვა ქარდავასთან** არ იჭიდავა. 976-ქულიანი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) რეიტინგში მესამეა, 910-იანი **ამირან პაპინაშვილი** (60) - მეოთხე, 906-იანი **ადამ ოქრუაშვილი** (906) - მეხუთე.

დარჩენილ ორ წონაში ათეულშიც ვერ შევდივართ. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა 100-ში გვაქვს, სადაც ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. აქ 15 კაცში ორი მონაწილე გვყავს, მაგრამ ორივე სპორტიდანაა წასული - აწ უკვე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლომერ ჟორჟოლიანი** მეცამეტეა, ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** - მეთხუთმეტე. მოქმედ სპორტსმენთაგან აქ საუკეთესო **იოსებ მსხალაძეა** - 39-ე ადგილი 194 ქულით, ევროპის პირველობაზე მოასპარეზე **დავით ლორიაშვილი** კი 156-ით 50-ეა. ცხადია, ბუდაპეშტში მას თავიდანვე ძლიერებთან მოუწევს პაექრობა, თუ წილისყრამ ცოტა არ გაუმართლა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა 73-ში, სადაც **ნუგზარ ტატალაშვილს** ლიდერობა **ზებედა რეხვიაშვილმა** ჩამოართვა. ის 396 ქულით მე-17 ადგილზეა, ტატალაშვილი 350-ით - 21-ე. ევროპის პირველობის კიდევ ერთი მონაწილე - **ლევან წიკლაური** (81) 402 ქულით 24-ეა. სამწუხაროდ, ამჯერად კონტინენტის პირველობაზე ქალებში მონაწილე არ გვეყოლება, თუმცა მაინც გადავხედოთ იმათ რეიტინგსაც. მით უფრო, სიებში სულ ორი ჩვენებურია - 70 კილოგრამში **ნინო ოძელაშვილი** 1 ქულით 150-ეა, მძიმეწონოსანი **ირინა ლეონიძე** კი 260-ით მსოფლიოს რეიტინგში 27-ეა, ევროპულში - მეცხრე. უახლოეს ხანებში ახალგაზრდებისა და ჭაბუკების ევროპულ რეიტინგსაც შემოგთავაზებთ, სადაც ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

## საევროპო რეიტინგი და პერსპექტივა

თუმცა დავუბრუნდეთ ისევ ვაჟებს, სადაც ევროპულ ჩათვლაში მსოფლიოსთან შედარებით კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობა გვაქვს - ევროპელთა შორის ლიპარტელიანის გარდა, ჭრიკიშვილიც პირველია, პაპინაშვილი და შავდათუაშვილი - მეორე, ოქრუაშვილი - მესამე, რეხვიაშვილი - მეექვსე, ტატალაშვილი - მეცხრე, წიკლაური - მეცამეტე. ცხადია, ევროპის ჩემპიონატზე ისინი განთესილთა შორის იქნებიან და ძლიერ კონკურენტებს ნახევარფინალამდე არ შეხვდებიან. თან კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კონტინენტის პირველობაზე ბევრი უცხოელი ლიდერი არ იასპარეზებს.


ვალერი ლიპარტელიანი

### 60 კგ.

მაგალითად, ამ წონაში პაპინაშვილს რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ გალსტიანი** უსწრებს, მაგრამ ის არ ჭიდაობს. ასევე არ იქნება რუსთა მეორე ლიდერი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვი**, ვისთანაც ჩვენებური კარიერაში ოთხჯერვე დამარცხდა. ამდენად, გალსტიანის არყოფნაში პაპინაშვილი ბუდაპეშტში პირველ ნომრად იქნება განთესილი. საევროპო გუნდში **ბეთქილ შუკვანიც** (თუმცა როგორც ამბობენ, ამ ბიჭის საქმე სულაც გაურკვეველია) რომ მოხვედრილიყო, მაშინ მეორე ნომერი იქნებოდა, რადგან ევროპულ რეიტინგში მეოთხეა. ახლა ბუდაპეშტში მეორე ნომრად ფრანგი ევროპის ექსჩემპიონი **სოფიან მილუ** იქნება, მესამედ - ავსტრიელი ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ლუდვიგ პაიშერი**. თუმცა ამათ ჯერ ნახევარფინალში ერთმანეთთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა, ჩვენებურს კი ფინალამდე ვერ შეხვდებიან. პაპინაშვილს ნახევარფინალში ებრაელი **არტიომ არშანსკი** ელოდება, ან მისი არგამოსვლის შემთხვევაში - ბრიტანელი **ემლი მაკენზი** (ცხადია, ისინი მანამდე თუ არ წააგებენ). პაპინაშვილი არშანსკის ერთხელ შეხვდა და მოუგო, მაკენზისთან კი სამი ბრძოლიდან ბოლო ორში იმარჯვა.

### 66 კგ.

ფინალამდე ვერც შავდათუაშვილი შეხვდება ლაროსეს, ნახევარფინალში კი შეიძლება, ძველ ნაცნობს, ებრაელ **გოლან პოლაცკის** გადაეყაროს. თუ ესეც დაისვენებს, მაშინ მისი გზა ისევ მასპინძელ **მიკლოშ უნგვართან** გადაიკვეთება. ოღონდ ამ წონაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ერთი საყურადღებო გარემოება - აქ ამოინაცვლა უკრაინელთა ევროპისა და მსოფლიოს ქართველმა ჩემპიონმა **გიორგი ზანთარაიამ**. ახალ წონაში მან მხოლოდ ორგან იასპარეზა და ორივე ტურნირი მოიგო - ვარშავაში და სამსუნში, თუმცა ჯერ მაღალი რეიტინგი არ აქვს. რაც ამ წონაში ევროპაზე გამომსვლელთა თუ დამსვენებელთა სიები ვიცით, მისი მიხედვით ზანთარაია მეცხრეა ანუ განუთესავებში იქნება, ამ შემთხვევაში კი ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება შეხვდეს შავდათუაშვილს.

### 73 კგ.

რეხვიაშვილის წინ მდგომი ევროპული ხუთეულიდან რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **მანსურ ისაევი** და ფრანგი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი **უგო ლეგრანი** არ ჭიდაობენ, რის გამოც ჩვენებური მეოთხე ხდება ანუ ნახევარფინალში ჰოლანდიელ მსოფლიოს ორგზის და ევროპისა ვიცე-ჩემპიონ **დექს ელმონტზე** გადის. იმ შემთხვევაში, თუ არც ბელგიელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **დირკ ვან ტიხელტი** გამოვა, მაშინ რეხვიაშვილი მესამე გახდება და რუს **მურად კოძოკოვზე** გავა, მისთვის კი რომელი ვარიანტი ჯობია, თავად განსაჯეთ. ცოტა ძნელია ტატალაშვილის შანსებზე საუბარი, რადგან მას ძლიერებთან უფრო ადრე მოუწევს პაექრობა.

### 81 კგ.

ჭრიკიშვილს გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონი **ოლე ბიშოფი** და რუსი **მურატ ხაბაჩიროვი** ფინალამდე ასცდებიან, განთესილთაგან კი ნახევარფინალში მეორე რუსს - **ივან ვორობიოვს** შეიძლება შეხვდეს. ამ წონაში რუსთა ლიდერი მაინც სხვები არიან და არა - ვორობიოვი, რომელსაც ჯერ გამოცდილებაც აკლია. ჭრიკიშვილი მას ორჯერ შეხვდა და ერთხელ მოუგო. წიკლაური განთესილთა შორის ვერ მოხვდება და თავიდან ბოლომდე მედგრად უნდა იბრძოლოს.

### 90 კგ.

პირველი ადგილის დამსახურებით, ლიპარტელიანი ფინალამდე ასცდება **ილიას ილიადისს** და რუსთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, მისთვის უხერხულ **კირილ დენისოვს**. ლოგიკით, ესენი ნახევარფინალში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ჩვენებურს კი იმ ეტაპზე მეორე რუსი - **კირილ ვოპროსოვი** ელოდება. ვფიქრობ, ქართველმა მას უკვე მოუძებნა გასაღები - შარშან ჩელიაბინსკში ევროპის პირველობის ფინალში ისე დამაჯერებლად მოუგო, იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა და პირად შეხვედრებში ანგარიშიც გაათანაბრა - 2:2.

### 100 კგ.

სამწუხაროდ, ამ წონაში განთესვაზე ზედმეტია ლაპარაკი. აქ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ და ვიზრუნოთ ქულების მოპოვებაზე, მაგრამ კადრები?

### +100 კგ.

ოქრუაშვილი ევროპელთა შორის რეიტინგით მესამე კია, მაგრამ მეორე ნომრად მყოფი რუსი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ალექსანდრ მიხაილინი** ბუდაპეშტში არ იქნება. ამდენად, მეორე ნომრად ოქრუაშვილი განითესება ანუ ნახევარფინალში მისთვის უხერხული მეტოქე, გერმანელი **ანდრეას ტოლცერი** დაეჯახება... მთლად კარგი პერსპექტივა არც ესაა, თუმცა ფრანგ **ტედი რინერიზე** უკეთესი ვარიანტი ნამდვილადაა.

**ირაკლი თავაძე**

● კალათბურთი. სუპერლიგის "ოლ სტარი"

# ვარსკვლავთცვენა ქუთაისში

დასრულდა სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის" მატჩის გამოკითხვა, რომელმაც მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულები გამოავლინა, ხოლო მწვრთნელებმა ის დარჩენილი 7-7 მოთამაშე დაასახელეს, რომლებიც "ოლ სტარის" გუნდებს შეავსებენ.

20 აპრილს, ქუთაისის სპორტის სასახლეში ერთმანეთს სუპერლიგის ლეგიონერებისა და ადგილობრივი მოთამაშეების გუნდები დაუპირისპირდებიან. რჩეულ მოთამაშეთა მატჩთან ერთად გაიმართება კონკურსები სამქულიან სროლებსა და ჩატენვებში. გამოვლინდება „ყველა ვარსკვლავის" მატჩის საუკეთესო მოთამაშე, რომელსაც სამქულიანებისა და ჩატენვების კონკურსების გამარჯვებულებთან ერთად "ოლ სტარის" პარტნიორი „ევრობა-ბეთი" პლანშეტური კომპიუტერით დააჯილდოვებს.

სუპერლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოკითხვა 13 აპრილიდან მიმდინარეობდა და გუშინ 12 საათზე დასრულდა. მთლიანობაში შევიდა 44 ათასზე მეტი ხმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში მოხვედრის კანდიდატებზე გადანაწილდა.

**ადგილობრივთა გუნდი**

**უკანახაზელი**

**გივი ბაქრაძე (თსუ) 1063 – ხმა***
**თეიმურაზ ბაბუნაშვილი (ქუთაისი) 929**
მერაბ ბოქოლიშვილი (შსს) 529

**ფორვარდი**

**ლევან ფაცაცია (ოლიმპი) 1099**
**ბექა ჩიკვილაძე (თსუ) 1057**
გიორგი ბარბაქაძე (ქუთაისი) 1018
კოკა ტომარაძე (ოლიმპი) 470
ირაკლი საყვარელიძე (არმია) 375
ლაშა კეშელავა (ბათუმი)
გიგა კვეტენაძე (სტუ)

**ცენტრი**

**რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი) 1128**
აკაკი დვალიშვილი (ოლიმპი) 744

**მწვრთნელები**

გია კაზანჯიანი (ოლიმპი),
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი).

**ლეგიონერთა გუნდი**

**უკანახაზელი**

**ნეით ბოუი (რუსთავი) 1793**
**დეონტა ვონი (შსს) 1659**
ლამარ კარიმი (დინამო) 1475
სტენ სოკი (ოლიმპი) 1450
ბოსკო სტოიაკოვიჩი (სოხუმი) 1075

**ფორვარდი**

**ქიენ კარტერი (დინამო) 1452**
**კაელ ნელსონი (რუსთავი) 1264**
ბენჟამინ რეიმონდი (შსს) 1193
ფლინ კლიმენი (დინამო) 1049
ჩად პრევიტი (შსს) 694

**ცენტრი**

**სტეფან მილოშევიჩი (ოლიმპი) 1671**
მილან ოლუიჩი (დინამო) 1446

**მწვრთნელები**

გიორგიოს კეცელიდისი (შსს აკადემია),
დავით უსტიაშვილი (ქუთაისი).

**სამქულიანების კონკურსი**

კოკა ტომარაძე (ოლიმპი)
გიორგი ბარბაქაძე (ქუთაისი)
ირაკლი საყვარელიძე (არმია)
ბუბა კვიმსაძე (ქუთაისი)
ლაშა კეშელავა (ბათუმი)
ჩად პრევიტი (შსს)

**ჩატენვების კონკურსი**

ოთო ბულიავა (სოხუმი)
კახა ჯინჭარაძე (სოხუმი)
გიგა კვეტენაძე (სტუ)
აკაკი დვალიშვილი (ოლიმპი)

****- მუქი შრიფტით მოცემულია ხუთეულში მოხვედრილი კალათბურთელები.***

■ ■ ■

ამას გარდა, გუშინ გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და ანტიდოპინგური სააგენტოს ერთობლივი პრესკონფერენცია. საკალათბურთო სუპერლიგის პლეი ოფის მატჩებზე ანტიდოპინგური სააგენტოს თანამშრომლები მოთამაშეებს შესაბამის ტესტირებას ჩაუტარებენ. აღნიშნული ღონისძიება საქართველოში მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატების პრესტიჟს მნიშვნელოვნად ასწევს მსოფლიოს ანტისადოპინგო ფედერაციის თვალში.

საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს ჩვენს ქვეყანაში საქმიანობის სოლიდური გამოცდილება დაუგროვდა, რაც გასულ თვეში თბილისში ჩატარებული ევროპის ჭიდაობის ჩემპიონატის მომსახურებამაც დაადასტურა.

საკალათბურთო სუპერლიგის მატჩებზე დოპინგსინჯები ჩატარდება „მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსისა" და „ტესტირების საერთაშორისო სტანდარტების" სრული დაცვითა და შესაბამისობით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან უკვე თანამშრომლობს საქართველოს რაგბის კავშირი.

www.superleague.ge

● ხელბურთი

# რაც წინსვლაში დაგვეხმარება

უკვე გაუწყეთ, რომ დამთავრდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა. ფინალში დედაქალაქის „მერანმა" (ლევან მამულაშვილი, გიგი ფერაძე, ლუკა ბულბულაშვილი, ერეკლე არსენიშვილი, გიორგი უნდიაშვილი, ირაკლი კბილაშვილი, გივი ხიდაშელი, ნოდარ გაგუა, გიორგი წიკლაური, მიხეილ ჭინჭარაძე, გიორგი კვირკველია, გიორგი ფარესიშვილი, სანდრო ხანდოლაშვილი, ირაკლი აროშიძე, მიხეილ ჩიხლაძე, გიორგი დადეგაშვილი, გიორგი ბიბილეიშვილი) დაძაბულ პაექრობაში „პეგასს" სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **ზურაბ კაკაბაძეს** ვესაუბრეთ:

— 1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელების დაოსტატებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ, რადგან ამ ასაკის გოგო-ბიჭები 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზებენ, რომელიც თბილისში გაიმართება. ჩვენ გვინდა, რომ ამ შეჯიბრებას არა მარტო ღირსეულად ვუმასპინძლოთ, არამედ კონკურენტუნარიანი გუნდებიც გვყავდეს. ამიტომ ამ ასკში მე-3 წელიწადია, სასელექციო შეჯიბრებების შემდეგ, საქართველოს პირველობებს ვმართავთ. 2011 წელს ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ შეიმუშავა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც ხუთ ეტაპად იყოფა: 1. სელექცია, 2. ქალ-ვაჟთა ნაკრები გუნდების ფორმირება, 3. 2013 წლის შემოდგომიდან ინტენსიურ მზადებაზე გადასვლა, 4. საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით სათამაშო გამოცდილების მიღება და 5. თბილისის ფესტივალზე წარმატებული გამოსვლა.

გეგმის შესაბამისად, 2011 წლიდან ამ ასაკის გოგო-ბიჭებისთვის საქართველოს პირველობების ჩატარება დავიწყეთ. წლეულს ვაჟებში 19 და გოგონებში 12 გუნდი გამოდიოდა. გოგონებს ფინალური შეხვედრები ჯერ კიდევ წინ აქვთ. ბიჭებში იმიტომ დავაჩქარეთ პირველობის დასრულება, რომ ტურნირის მონაწილე ხელბურთელებისგან დაკომპლექტდება ორი ნაკრები, რომლებიც 1996-1997 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობაში ითამაშებენ.

14-15-წლამდელთა ტურნირი ხუთ ეტაპად ჩატარდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ ბიჭები ასპარეზობიდან ასპარეზობამდე იზრდებოდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ ნაკრების კანდიდატები არა მარტო მშობლიურ გუნდებში იმაღლებენ ოსტატობას, არამედ კვირაში სამჯერ ფიზიკურ მომზადებაში ცნობილ სპეციალისტ მამია ტულუშთან ვარჯიშობენ. ამასთანავე, 1-8 აპრილს ამ ასაკის ნაკრები მთავარი მწვრთნელის - დიმიტრი აბესაძის ხელმძღვანელობით მინსკში იმყოფებოდა და ბელარუს თანატოლებთან ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება გაიარა. ამხანაგური საკონტროლო შეხვედრებიც გამართა ბელარუსის ნაკრებთან, რაც ფრიად ნაყოფიერი გამოდგა.

აქვე ამ ასაკის გოგონებზეც მინდა გითხრათ: საქართველოს პირველობაზე მათ სამი წრე ითამაშეს, გამოვლინდა რვა უძლიერესი გუნდი. ისინი მაისში მედლებისთვის იბრძოლებენ. გოგონათა ნაკრებიც ელისო ჟურულიშვილის ხელმძღვანელობით ბაქოში ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე იყო და აზერბაიჯანის ნაკრებთან საკონტროლო შეხვედრები გამართა.

**— კარგია, რომ ახალგაზრდებს ასეთ ყურადღებას აქცევთ, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატზე რას გვეტყვით?**

— პირველობაში წლეულს მხოლოდ ხუთი გუნდი მონაწილეობს, რადგან მწირი ფინანსების გამო კლუბები შეჯიბრებაში ვერ მონაწილეობენ. ვინც ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობს, მათაც დიდად არ ულხინთ, ამიტომ ევროტურნირებში რამდენიმე წელიწადია, ველარ გამოდიან, ხელბურთელებსაც მოტივაცია აკლიათ. ეს კი, სამწუხაროდ, დაღს ასვამს ეროვნულ ნაკრებს, არადა, წლეულს, ოქტომბრის მიწურულს, 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობაა დაგეგმილი. ძირითადად ლეგიონერების ხარჯზე მოგვიწევს ფონს გასვლა, რადგან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ხელბურთელები უსახსრობის გამო სათანადოდ მომზადებას ვერ ახერხებენ. ყოველივეს მიუხედავად, უიმედოდ მაინც არ ვართ, რადგან აქტიურად დაგვიდგა გვერდით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო: სრულად დაგვიფინანსა 2015 წლის პროგრამით ახალგაზრდა ხელბურთელთა მომზადება და ეროვნული ნაკრებისთვისაც გამოგვიყო თანხები.

სპორტის სამინისტრო ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად აქტიურად გამოეხმაურა ჩვენს ინიციატივას — 1917 წელს 19-წლამდელთა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპს ვუმასპინძლოთ. ეს ის ასაკია, რომელიც 2015 წლის თბილისის ფესტივალზე გამოვა. ოთხი წლის შემდეგ კი, საკმაოდ კარგი გუნდი გვეყოლება.


„მერანი" ჩემპიონია!

ჩვენს წინადადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციაც: თბილისში ერთ-ერთი მაღალჩინოსანი - საშეჯიბრო კომისიის თავკაცი ლეონ კალინი მოავლინა. სტუმარმა დაათვალიერა თბილისის, ქუთაისის, თელავისა და ბათუმის ბაზები, სასტუმროები, ინფრასტრუქტურა. შეხვდა სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანსა და სეოკ-ის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვს. ბატონი კალინი ვიზიტით კმაყოფილი დარჩა. მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებლად აუცილებელი მოთხოვნების შესახებ საკუთარ შეხედულებებს იგი უახლოეს დღეებში მოგვაწვდის. ორი კონკურენტი გვყავს — ხორვატია და სამხრეთ კორეა. ივნისის ბოლოს ამ სამიდან ორი კანდიდატის ვინაობა გაირკვევა, რომელთაგან ერთ-ერთს 2013 წლის ოქტომბერში, დოჰაში, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მსოფლიოს პირველობის მასპინძლად დაასახელებენ.

**— კალინის გარდა, თქვენს ფედერაციას სხვა სტუმარიც ჰყავდა.**

— საერთაშორისო ფედერაციის პროგრამის — „სკოლის ხელბურთის" ფარგლებში ცნობილი ჩეხი ექსპერტი ფრანტიშეკ ტაბორსკი გვეწვია, რომელმაც საჯარო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატარა ქუთაისში, ყვარელსა და თბილისში. ორასამდე პედაგოგმა გაიარა სწავლება და შესაბამისი სერტიფიკატებიც მიიღეს.

მომდევნო კვირას თბილისში ჩამოვა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა და დელეგატთა კომისიის თავმჯდომარე უნგრელი შანდორ ანდორკა, რომელიც სამდღიან სემინარებს ჩაატარებს დელეგატებთან და მსაჯებთან. მერე კი მწვრთნელების ჯერიც დადგება. ასე რომ, ფრიად გადატვირთული გრაფიკი გვაქვს — დაძაბული და საქმიანი სეზონი გველის, რასაც ქართული ხელბურთის წინსვლისთვის გამოვიყენებთ.

**ვაჟა დანელია**




**გამოხმაურება**

ინტერესით წავიკითხე (კიდევ ერთხელ) ვეტერანი ლელოელის თენგიზ გიორგაძის წიგნიდან „ლელო და ლელოელები" ერთი თავი, რომელიც „ლელოს" ლეგენდარულ ფოტორეპორტიორს მიხეილ ზარგარიანს („პროფესორა") ეძღვნება. თხრობა იქ დაამთავრეთ, როცა ავტორი „ლელოში" ცნობილი კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელის სტუმრობას ეხება. მკითხველი იგებს, რომ დიდ ხელოვანს რედაქციაში საინტერესო შეკითხვებზეც გაუცია პასუხი. „ლელოს" 16 აპრილის ნომერში ზარგარიანისადმი მიძღვნილ წერილს ამთავრებთ ავტორის სიტყვებით: „ახლაც მახსოვს რამდენიმე შეკითხვაზე მისი პასუხი"...

ზემოხსენებული წიგნი, ვიმეორებ, მე წაკითხული მაქვს, და ამჯერად უკმარისობის გრძნობა დამრჩა, რომ „ლელოს" მკითხველს არ მიეცა შესაძლებლობა ბოლომდე წაეკითხა წერილი „ჩვენი პროფესორა". კარგი იქნება იმ სამი წერტილის შემდეგ ბოლომდე თუ გააგრძელებთ ავტორის თხრობას.

ღრმა პატივისცემით,

**მიხეილ ბერიანიძე,**
„ლელოს" მკითხველი 1959 წლიდან, გორი.

**რედაქციისაგან:** ჩვენი ახალი რუბრიკა მკითხველთან ურთიერთობის გააქტიურებისა და „ლელოს" შინაარსობრივად გახალისებისთვის ერთობლივი ზრუნვითაა ნაკარნახევი. გეთანხმებით, იმ „სამ წერტილს" მ. ჭიაურელის საინტერესო მოგონება მოსდევს, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ მიხეილ ზარგარიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილს გადატვირთავდა და თავი შევიკავეთ.

გაგრძელებას ახლა გთავაზობთ, ჩვენს მკითხველებს, მით უფრო, რომ მიხეილ ჭიაურელის მოგონება ცალკე თემად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ამ მოგონებას დავარქვით.

## სტალინის ხუმრობა

მაშ ასე:

— ბევრჯერ ვყოფილვარ სტალინთან შინ. გავიხსენებ ერთ საინტერესო შეხვედრას, — გვიამბობდა ბატონი მიხეილი. — ერთხელ სტალინს პატარა წვეულება ჰქონდა. უყვარდა ასეთი თავშეყრა. მეც მიწვევდა. მოსწონდა ჩემი ხუმრობა, ქართული სიმღერები გიტარის თანხლებით. ამჯერადაც ასე იყო. პურობისას თავად მაძალებდა ღვინოს. სტუმრები რომ აიშალნენ, კარგად შექეიფებული ვიყავი. კარებამდე თავად გამაცილა. გამიკვირდა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. შინ დავბრუნდი თუ არა, მაშინვე დავიძინე. მეორე დღეს შინაურებმა მითხრეს, სტალინმა გიკითხაო. თავად დავურეკე. სტალინმა მხოლოდ ის მკითხა, როგორ იმგზავრეო. კარგად-მეთქი. ხომ არაფერი მოგსვლიაო, მკითხა. არაფერი-მეთქი, ვუპასუხე. მაშინ გამოეწყვე შენს კარგ კოსტიუმში, გუშინ რომ გეცვა და მოდიო. საგონებელში ჩავვარდი. სწრაფად გავჩნდი სტალინთან. მომესალმა ღიმილით, შემომაბრუნ-შემატრიალა და დასძინა: „იღბლიანი ყოფილხარ. გუშინ, გაცილებისას, კვერცხი ჩაგიდე ჯიბეში, ვიფიქრე მანქანაში კვერცხს გაჭყლეტს და კოსტუმსაც გააფუჭებს, მაგრამ არ გამიმართლა!"

შინ რომ დავბრუნდი, მოსამსახურე ქალმა მითხრა, გუშინ თქვენს ჯიბეში ქათმის კვერცხი აღმოვაჩინეო. მაშინვე მოვატანინე და საგანგებო კოლოფში მოვათავსე, რელიკვიად მაქვს შენახული!

თუ რატომ არ იღებს ფილმს „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ბატონმა მიხეილმა გვითხრა: — ამ დიდებულ ქმნილებას კინოში ვერავინ გადაიღებს. პოემის სიუჟეტი დრამატულად საინტერესო არ არის, ხოლო მისი გენიალური აფორიზმების, შეგონებების გადაღება კინოს არ ძალუძს. მათ გარეშე კი „ვეფხისტყაოსანი" კარგავს თავის ღირებულებას!

მიხეილ ზარგარიანს კარგი ოჯახი დარჩა. ვაჟი ბორისი — უცხო ენების სპეციალისტი და შვილიშვილები. „პროფესორას" ფოტომატიანე უკვე ამუშავდა: გაზეთებში სულ უფრო ხშირად იბეჭდება ჩვენი სპორტის ისტორიული წარსულის ამსახველი ფოტოები.

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

პაატა გურასპაული



# საქართველოს ნაკრების ჯგუფიდან გასვლა გმირობის ტოლფასი იქნება

**საქართველოს ნაკრები, NBA-ის პლეი ოფი, ქართულ კალათბურთში არსებული სიტუაცია, ახალდაარსებული „თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი"... ამ და სხვა საკითხებზე ვისაუბრეთ „ლელოს" სტუმარ, ვეტერან კალათბურთელ პაატა გურასპაულთან, რომელიც ტელეკომპანია GMG-ის საკალათბურთო მიმომხილველია.**

ინტერვიუ ახალი კავშირით დავიწყეთ.

- ჩემს ბავშვობაში არსებობდა ასეთი პრინციპი: ჯერ ტარდებოდა სკოლის შიდა პირველობა, რომელში გამარჯვებული გუნდი სკოლებს შორის ქალაქის ჩემპიონატში მონაწილეობდა, შემდეგ იყო რეგიონალური შეჯიბრება და ა.შ. სწორედ ამ ტურნირებიდან დაიწყო ჩემი სპორტული კარიერა. დიდი ხანია ეს პრინციპი მოშლილია და მიმაჩნია, რომ მისი აღდგენა კალათბურთის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს. ამიტომ მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე დამეარსებინა „თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი". ვითანამშრომლებთ განათლების სამინისტროსთან. კალათბურთის ფედერაციასთან უკვე აქტიურ კონსულტაციებს გავდივართ და მომდევნო სეზონიდან გვინდა საფუძველი ჩავუყაროთ ჩვენს პროექტს სასკოლო კალათბურთთან დაკავშირებით, რაც იოლი არ იქნება. დიდი მოცულობის სამუშაოა შესასრულებელი.

**- კავშირმა გარკვეული ღონისძიებები უკვე დაგეგმა...**

- 27 მაისს სპორტის სასახლეში გაიხსნება ბავშვთა საკალათბურთო ფესტივალი. ხოლო 1 ივნისს, ბავშვთა დღესთან დაკავშირებით მოეწყობა მარათონი, რომელიც მოიცავს როგორც სხვადასხვა ასაკის კალათბურთელთა, ასევე ვეტერანების შეჯიბრებას. შემოდგომიდან კი ჩავატარებთ თბილისის პირველობებს 13, 14, 16 და 18-წლამდელებში, რაც დაახლოებით ორ კვირას გასტანს და გარკვეული რაოდენობის გუნდები (კვოტები შემდეგ დადგინდება) საქართველოს შესაბამისი ასაკის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

> ბევრს ურჩევნია კომპიუტერთან გაერთოს, ვიდრე წიგნი აიღოს ხელში, სპორტით დაინტერესებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... არადა, თუნდაც კალათბურთში ნამდვილად არის პერსპექტივა

**- ბოლო დროს არაერთი ორგანიზაცია დაფუძნდა, რომელთა წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ ოქტომბერში გასამართ კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატს წარადგენენ. თქვენი კავშირის მიზანიც ეს ხომ არ არის?**

- საბედნიეროდ, საქართველოში კალათბურთი შეკრული ოჯახია. ყველა ყველას მეგობარია და კარგად მოეხსენება, რომ გასაკეთებელი ბევრია. იმდენად ბევრი, რომ მივესალმები ყველას, ვინც კალათბურთისთვის სწორი მიმართულებით ბევრს გააკეთებს. რაც შეეხება ჩვენს ორგანიზაციას, მასში 11 დამფუძნებელია, რომელთაგან არც ერთის თვითმიზანი არ არის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენი სურვილია ამ მოკლე დროში სწორი მუშაობით დავიმსახუროთ არა კანდიდატის წამოყენების, არამედ არჩევნებში ხმის უფლება. არ ვიცი, ვინ რას აპირებს, მაგრამ თუ ამ უფლებას მოვიპოვებთ, გავეცნობით ყველა კანდიდატის პროგრამას, ვინ რა გზით აპირებს დაგეგმილის განხორციელებას და ჩვენი კავშირი ოპტიმალურ კანდიდატს მისცემს ხმას.

**- რამდენიმე ათწლეულით უკან გადავინაცვლოთ. რა გავლენა იქონია თქვენზე, როგორც სპორტსმენზე, წინამორბედმა თაობამ?**


პაატა გურასპაული #7

- მათ მაგალითზე, მათთან ერთად ვიზრდებოდით. მაგალითად, მიხეილ ქორქიასთან ვარჯიშმაც მომინია და თამაშიც. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი დარი კალათბურთელი არ მინახავს, ის ჩემი კერპი იყო. ვთამაშობდი ნიკოლოზ დერიუგინის, თამაზ ჩიხლაძის, გივი ბიჭიაშვილის გვერდით. ეს დიდი სტიმულიც იყო და გაკვეთილიც.

**- გავიდა დრო და ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა კალათბურთსაც დაასვა დაღი.**

- ბოლო 20 წლის განმავლობაში პოლიტიკური მოვლენების გამო სპორტისთვის არავის ეცალა. მშობლებს, უბრალოდ, საშუალება არ ჰქონდათ შვილების მომავალზე სპორტული კუთხით ეფიქრათ. ამას მოჰყვა კომპიუტერიზაციის ეპოქა, რაც სპორტის მასობრიობაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს. ბევრს ურჩევნია კომპიუტერთან გაერთოს, ვიდრე წიგნი აიღოს ხელში, სპორტით დაინტერესებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... არადა, თუნდაც კალათბურთში ნამდვილად არის პერსპექტივა. სპორტსმენი უცხოეთში თუ განაგრძობს კარიერას, ეს თავისთანად ცხოვრების ნორმალურად მოწყობის გარანტიაა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებსაც მაღალი ხელფასები აქვთ. ჩემს დროს ამდენი რომ გადაეხადათ, ვთქვათ, ხუთის ნაცვლად დღეში 50-ჯერ ვივარჯიშებდი.

**- თქვენი თაობის კალათბურთელებს მნიშვნელოვანი მისიის შესრულება დაგეკისრათ - საქართველოს ნაკრების პირველი ნაბიჯების თანამონაწილე გახდით.**


პაატა გურასპაული, ცენტრში

- ურთულეს პერიოდში იქმნებოდა ეროვნული გუნდი. 1993-94 წლებში არც სინათლე გვქონდა, არც - წყალი, ქვეყანაში გაჭირვება იყო. სწორედ ამ დროს კალათბურთელებმა იმდენი მოვახერხეთ, რომ დარბაზში 13 ათასი მაყურებელი შევკრიბეთ. ეს ამბავი ტელეკომპანია სი-ენ-ენ-მაც გადასცა. საქართველოს ჩემპიონატს სამივე ფინალი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. ჩემპიონი გუნდის, „ვითას" მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი ნაკრების თავკაცად დაინიშნა, ხოლო ვიცე-ჩემპიონი „თბილისის" მწვრთნელი ნოდარ ქორქია ასისტენტად. გუნდის უფროსი ჯამლეტ ხუხაშვილი იყო.

> თუ გავითვალისწინებთ მეტოქეთა სიძლიერესა და კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას ტრავმის ფაქტორს, ჩემი აზრით, ჯგუფიდან გასვლა გმირობის ტოლფასი იქნება

**- პირველი შეჯიბრება 1995 წელს გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იყო...**

- მანამდე მოსკოვში ჩავედით და ოთხი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. ოთხივე მოვიგეთ, რის შემდეგაც საკვალიფიკაციო ეტაპის სათამაშოდ ინგლისის ქალაქ ბირმინგემში გავემგზავრეთ. პირველი ბარიერი წარმატებით დავძლიეთ და შესარჩევ ეტაპზე მოვხვდით... ამის შემდეგ ნაკრებში არაერთი თაობა შეიცვალა და დღეს გვყავს გუნდი, რომელიც უკვე მეორედ ითამაშებს ევრობასკეტის ფინალურ ტურნირზე.

**- ტელეკომპანია GMG გადასცემს როგორც ევროლიგას, ასევე NBA-ს. შესაბამისად კარგად იცით როგორც ჩვენი ნაკრების წევრების ამბები, ასევე ევრობასკეტზე ჩვენი მეტოქე კალათბურთელებისა. საინტერესოა, რას უნდა ველოდეთ საქართველოს ნაკრებისგან ევრობასკეტზე?**

- გუნდმა 2011 წელს თამასა ძალიან მაღლა ასწია და ამჯერად ჯგუფიდან ვერგასვლა მავანმა შეიძლება წარუმატებლობად ჩათვალოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მეტოქეთა სიძლიერესა და კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას ტრავმის ფაქტორს, ჩემი აზრით, ჯგუფიდან გასვლა გმირობის ტოლფასი იქნება. შესაძლოა, მიზნის მიღწევა გაგვიჭირდეს, მაგრამ ძალიან მინდა ნაკრებისგან კარგი თამაში ვიხილო.

**- ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

- ესპანეთის ნაკებში გასოლები, ნავარო და კიდევ რამდენიმე ვარსკვლავიც რომ არ ჩამოვიდეს, მაინც ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად ჩაითვლება. იმის თქმაც შეიძლება, რომ ჩვენს ჯგუფში მოიძებნება გუნდი, რომელსაც შესაძლოა, ესპანელებზე ძლიერი უკანა ხაზი ჰყავდეს - სლოვენია. ბენო უდრიხი და გორან დრაგიჩი უმაღლესი დონის პროფესიონალები გახლავან. ვთვლი, რომ სლოვენიელები ფინალში მოხვედრის პრეტენდენტები არიან.

**- ევროლიგის გუნდებში არაერთი ხორვატია მიმობნეული...**

- ხორვატიაზე ბოლოს ვიტყვი. რაც შეეხება პოლონეთს, იქ ლამპე და გორტატი თამაშობენ, რაც ჩვენს ნაკრებთან წინა ხაზში უპირატესობას აძლევს (ფაჩულიას არყოფნაში). შერმადინს დიდი ძალისხმევა დასჭირდება მათთან გასამკლავებლად. უკანა ხაზში უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ვიცი, რომელი ნატურალიზებული დაიცავს ჩვენი გუნდის ღირსებას. ჩეხეთს აუტსაიდერად მიიჩნევენ, მაგრამ არაერთი მაღალი დონის კალათბურთელი ჰყავს და მათთან გამარჯვება იოლი არ იქნება. მივედით ხორვატიასთან, რომელიც შესაძლოა ჯგუფიდან ვერ გავიდეს, თუმცა ისიც დასაშვებად მიმაჩნია, რომ ევრობასკეტის ფინალი ითამაშოს.

**- NBA-ზეც გკითხავთ. წლევანდელი პირველობის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

- თუ შარშან ორი მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდი იყო, წლეულს ერთი გამოკვეთილი ფავორიტია - „მაიამი". ლებრონ ჯეიმსი „ზეთამაშს" უჩვენებს, მისი შეჩერება წარმოუდგენელია. ჯეიმსის გვერდში არიან უეიდი, ბოში და... მოკლედ, მწვრთნელ ერიკ სპოელსტრას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. რაც მთავარია, „მაიამის" დაცვა 90-იანი წლების „ჩიკაგოს" დაცვას მახსენებს. სხვათა შორის, მაშინ არც ჩიკაგოელებს ჰყავდათ სოლიდური ცენტრი. ჩათვალეთ, რომ კალათბურთის შესახებ არაფერი ვიცი, თუ წლეულს MVP-ს ჯილდო ლებრონ ჯეიმსი არ მიიღებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი



არმაზი-ჯიქები

# არმია-ლელო და აია-არმაზი

**საქართველოს ჩემპიონატის წლევანდელ გათამაშებაში გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. ქვეყნის პირველი გუნდის ტიტულისთვის ბრძოლას ოთხი გუნდი განაგრძობს. წლეულს მოწინავე ოთხეულში არ არის ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“. პირველად მოხვდა საუკეთესოთა შორის თბილისის „არმაზი“.**

ჩემპიონობისთვის, ისევე როგორც შარშან, ამჟამადაც იბრძოლებენ „არმია“, თბილისის „ლელო“ და ქუთაისის „აია“. შესარჩევ ფინალში, რომლის გამარჯვებულიც პირდაპირ დიდ ფინალში გადადის, მოქმედი ჩემპიონი „არმია“ „ლელოს“ დაუპირისპირდება. არმიელებმა მიმდინარე სეზონის რეგულარული გათამაშება მოიგეს, მათი ამჟამინდელი მეტოქე კი, სატურნირო ცხრილში მეორე იყო.

არადა, „ლელო“ მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა და სატურნირო ცხრილში პირველი საფეხური ბოლო სამ ტურში დათმო. ბოლო წლებში ეს გუნდი მუდმივად ლიდერებშია და ჩემპიონის ტიტულიც არაერთხელ მოუპოვებია. ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა დიდი ნაწილიც სწორედ აქ დაფრთიანებულ-აღზრდილია.

**ლევან მაისაშვილის** სამწყსო, როგორც უკვე ვთქვით, მიმდინარე გათამაშებაში შესანიშნავად ირჯებოდა და სამართლიანად მიიჩნევა ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად. გუნდში საქართველოს ეროვნული, ასაკობრივი და შვიდკაცა რაგბის ნაკრებების რამდენიმე მორაგბეა, რომლებიც ნებისმიერი გუნდისთვის საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენენ.

„ლელოს“ ძლიერი მხარე უკანა ხაზია, რომელსაც ოდნავ ჩამოუვარდება შერკინება, თუმცა იმდენად არა, რომ ნებისმიერი ქართული გუნდის მორკინალებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს.

შეიძლება ითქვას, რომ შედარებით თანაბრადაა დაკომპლექტებული საქართველოს ჩემპიონი „არმია“. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო გუნდს ბევრი წამყვანი მოთამაშე დააკლდა და შუა სეზონში კიდევ რამდენიმემ უცხოეთში განაგრძო კარიერა, **ნიკოლოზ ჭავჭავაძის** სამწყსო მაინც მობილურ, საკმაოდ საინტერესოდ მოთამაშე და ძლიერ გუნდად რჩება.

„არმიას“ სათადარიგოთა სკამი იმდენად გრძელი აქვს, რომ ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია მოძებნოს სრულფასოვანი შეცვლა. ცხრა ნომრის პოზიციაზე რუმინეთში გადაბარგებული **ბიძინა სამხარაძის** ადგილი ახალგაზრდა **რამაზ ჯინაშვილმა** დაიკავა, რომელსაც აშკარად ეტყობა სანაკრებო პოტენციალი. სპეციალისტები ამ მორაგბეს ყურადღებით აკვირდებიან. საინტერესოა, შეძლებს თუ არა ის დიდი ფსიქოლოგიური წნეხის პირობებში თავისი შესაძლებლობების წარმოჩენას.

წლეულს, პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება „არმიამ“ 30:23 მოიგო, საპასუხო შეხვედრა კი ლელოელების სასარგებლოდ დასრულდა - 16:13.

შესარჩევ ფინალში გამარჯვებული, როგორც უკვე ვთქვით, პირდაპირ დიდ ფინალში გავა. წაგებული კი, გასავარდნ ფინალში გამარჯვებულს შეხვდება, რომლის ვინაობაც ქუთაისში, „აიასა“ და თბილისის „არმაზს“ შორის მატჩში გამოვლინდება.

არმაზელებმა ოთხეულში თამაშის უფლება თავდადებული და გააზრებული თამაშის წყალობით მოიპოვეს. ეს გუნდი რომელ ადგილზეც არ უნდა გავიდეს, წლევანდელი სეზონი მისთვის უდავოდ წარმატებულად მიიჩნევა. ასე „შორს“ „არმაზი“ არასდროს წასულა. პლეი ოფის შესარჩევ ეტაპზე არმაზელებმა ჩემპიონატის დებიუტანტი, წლევანდელი გათამაშების მშვენება, თბილისის „ჯიქები“ დაამარცხეს.

ქუთაისის „აიას“ კი, ამ ეტაპზე მეტოქე გაცილებით სერიოზული ჰყავდა. მოთამაშე მწვრთნელის **ბესიკ ხამაშურიძის** ხელმძღვანელობით ქუთათურებმა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს თბილისის „ლოკომოტივს“ სძლიეს. ეს შეხვედრა ქუთაისში, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა და, ამჯერადაც, „აია“ თბილისელ სტუმრებს იქვე უმასპინძლებს.

ცხადია, შინაურ კედლებში თამაში საგრძნობი უპირატესობაა. ამის უფლება „აიამ“ რეგულარულ გათამაშებაში მესამე ადგილზე გასვლით მოიპოვა. თუმცა, თუ ქუთაისური გუნდი შემდეგ ეტაპზე გასვლას შეძლებს, უკვე სტუმრად, თბილისში თამაში მოუწევს.

ამ გუნდების დაპირისპირებაში „აიამ“ ორი თამაშიდან ორივე მოიგო, შინ - 28:20 და სტუმრად - 19:7.

**დღეს**

**შესარჩევი ფინალი**

**არმია-ლელო**

**21 აპრილი**

**გასავარდნი ფინალი**

**აია-არმაზი**

## ლეგიონერები

# ბოლოსწინა გაარკვევს?

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტურმა შესაძლოა ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი. პლეი ოფის სამი მონაწილეს ვინაობა გარკვეულია. ასევე ცნობილია ის ორი გუნდიც, რომელიც პირველ დივიზიონს დატოვებს. დასადგენი პლეი ოფის დარჩენილი სამი მონაწილის ვინაობაღაა.**

ბოლოსწინა, 25-ე ტურის ცენტრალური მატჩი კლერმონში გაიმართება, სადაც **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ვულკანები“ ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზს“ უმასპინძლებს. მას შემდეგ, რაც ტულუზელებმა კლერმონში მოიგეს, 11 წელიწადი გავიდა.

„ვულკანებს“ საკუთარ მოედანზე 58 თამაშია არ წაუგია. ამიტომ, ძნელად სავარაუდოა, რომ ამჯერად ტულუზელებმა მასპინძლებს რაიმე დააკლონ. მით უფრო, რომ გამარჯვების შემთხვევაში „კლერმონი“ პირდაპირ ნახევარფინალში დაიბევებს ადგილს. თუმცა ამის გაკეთება სტუმრად „ბორდოსთან“ ბოლო ტურშიც შეუძლია.

მასპინძელთა გუნდის „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების მეოთხედფინალში დაშავებული მორაგბეები გამოჯანმრთელდნენ და სრულ საბრძოლო მდგომარეობაში არიან. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ, საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯები დავით ზირაქაშვილი და ვასილ კაკოვინი, შერკინების კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე თადარიგშია, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი ვიქტორ კოლელიშვილი განაცხადში არ არის.

გათამაშების ლიდერი **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“ სტუმრად ითამაშებს „გრენობლთან“. „ალპელები“ მეტოქეს საფეხბურთო კლუბ „გრენობლის“ სტადიონზე დაუხვდებიან და შეეცდებიან, წაგებების ის სერია შეწყვიტონ, რომელიც ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო.

„ტულონს“ პირდაპირ ნახევარფინალში თამაში უკვე განაღდებული აქვს. ამიტომ, გუნდის თავკაცმა **ბერნარ ლაპორტმა** გადაწყვიტა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენოს. ესენია: **ჯონი ვილკინსონი, მატიო ბასტარო, ენდრიუ შერიდანი, კარლ ჰეიმანი** და **ბაკის ბოთა. მაქსიმ მერმოსი** და **დენი როსუ** კი ტრავმირებულნი არიან.

ჩილაჩავა ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, ქუბრიაშვილი და მიქაუტაძე სათადარიგოთა შორის იქნებიან.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს“ შეუძლია გასვლით მატჩში უმოტივაციო ბასკური „ბაიონის“ დამარცხება და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე პლეი ოფის საგზურის მოპოვება. მონპელიელებმა მოახერხეს საჭირო მომენტში ძალების მობილიზება და ბოლო სამ ტურში ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს. 24-ე ტურში სულაც შინ დაამარცხეს ჩემპიონი „ტულუზი“.

გორგოძე და ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში არიან, ჟღენტი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთვება.

პლეი ოფში თამაშის უფლებას აუცილებლად მოიპოვებს **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელიც შინ ეთამაშება დივიზიონიდან უკვე გავარდნილ **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანს“. კასტრელებს სავარაუდოდ მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ, რაც საშუალებას მისცემს, ნახევარფინალის შესარჩევი მატჩი ითამაშოს.

კიდევ ერთი ქართველის, **ზურაბ ჟვანიას** პარიზული „სტად ფრანსე“, რომელიც უმოტივაციოდაა დარჩენილი, შინ ეთამაშება თანაქალაქელ „მეტრო რასინგს“.

**XXV ტური**

**კლერმონი-ტულუზი, ბაიონი-მონპელიე, ბორდო-ბიარიცი, აჟენი-პერპინიანი, კასტრი-მონ დე მარსანი, გრენობლი-ტულონი, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 84 ქულა, 2. კლერმონი - 82, 3. ტულუზი - 74, 4. კასტრი - 68, 5. მეტრო რასინგი - 68, 6. მონპელიე - 67, 7. პერპინიანი - 61, 8. ბიარიცი - 52, 9. გრენობლი - 50, 10. სტად ფრანსე - 50, 11. ბაიონი - 49, 12. ბორდო - 43, 13. აჟენი - 27, 14. მონ დე მარსანი - 15.**

## ზე რაგბი

# წითლების გალიდერების შანსი

**ზე რაგბის გათამაშების მეათე ტური ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის კონფერენციების გუნდების დაპირისპირებით დაიწყო. ორი შეხვედრიდან, თითოეული ქვეყნის წარმომადგენელმა თითო გამარჯვება მოიპოვა.**

### ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის კონფერენციაში დედაქალაქურმა, ველინგთონის „ჰარიკენზმა“ ავსტრალიური პერთის „ფორსი“ მიიღო და 22:16 მოუგო. მასპინძლებმა სათამაშო უპირატესობა დასაწყისშივე მოიპოვეს და 48-ე წუთისთვის 22:6 იგებდნენ. მატჩის დასკვნით ნაწილში ავსტრალიელებმა თამაშის გადარჩენა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. მასპინძლებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, რაზეც სტუმრებმა ერთით უპასუხეს.

ამავე კონფერენციაში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ საკუთარ მოედანზე ითამაშებს აუტსაიდერ დანიდინის „ჰაილენდერზთან“. მიუხედავად იმისა, რომ „ჯვაროსნები“ ლიდერების, **რიჩი მაქოასა** და **დენ კარტერის** გარეშე თამაშობენ, სავარაუდოდ, დანიდინელებს შინ განბილებულს გაუშვებენ. მით უფრო, რომ „კრუსეიდერზს“ გამარჯვება ჰაერივით სჭირდება.

**X ტური**

**ჰარიკენზი-ფორსი 22:16, კრუსეიდერზი-ჰაილენდერზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 30 ქულა, 2. ბლუზი - 27, 3. ჰარიკენზი - 27, 4. კრუსეიდერზი - 22, 5. ჰაილენდერზი - 6.**

### ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში სიდნეის „ვორათაზმა“ შინ მიიღო ახალი ზელანდიის კონფერენციის ლიდერი ჰემილტონის „ჩიფსი“ და 25:20 მოუგო. სტუმართა გუნდმა მოულოდნელად პირველი ტაიმი მთლიანად ჩააგდო და მშრალი ანგარიშით 0:15 წააგო. მატჩის ბედი სწორედ პირველ ტაიმში გადაწყდა.

შესვენების შემდეგ, სტუმრებმა ორი ლელოს გატანა მოახერხეს, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საერთო წარმატების მოსაპოვებლად.

ტურის ცენტრალური მატჩი ბრისბენში გაიმართება, სადაც ავსტრალიის კონფერენციაში მეორე ადგილზე მყოფი „რედსი“ ლიდერს, კანბერას „ბრამბიზს“ დაუპირისპირდება. ამ გუნდებს შორის სხვაობა ორი ქულაა. „წითლები“ ნელ-ნელა ფორმაში შედიან, რადგან მწყობრში ჩადგნენ მათი დაშავებული ლიდერები **ვილი გენია** და **ქუადე კუპერი**. მასპინძლები გამარჯვების შემთხვევაში კონფერენციაშიც გალიდერდებიან და მთლიანად ზე რაგბის გათამაშებაშიც.

**X ტური**

**ვორათაზი-ჩიფსი 25:20, რედსი-ბრამბიზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 33 ქულა, 2. რედსი - 31, 3. ვორათაზი - 25, 4. ფორსე - 16, მელბურნ რებლზი - 15.**

### სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში ყურადღებას იპყრობს ლიდერის, დურბანის „ნატალ შარქსის“ დაპირისპირება მოულოდნელად ლიდერთა შორის გარეულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან“. „ზვიგენებს“ 26 ქულა დაუგროვდათ და მეტოქეს მხოლოდ სამი ქულით უსწრებენ. ბრძოლა, სავარაუდოდ უშელავათო გამოვა, თუმცა სტუმართა გამარჯვება მაინც ნაკლებად მოსალოდნელია.

კიდევ ერთ შეხვედრაში პრეტორიის „ბლუ ბულზი“ სტუმრად ეთამაშება დებიუტანტ „საუთერნ კინგზს“. ცხადია, ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა რთული არ არის.



**X ტური**

**ნატალ შარქსი-ჩიტაზი, საუთერნ კინგზი-ბლუ ბულზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნატალ შარქსი - 26, 2. ბლუ ბულზი - 23, 3. ჩიტაზი - 23, 4. სტორმერზი - 20, 5. საუთერნ კინგზი - 15.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი


ხუან მანუელ მარკესი

# მარკესი არ მიდის და ბიტბულს უმიზნებს

მექსიკელმა **ხუან მანუელ მარკესმა** კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა და უკვე გაარკვია თავისი მორიგი მეტოქის ვინაობა. 39 წლის ვეტერანი 14 სექტემბერს, ლას ვეგასში შეხვდება ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონს, ამერიკელ **ტიმოტი ბრედლის**.

*„ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ, კარიერის გაგრძელების გადაწყვეტილება მივიღე. ეს იმით არის განპირობებული, რომ თავს ჯერ ისევ შესანიშნავად ვგრძნობ,* - აღიარებს მარკესი. - *ჩემი აზრით, კარიერის დასრულებამდე შევძლებ კიდევ ორი-სამი ბრძოლის ჩატარებას“.*

*„14 სექტემბრის ბრძოლისთვის ორ კანდიდატურას განვიხილავდით - ტიმოტი ბრედლისა და მაიკ ალვარადოს,* - აგრძელებს მარკესი. - *მოხარული ვარ ახალი გამოწვევის მიღებით. ბრედლისთან ბრძოლა იოლი გასეირნება არ იქნება. ჩემთვის დიდი პატივია შანსი - გავხდე მსოფლიოს ჩემპიონი მეხუთე წონით კატეგორიაში“.*

# რიოზე ფიქრს არ ეშვება

მრავალი შეზღუდვის მიუხედავად, უკრაინელი სუპერმძიმეწონოსანი, სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვლადიმერ კლიჩკო** მაინც აპირებს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას.


ვლადიმერ კლიჩკო

უმცროსმა კლიჩკომ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ 2016 წლის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვება სურს, მაგრამ სულ მალე, გერმანიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა **იურგენ კიასმა** ჩააცხრო უკრაინელის მონდომება. მისი თქმით, კლიჩკოს არ შეუძლია ოლიმპიადაზე გამოსვლა, პირველ რიგში, პროფესიულ დონეზე ბრძოლების რიცხვის შეზღუდვის გამო. რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს, ვლადიმერის ანგარიშზე კი უკვე 62 შეხვედრაა.

და მაინც, კლიჩკოს ჯერ არ გადაუფიქრებია რიოში გამოსვლა. ის სამი წლის შემდეგ აპირებს პროფესიული კარიერის შეწყვეტას ოლიმპიადაზე ასპარეზობის გამო.

*„ვოცნებობ რიო-დე-ჟანეიროში გამოსვლასა და იქ გამარჯვებაზე. ეს იყო ჩემი და ან უკვე გარდაცვლილი მწვრთნელის ემანუელ სტიუარდის ერთობლივი ოცნება. იმედია, ამ ოცნების ასრულების საშუალება მექნება“,* - განაცხადა ვლადიმერმა.

შეგახსენებთ, რომ თავის მორიგ ორთაბრძოლას უმცროსი კლიჩკო იტალიელი **ფრანჩესკო პიანეტას** წინააღმდეგ ჩაატარებს.

კალათბურთი

## კლივლენდს ბრაუნი უბრუნდება

როგორც ვებგვერდი ESPN.com წერს, **მაიკ ბრაუნი**, შესაძლოა, „კლივლენდის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნოს. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ „კავალიერზის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ბაირონ სკოტი**, რომელიც ბოლო სამი წელი ხელმძღვანელობდა გუნდს.

ბრაუნი 2005-2010 წლებში ედგა სათავეში „კლივლენდს“, 2007 წელს მისმა გუნდმა ფინალში ითამაშა, 2009 წელს კი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა.

2011 წელს ბრაუნი „ლეიკერსის“ მთავარ მწვრთნელად აირჩიეს, მაგრამ მან დატოვა გუნდი 2012-13 წლების სეზონის წინ.

## ოფიციალურად: ნიუ ორლეანი პელიკანსი გახდა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „ნიუ ორლეანმა“ ოფიციალურად შეიცვალა სახელი. ახლა, მას „ჰორნეტსის“ ნაცვლად „პელიკანსი“ ჰქვია, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

უკვე ამ სახელწოდებით, კლუბი მონაწილეობას მიიღებს 2013 წლის დრაფტის ლატარიაში, რომელიც 21 მაისს გაიმართება.

ახალი სახელის ინიციატორი გახდა „ნიუ ორლეანის“ მფლობელი **ტომ ბენსონი**, რომელმაც ამ ბრენდის გამოყენებაზე უფლება გასული წლის აპრილში შეიძინა. აღვნიშნავთ, რომ პელიკანი გამოსახულია ლუიზიანას შტატის ბეჭედსა და დროშაზე.

რაც შეეხება სახელწოდება „ჰორნეტს“, სავარაუდოდ, მას „შარლოტს“ გადასცემენ.

## სასჯელი მკაცრდება

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ პლეი ოფის მატჩებისთვის სიმულაციის გამო სასჯელი გაამკაცრა, - წერია NBA.com-ზე. პირველი ანალოგიური დარღვევისთვის კალათბურთელი 5 ათასი დოლარით დაჯარიმდება, წესის მეორე დარღვევა 10 ათასით დაისჯება, მესამე - 15 ათასით, მეოთხე - 30 ათასით. თუ დარღვევათა რიცხვი ოთხი გადააჭარბებს, ლიგას მოთამაშის დისკვალიფიკაციის უფლება ექნება.

ახალი წესები ძალაში პლეი ოფის დაწყებიდან შევა.

ფორმულა 1. ბაჰრეინის გრანპრის წინ

# ფორმულა უდაბნოში ჩავიდა

„საჰირის“ ტრასა განლაგებულია ბაჰრეინის დედაქალაქ მანამადან სამხრეთით, 30 კილომეტრზე. ტრასის სქემა შემუშავებულია გერმანელი დიზაინერის **ჰერმან ტილკეს** მიერ. ავტოდრომის მშენებლობა ორ წელიწადში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ფორმულა 1-ის შეფმა **ბერნი ექლსტოუნმა** იკითხა - შესაძლებელია თუ არა მშენებლობის ვადების ექვსი თვით შემცირება, რაზეც სამშენებლო კომპანიამ განაცხადა, რომ ეს სავსებით რეალური მიზანი იყო.

პროექტის რეალიზაციაზე დაიხარჯა 150 მილიონი დოლარი, მშენებლობაში დაახლოებით 3 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

2010 წლამდე, ტრასის სიგრძე 5412 კილომეტრი იყო. ამ კონფიგურაციისას წრის რეკორდი ეკუთვნის **მიხაელ შუმახერს** („ფერარი“): 2004 წელს, მან დისტანცია წუთსა და 30.252 წამში დაფარა. სწორედ გერმანელი გახდა ამ ტრასაზე პირველი გამარჯვებული.

მოქმედ პილოტებს შორის „საჰირის“ ავტოდრომზე გაუმარჯვიათ: **სებასტიან ფეტელს** („რედ ბული“) - 2012; **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი“) - 2010,2006, 2005; **ჯენსონ ბატონს** („ბრაუნი“) - 2009; **ფელიპე მასას** („ფერარი“) - 2008, 2007.

### ტრასის პარამეტრები

**წრეების რაოდენობა:** 49
**წრის სიგრძე:** 6 299 მეტრი
**რბოლის დისტანცია:** 308,405 კმ
**ტრიბუნების ტევადობა:** 50 000
**მოსახვევების რაოდენობა:** 15 (6 მარცხენა, 9 მარჯვენა)
**ტრასის რეკორდი:** 1:30.252 (მ. შუმახერი, „ფერარი“, 2004)

2010 წელს გამოიყენეს ტრასის ახალი კონფიგურაცია - მეოთხე და მეხუთე მოსახვევებს შორის მონაკვეთს დაუმატეს სექცია, რითაც ტრასის სიგრძე 887 მეტრით გაიზარდა, ასე რომ, პილოტები ახლა არა 57, არამედ 49 წრეს გადიან.

ტრასა მომთხოვნია გასწრების დინამიკაზე, მუხრუჭების ეფექტურობასა და მათ გაგრილებაზე.

ბაჰრეინში საჭიროა საშუალოზე მაღალი მოჭიდების ძალა, რადგან პილოტებს ტრასის 65 პროცენტზე აქსელერატორის სატერფულზე ბოლომდე აქვთ ფეხი მიჭერილი.

ტრასაზე ბევრი ქვიშის გამო გუნდები დამატებით ფილტრებს აყენებენ, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ გაგრილების პრობლემები.

„საჰირზე“ თითქმის არ არის სწრაფი მოსახვევები, მაგრამ სწორი მონაკვეთების ბოლოს შესაძლებელია გასწრება.

გრძელი სასტარტო სწრაფი მონაკვეთი და შედარებით ნელი შუა ნაწილი გუნდებს აიძულებს ტრადიციული კომპრომისი მონახონ მოჭიდების ძალასა და სისწრაფეს შორის.

ამჯერად კომპანია „პირელი“ გუნდებს „მედიუმსა“ და ხისტ საბურავებს („ჰარდი“) შესთავაზებს.

ბაჰრეინში არ არის „დაკბილული“ ასფალტი, ამიტომაც საბურავების ცვეთა საშუალო ხარისხისაა, თუმცა საბურავები სერიოზულად ზიანდება ტრასიდან გადასვლის გამო.

არ უნდა დავივიწყოთ ჰაერისა და გზის საფარის ტემპერატური.

საბურავების ცვეთა სტრატეგიის შემუშავებისას მთავარი ფაქტორია.

### სხვა დეტალები

ტრასის არქიტექტურა მის რამდენიმე დამოუკიდებელ ტრეკად (ორიდან შვიდამდე) დაყოფის საშუალებას იძლევა, რითაც „საჰირზე“ სხვადასხვა სახის შეჯიბრის ჩატარებაა შესაძლებელი.

შთამბეჭდავია კომპლექსის ინფრასტრუქტურა: 45 ათასი დასაჯდომი ადგილი, რომელთაგანაც 10 500 მთავარ ტრიბუნაზეა განთავსებული; რვასართულიანი კოშკი სახურავზე ტერასით, VIP-ადგილებით, რესტორნით და ადმინისტრაციული ოფისებით. ავტოდრომზეა 11 თანამედროვე ბოქსი და 18 სპეციალური შენობა სარბოლო გუნდებისთვის. რბოლის მართვის ცენტრი ულტრათანამედროვეა. ის მოიცავს 41 კამერას, რომელიც შეჯიბრის ყოველ მომენტს აფიქსირებს. მედიაცენტრი 500 ჟურნალისტს იტევს. მათ განკარგულებაშია 260 ტელევიზორი. ფოტოგრაფების ცენტრი 120 კაცზეა გათვლილი. კომპლექსს გააჩნია პარკინგი, რომელიც 13 ათას ავტომობილს იტევს.

### უქმეების განრიგი

**19 აპრილი, 11:00 - I პრაქტიკა**
**19 აპრილი, 15:00 - II პრაქტიკა**
**20 აპრილი, 12:00 - III პრაქტიკა**
**20 აპრილი, 15:00 - კვალიფიკაცია**
**21 აპრილი, 16:00 - რბოლა**

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ფეტელი | 52 |
| 2. კიმი რაიკონენი | 49 |
| 3. ფერნანდო ალონსო | 43 |
| 4. ლუის ჰემილტონი | 40 |
| 5. ფელიპე მასა | 30 |
| 6. მარკ უებერი | 26 |

### ბაჰრეინის სტატისტიკა

| წელი | გამარჯვებული | პოული | საუკეთესო წრე |
|---|---|---|---|
| 2012 | ფეტელი (რედ ბული) | ფეტელი | ფეტელი |
| 2010 | ალონსო (ფერარი) | ალონსო | ფეტელი |
| 2009 | ბატონი (ბრაუნი) | ტრული | ტრული |
| 2008 | მასა (ფერარი) | კუბიცა | კოვალაინენი |
| 2007 | მასა (ფერარი) | მასა | მასა |
| 2006 | ალონსო (რენო) | მ. შუმახერი | როსბერგი |
| 2005 | ალონსო (რენო) | ალონსო | დე ლა როსა |
| 2004 | შუმახერი (ფერარი) | შუმახერი | შუმახერი |




# მასამ და კიმიმ მოგებით დაიწყეს

გუშინ ბაჰრეინში ორი თავისუფალი პრაქტიკა გაიმართა. დილით „საჰირის“ ტრასაზე, ტრადიციულად, ბევრი ქვიშა იყო, მაგრამ სესიის მსვლელობისას ასფალტის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ორ გუნდში მოხდა ცვლილება. **ჰეიკი კოვალაინენმა** შეცვალა **გიდო ვან დერ გარდე** „კატერჰემის“ საჭესთან (გუნდმა გამოცდილი ფინელი მიიწვია მანქანის ბალანსში გასარკვევად), ხოლო „მარუსიაში“ დროებით **ჟიულ ბიანკი** ტესტ-პილოტმა **როდოლფო გონსალესმა** შეცვალა, რომელმაც მხოლოდ შვიდი წრე გაიარა - შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა გადაცემათა კოლოფი.

სანამ ტრასა მტვრიანი იყო, გუნდები ტექნიკურ სიახლეებთან მუშაობდნენ, შემდეგ გადაერთნენ სარბოლო მახასიათებლების ძიებაზე. სესია სერიოზული პრობლემების გარეშე წარიმათა. საუკეთესო დრო აჩვენა **ფელიპე მასამ**. ბრაზილიელთან წამზე ნაკლები სხვაობა ჰქონდა რვა პილოტს - **ალონსოს, როსბერგს, ფეტელს, დი რესტას, ბატონს, უებერს, სუტილსა** და **რაიკონენს**.

■ ■ ■

სესიებს შორის შესვენებისას მცირე წვიმა წამოვიდა, მაგრამ ტრასა არ დასველებულა - ასფალტი იმდენად ცხელი იყო, რომ წვეთები მაშინვე შრებოდა.

მეორე ვარჯიშის დაწყებიდან 37 წუთის შემდეგ მცირე კონტაქტი ჰქონდათ **გუტიერესსა** და **პიკს**. ესტებანმა ოდნავ დააგვიანა დამუხრუჭება მერვე მოსახვევში, შეეხო მეტოქის მანქანას და ბოქსებში გაემართა დაზიანებული საბურავის გამოსაცვლელად. გასულ გრანპრიზე ახალგაზრდა მექსიკელმა ასევე დააგვიანა დამუხრუჭება და **ადრიან სუტილს** დაეჯახა, რის გამოც, ბაჰრეინის გრანპრის სასტარტო ბილიკზე ხუთ ადგილს დაკარგავს.

სხვა მხრივ, სესიამ უპრობლემოდ ჩაიარა. პილოტებმა ისევ დაიჩივლეს საბურავის მაღალი ცვეთის გამო. ამჯერად წრეზე საუკეთესო დრო დააფიქსირა კიმი რაიკონენმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ფელიპე მასა ავტოდრომის ფონზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. ფედერაციის თასი



ერანი და ვინჩი

# განრიგი შედგენილია

ამ კვირას ქალების პროფესიულ ტურში ტურნირი არ იმართება, სამაგიეროდ, დღეს და ხვალ, მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატზე - ფედერაციის თასზე ნახევარფინალური მატჩები ჩატარდება.

გუშინ წილისყრის ტრადიციული ცერემონია გაიმართა და გაირკვა ორივე წყვილში ჩოგბურთელთა კორტზე გასვლის გრაფიკი.

**იტალია-ჩეხეთი**

**(პალერმო. გრუნტი)**

**შაბათი**

სარა ერანი-ლუსი საფაროვა
რობერტა ვინჩი-პეტრა კვიტოვა

**კვირა**

რობერტა ვინჩი-ლუსი საფაროვა
სარა ერანი-პეტრა კვიტოვა
პენეტა/სკიავონე-ჰლავაჩკოვა/ჰრადეცკა

**რუსეთი-სლოვაკეთი**

**(მოსკოვი. გრუნტი)**

**შაბათი**

ანასტასია პავლიუჩენკოვა-დომინიკა ციბულკოვა
მარია კირილენკო-დანიელა ჰანტუხოვა

**კვირა**

მარია კირილენკო-დომინიკა ციბულკოვა
ანასტასია პავლიუჩენკოვა-დანიელა ჰანტუხოვა
მაკაროვა/ვესნინა-რიბარიკოვა/ჩეპელოვა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-ფლორიდა 6:1**

2:1, 1:0, 3:0

**გოლები:** 1:0 ბრასარი-9 (რიკ ნეში-19, კელეჰანი-11), 2:0 რიკ ნეში-18 (კელეჰანი-12, სტეპანი-21), 2:1 იუბერდო-14 (მარტიასი-6, ბრენანი-6), 3:1 ცუკარელო-2 (ქლოუ-14), 4:1 ცუკარელო-3 (ბ. რიჩარდსი-18), 5:1 ბრასარი-10 (დელ ზოტო-15, რიკ ნეში-20), 6:1 ბ. რიჩარდსი-7 (პიატი-3, მაკდონაჰი-12).

**ტორონტო-აილენდერსი 3:5**

2:3, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ლუპული-9 (კესელი-28, გარდინერი-3), 2:0 ფრანსონი-4 (ბოჟაკი-15, კესელი-29), 2:1 ბოიესი-9 (ტავარესი-19, ვიშნოვსკი-8), 2:2 მოულსონი-15 (ბოიესი-24, ვიშნოვსკი-9), 2:3 ტავარესი-25 (მოულსონი-27, ენდრიუ მაკდონალდი-8), 2:4 ტავარესი-26 (ბოიესი-25, შტრაიტი-20), 2:5 ნილსენი-5 (ოკსოპო-16), 3:5 ფანოფი-9 (კესელი-30, გარდინერი-4).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 რ. კარტერი-5 (ს. ჯონტა-9), 0:2 დ'აგოსტინი-3 (ჯოზეფსონი-2), 0:3 ენრიკე-11 (ზუბრუსი-6, ზეიჯაკი-10).

**ოტავა-ვაშინგტონი 3:1**

0:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტარისი-9 (მ. მიხალეკი-9, ფილიპსი-7), 1:1 რიბეირო-13 (ერატი-19, ჰილენი-5), 2:1 კონაჩერი-11, 3:1 ტარისი-10 (ფილიპსი-8, გრინინგი-10).

**მონრეალი-ტამპა ბეი 3:2**

0:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 გალჩენიუკი-9 (გალაჰერი-12, დრიუსკი-5), 2:0 ბ. ჯონტა-13 (პლეკანეცი-18, პასიორეტი-24), 2:1 პანიკი-5 (ჰედმანი-14, კილორნი-12), 2:2 ლეკავალიე-10 (პულიო-12, ჰედმანი-15), 3:2 ბ. ჯონტა-14 (ი. უებერი-2, რაიდერი-19).

**სტ. ლუისი-ფინიქსი 2:1 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პერონი-10 (ბეკსი-19, პიეტრანჯელო-17), 1:1 ვრბატა-8 (ეკმან-ლარსონი-19, ჰანზალი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ენდი მაკდონალდი (სტ. ლუისი).

**ვინიპეგი-კაროლინა 4:3**

1:0, 1:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბოგოსიანი-4 (ლიტლი-23, ლედი-24), 2:0 პოსტმა-4 (ველერი-20, ბოგოსიანი-9), 2:1 ტ. რუუტუ-1 (ფოლკი-10, გლისონი-9), 3:1 ველერი-17 (ლიტლი-24, ლედი-25), 3:2 ტ. რუუტუ-2 (მ-ა. ბერჟერონი-7, ჯ. სტაალი-18), 3:3 სიომინი-11 (ტლუსტი-12, ჯ. სტაალი-19), 4:3 ბაფლინი-8 (ლედი-26, ველერი-21).

**დალასი-ვანკუვერი 5:1**

0:0, 1:1, 4:0

**გოლები:** 0:1 დ. როი-6 (კესლერი-8, ჰანსენი-16), 1:1 ფიდლერი-4 (ნისტრიომი-4, იკინი-15), 2:1 იკინი-7 (რაილი სმიტი-5, ლარსენი-3), 3:1 ჯეიმი ბენი-11, 4:1 რეი უიტნი-11 (ჯეიმი ბენი-20, დილონი-5), 5:1 ე. კოული-9 (რობიდასი-12, ლ. ერიქსონი-17).

**სან ხოსე-მინესოტა 6:1**

1:0, 2:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ჰაველატი-6 (კუტური-14, მარლო-12), 2:0 კუტური-18 (მარლო-13, ჯ. ტორნტონი-32), 2:1 ბუშარი-7 (პომინვილი-20, გილბერტი-8), 3:1 ჰაველატი-7 (კუტური-15), 4:1 ტორესი-6 (პაველსკი-14), 5:1 პაველსკი-14 (ტორესი-11, დემერსი-2), 6:1 კუტური-19 (ჰაველატი-9).

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 დაუტი-6 (მ. რიჩარდსი-19, კოპიტარი-29), 1:1 პრაუტი-1 (კომო-4, ტიუტინი-17), 2:1 კლიფორდი-5 (ნოლანი-4, რიჩარდსონი-2).

## ამბები

**ცურვა**

### ტორპი რიოში არ იქნება

ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ავსტრალიელმა **იან ტორპმა**, რომელმაც 2006 წელს დაასრულა კარიერა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა დიდ სპორტში, გამოტოვა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეროვნული ტურნირი. შეგახსენებთ, რომ წელს პლანეტის პირველობა ბარსელონაში გაიმართება.

ადრე ტორპი აცხადებდა, რომ რიო-დე-ჟანეიროში გამოსვლა სურს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ მოხდება. შეგახსენებთ, რომ იანმა ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა სცადა, მაგრამ საკვალიფიკაციო ტურნირი ვერ გაიარა.

**ფორმულა 1**

### გაძევებული ჰემილტონი

გერმანული საჯინიბოს - „მერსედესის" პილოტმა **ლუის ჰემილტონმა**, რომელმაც სეზონის წინ დატოვა ბრიტანული „მაკლარენი", ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ არაერთხელ სცადა თავის ყოფილ საჯინიბოსთან ურთიერთობა. ბრიტანელის თქმით, ყველა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, ერთხელ კი „მაკლარენის" სპორტულმა დირექტორმა **სემ მაიკლმა** პილოტი ბოქსებიდან გააძევა.

*„ვცდილობდი „მაკლარენის" წარმომადგენლები ავსტრალიაში მომენახულებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა,* - მოჰყავს ჰემილტონის სიტყვები ESPN-ს. - *ერთხელ, ხერესის ტესტების დროს, მათ ბოქსებში შესვლა მინდოდა, მაგრამ სემ მაიკლმა იქიდან გამომაძევა. რა თქმა უნდა, არასასიამოვნო მომენტი იყო".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ჰალი-ბრისტოლი | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| მალიორკა-რაიო ვალეკანო | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| საბადელი-რეკრეატივო | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ბორუსია (მ)-აუგსბურგი | 1:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-სტ. პაული | 3:0 |
| რეგენსბურგი-ინგლოშტადტი | 1:2 |
| აალენი-უნიონი | 3:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ვეენი-ალემანია | 3:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| გოსლარერი-მეპენი | 1:1 |
| კილი-ვერდერი II | 1:1 |
| ვილჰელმშავენი-ჰანოვერი II | 2:3 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფერლი-შალკე II | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ზელიგენპორტენი-ნიურნბერგი A | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| მონპელიე-ლიონი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-კაენი | 1:1 |
| არლი-ისტრი | 1:0 |
| შატორუ-ნიორი | 1:0 |
| დიჟონი-ლავალი | 1:0 |
| გფკო აიაჩო-ტური | 0:1 |
| გინგამი-ლე მანი | 6:1 |
| ჰავრი-სედანი | 1:1 |
| **ნასიონალი** | |
| შერბური-ორლეანი | 1:1 |
| პონ დუ გარი-კარკეფუ | 0:2 |
| ლე პუარი-ფრეჟუსი | 0:0 |
| ლუზენაკი-რედ სტარი | 0:0 |
| ვანი-პარიზი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი-ჰერენვეენი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ემენი-ალმერი | 3:0 |
| ექსელსიორი-ვოლენდამი | 1:3 |
| დენ ბოში-მაასტრიხტი | 1:2 |
| დორდრეხტი-გრააფსხაპი | 2:1 |
| იგლზი-ეინდჰოვენი | 0:0 |
| ჰელმონდი-სპარტა | 1:1 |
| ტელსტარი-ტოპ ოსი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ბრაგა-აკადემიკა | 1:0 |
| **შოტლანდია** | |
| დანდი იუნ-მოზერველი | 1:3 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრონშოი-ვეილე | 1:3 |
| ფრედერისია-ვიბორგი | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-ვოლერენგა | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმსი-გაის | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ჰარტბერგი | 1:3 |
| სტ. პოლტენი-ლუშტენაუ | 2:2 |
| გრიოდიგი-ალტახი | 3:1 |
| ჰორნი-კაპფენბერგი | 0:3 |
| ბლაუ ვაისი-ვენა | 2:3 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ელაზიგი | 3:1 |
| **ირლანდია** | |
| სტ. პატსი-სლიგო | 2:0 |
| ბოჰემიანსი-დანდალკი | 0:2 |
| კორკი-შელბურნი | 1:1 |
| დერი-შემროკი | 2:1 |
| დროგედა-უნივერსიტი | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| მერვუ-უექსფორდი | 4:1 |
| უოტერფორდი-კობ რამბლერსი | 0:0 |
| ფინ ჰარპსი-გალვეი | 1:0 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ებერისტვიტი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2:1 |
| იჰლავა-ტეპლიცე | 1:1 |
| პლზენი-პრშიბრამი | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| ამკარი-რუბინი | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| ილიჩივეცი-ვორსკლა | 1:0 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-პიასტი | 1:1 |
| კორონა-გურნიკი | 1:0 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-ისტრა | 0:2 |
| ზაგრები-ზადარი | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| შიოფოკი-მტკ | 2:1 |
| უიპეშტი-პეჩი | 4:2 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-გაზ მეთანი | 3:4 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-სკონტო | 0:0 |
| **პარაგვაი** | |
| რუბიო ნუ-სერო პორტენიო | 1:2 |
| ხენერალი-პრეზიდენტე | 1:1 |
| **პერუ** | |
| ხუან აურიჩი-სპორტი | გადიდო |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ეფესი-ოლიმპიაკოსი | 74:73 |
| კახა ლაბორალი-ცსკა | 85:94 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-გრაველინი | 67:65 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-ვალიადოლიდი | 99:86 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ოლინი | 87:58 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| კიოლნი-აისბარენი | 3:6 |
| **დანია** | |
| ფრედერიკშავნი-სონდერიისკი | 0:1 (ო) |
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-ესეტი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-ზლინი | 2:5 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მონტე კარლო** | |
| ცონგა-ვავრინკა | 2:6, 6:3, 6:4 |
| **ნადალი**-დიმიტროვი | 6:2, 2:6, 6:4 |
| გასკე-**ფონინი** | 6:7, 2:6 |
| **ჯოკოვიჩი**-ნიემინენი | 6:4, 6:3 |

## TV პროგრამა

**20 აპრილი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. აიაქსი-ჰერენვეენი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ბორუსია (მ)-აუგსბურგი.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ფულემი-არსენალი (LIVE).
**20:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ვერდერი-ვოლფსბურგი (LIVE).
**22:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ალკმაარი-ეინდჰოვენი (LIVE).
**00:45** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. აინტრახტი-შალკე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-იუტა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა. V მატჩი.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. აინტრახტი-შალკე (LIVE).
**19:30** ყველაზე სწრაფები.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. სანდერლენდი-ევერტონი.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ნიუ იორკი-ბოსტონი. I მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო (LIVE).
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-გოლდენ სტეიტი.
**22:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**21 აპრილი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ალკმაარი-ეინდჰოვენი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. სანდერლენდი-ევერტონი.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**18:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ფეიენოორდი-ვიტესი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. შტუტგარტი-ფრაიბურგი.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XIX ტური. მოჟი მირიმი-სან პაულუ (LIVE).
**01:10** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ნიუ იორკი-ბოსტონი. I მატჩი.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ეფესი-ოლიმპიაკოსი. IV მატჩი.
**18:30** ტელეჟურნალი – FOOTBALL MUNDIAL
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ლივერპული-ჩელსი (LIVE).
**21:00** ყველაზე სწრაფები.
**21:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-გოლდენ სტეიტი. I მატჩი.
**23:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. სან ანტონიო-ლეიკერსი. I მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო.
**15:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მონტე კარლო (LIVE).
**18:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ბოსტონი.
**20:45** NBA ACTION.
**21:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მონტე კარლო.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 13 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 20 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 15 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 8 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 9 | 17 | (მზე) |
| გორი | 8 | 16 | (მზე) |
| თელავი | 8 | 13 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 7 | 12 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -4 | 7 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -4 | 8 | (მზე) |
| ბორჯომი | 4 | 14 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | -5 | 12 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1676 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6567 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2660 |

ჩოგბურთი

მონაკოს მასტერსი


რაფა ნადალი

# ნადალსაც გაუჭირდა

გუშინ, მონაკოს მასტერსზე მეოთხედფინალური ეტაპის მატჩები გაიმართა. პირველი სეტი წააგო ტურნირზე მთავარმა ფავორიტმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, რაც მონტე კარლოში იშვიათად ხდება - 2005 წლიდან დღემდე, რაფამ აქ მხოლოდ ექვსი პარტია დათმო.

ნადალი **გრიგორ დიმიტროვს** ეთამაშებოდა და პირველი სეტი ისე იოლად მოიგო, რომ ყველას ეგონა - 21 წლის ბულგარელს განადგურება არ ასცდებოდა, მაგრამ დიმიტროვი სრულად აკონტროლებდა სიტუაციას მეორე სეტსა და მესამე პარტიის დიდ ნაწილში. მან გაათანაბრა სეტებს შორის ანგარიში და თანაბრად იბრძოდა გადამწყვეტ პარტიაში, მაგრამ 4:4-ზე რაფამ ბრეიკი გააკეთა და მატჩზე ჩაწოდება შეძლო - 6:2, 2:6, 6:4.

დღეს, ნახევარფინალში ნადალის მეტოქე იქნება ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელმაც ასევე სამ სეტში მოუგო **ენდი მარეის** მძლეველს, შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას** - 2:6, 6:3, 6:4. ნადალსა და ცონგას შორის ურთიერთშეხვედრებში ანგარიში ესპანელის სასარგებლოდაა - 7:3.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალური წყვილი შეადგინეს იტალიელმა **ფაბიო ფონინიმ** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. მონტე კარლოში გრძელდება ფონინის ბრწყინვალე გამოსვლა. მან ზედიზედ მეორე ჩოგბურთელი დაამარცხა TOP10-დან - წინა დღეს **ტომაშ ბერდიხს** სძლია, ახლა კი **რიშარ გასკე** გაუშვა შინ. თან აპენინელმა ორივე მატჩი ისე მოიგო, რომ სეტი არ დაუთმია.

გასკესთან მატჩში ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო, როცა 4:5-ზე ფონინის სეტბოლის მოგერიებამ მოუწია, შემდეგ კი ტაი-ბრეიკზე „მშრალი" ანგარიშით გაიმარჯვა, მეორე სეტში კი ფაბიომ ორი ბრეიკის ხარჯზე მოიგო და პირველი იტალიელი გახდა **ანდრეა გაუდენცის** შემდეგ (1995), ვინც მონტე კარლოს ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

რაც შეეხება ნოვაკ ჯოკოვიჩს, მან პირველად არ ანერვიულა ამ ტურნირზე თავისი გულშემატკივრები და მატჩი სეტის წაუგებლად მოიგო. თუმცა სერბის თამაში მოწოდებაზე მაინც შორს არის იდეალურისგან, რადგან მისმა გუშინდელმა მეტოქემ - **იარკო ნიემინენმა** სამი ბრეიკის გაკეთება შეძლო. თავად სერბმა ექვსჯერ აილო მეტოქის მოწოდება - 6:4, 6:3.

### 1/4 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:4, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:2, 2:6, 6:4; **ფაბიო ფონინი (იტა)**-რიშარ გასკე (საფ, 7) 7:6(0), 6:2; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-სტანისილას ვავრინკა (შვეიც, 13) 2:6, 6:3, 6:4.

### 1/4 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ფონინი; ნადალი (3)-ცონგა (6).

ტრაგედიის შემდეგ

# ბოსტონი ჩეჩნებმა ააფეთქეს

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიცია ბოსტონის მარათონის დროს მომხდარი ტერაქტის გამოძიებას აგრძელებს.

როგორც სააგენტო AP იტყობინება, ამ აფეთქებაში ეჭვმიტანილნი არიან ამერიკაში რუსეთიდან ჩასული ჩეჩნები - 19 წლის **ჯოხარ ცარნაევი** და მისი 26 წლის ძმა - **ტამერლანი**. ეს უკანასკნელი ორი დღის წინ, ღამით პოლიციასთან დაპირისპირებაში დაიღუპა მას შემდეგ, რაც ცარნაევებმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე ჩაცხრილეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი. ჯოხარ ცარნაევმა გაქცევა მოახერხა. ბოსტონის ტერაქტებთან დაკავშირებით კიდევ სამი ადამიანია დაკავებული, თუმცა მათ გვარებს არ ასახელებენ.

ჯოხარ ცარნაევზე ძებნაა გამოცხადებული. ბოსტონსა და მის გარეუბნებში გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები. მოსახლეობას ურჩევენ, თავი შეიკავონ სახლების დატოვებისგან. გაჩერებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ტაქსების მოძრაობა.

პოლიციამ ალყა შემოარტყა სახლს, სადაც შეიძლება იმალებოდეს ცარნაევი. ამასთან, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, სად იმყოფება ამ მომენტისთვის ეჭვმიტანილი. ოპერაციის ადგილს პოლიცია აკონტროლებს. ტერიტორიაზე არ დაუშვეს ჟურნალისტები და აუკრძალეს მათ ეთერში პოლიციის გადაადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

როგორც გაირკვა, ჯოხარ ცარნაევი აშშ-ში ლეგალურად იმყოფებოდა და კემბრიჯის ერთ-ერთ სასწავლო დაწესებულებაში იღებდა განათლებას. უფრო მეტიც, მან სტიპენდია მიიღო და 2011 წელს, სასწავლებლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი თანამშრომელი **დონ ბორელი** აცხადებს, რომ ძმები ცარნაევები ბოლო დროს რელიგიურ ექსტრემიზმს ქადაგებდნენ. NBC-ს ეთერში ბორელიმ თქვა, რომ ცარნაევები უკავშირდებოდნენ რომელიღაც რადიკალურ დაჯგუფებას, რომელიც თურქეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოქმედებს.


ჯოხარ ცარნაევი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# გაიცანით, მწვრთნელი მარტინა

**ამ ცოტა ხნის წინათ ვწერდით იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ნომერმა, მარტინა ჰინსგმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი და რუსი ანასტასია პავლიუჩენკოვას მწვრთნელი გახდა....**

**- თქვენ გიცნობთ, როგორც დიად ჩოგბურთელს. რაში გამოიხატება მწვრთნელი მარტინა ჰინგისის ფილოსოფია?**

- რა თქმა უნდა, მესმის, რომ კარგი ჩოგბურთელი ყოველთვის არ ნიშნავს კარგ მწვრთნელს. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია იცოდე რას აკეთებ: უნდა გესმოდეს ვარჯიშების პროცესის, იცნობდე შენს შეგირდსა და მის მეტოქეებს. რაც შეეხება ჩემს ფილოსოფიას, მე ის უკვე ძალიან დიდი ხანია გადავიღე დედაჩემისგან, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. ის ბევრს მუშაობდა და ბავშვობიდან მიმახვედრა: თუ გინდა მწვერვალზე იყო, დროულად უნდა გააკეთო ის, რაც შენგან არის საჭირო. ვნახოთ, რამდენად გამომივა ეს მწვრთნელობისას. მხოლოდ დრო გვიჩვენებს ამას.

**- მას შემდეგ, რაც მეორედ დაასრულეთ პროფესიული კარიერა, რაღაც დროით ჩოგბურთიდან წახვედით. როდის მიხვდით, რომ დაბრუნების დრო იყო?**

- ეს დროში გაწელილი პროცესი იყო. ორი წლით მართლაც მთლიანად გამოვეთიშე საჩოგბურთო სამყაროს. შემდეგ საჩვენებელი მატჩების თამაში დავიწყე, შევქმენი საჩოგბურთო ტანსაცმლის საკუთარი ხაზი და მივხვდი, რომ ჩოგბურთი - ჩემი სახლია. ყველაზე კარგად იმას ვაკეთებ, რაც ჩოგბურთთან არის დაკავშირებული. სწორედ მან მასწავლა ცხოვრებაში ძირითადი ნიუანსები. მოგვიანებით კი ჩავერთე პატრიკ მურატოგლუს აკადემიის საქმეებში: თავიდან^ უბრალოდ მოთამაშეების კონსულტანტი ვიყავი, ახლა კი დამოუკიდებელი მწვრთნელი ვხდები.

**- ბევრს აინტერესებს, მართლა იგეგმებოდა თუ არა ლონდონის ოლიმპიადის მიქსტში თქვენი და როჯერ ფედერერის გამოსვლა?**

- როჯერმა დამირეკა გასულ წელს, რაც, რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო ჩემთვის. მე მას ვუთხარი: "მართლა მიგაჩნია, რომ დიდხნიანი უთამაშებლობის შემდეგ, შემიძლია შენთან ერთად მიქსტის თამაში?" მაგრამ შემდეგ დავფიქრდი ამასთან დაკავშირებით. იმ პერიოდში მონაწილეობას ვიღებდი ამერიკულ ტურნირში - Team Tennis-ში და ძველებურად ვამარცხებდი ჩოგბურთელებს, რომლებიც 50-60-ე ადგილებს იკავებდნენ რეიტინგში. ამასთან, წყვილებსა და მიქსტში ყოველთვის გამომდიოდა თამაში. მაგრამ, საბოლოოდ მივხვდი, რომ ნახევარი წელი მომქანცველი ვარჯიშები მხოლოდ ოლიმპიადის მიქსტისთვის - მეტისმეტი იქნებოდა.

## საჩოგბურთო ვარსკვლავები, რომლებიც მწვრთნელები გახდნენ

### ივან ლენდლი (აშშ)

94 ტიტული ერთეულებში (8 - „დიდი სლემის" ტურნირებზე). მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი.

2011 წლის 31 დეკემბრიდან **ენდი მარეის** მწვრთნელი. ლენდლის ხელმძღვანელობით, მარეიმ ავსტრალიის ღიასა (2011) და უიმბლდონის (2012) ფინალამდე მიაღწია, რის შემდეგაც მოიგო ოლიმპიადა და აშშ-ის ღია პირველობა. ისევე როგორც **ლენდლმა**, ბრიტანელმაც „დიდ სლემზე" თავისი პირველი ტიტული მას შემდეგ მოიგო, რაც ოთხჯერ დამარცხდა ფინალში.

### ჯიმი კონორსი (აშშ)

109 ტიტული ერთეულებში (8 - „დიდი სლემის" ტურნირებზე). მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი.

2006 წლის 24 ივნისიდან ავარჯიშებდა მსოფლიოს ყოფილი პირველ ჩოგანს **ენდი როდიკს**, რომელმაც ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მაშინვე მოიგო ცინცინატის მასტერსი და კარიერაში მეორედ მიაღწია აშშ-ის ღიას ფინალამდე. 2007 წლის სეზონის დიდი ნაწილი ამერიკელი მსოფლიოს რეიტინგის პირველ ხუთეულში იმყოფებოდა. მაგრამ, 2008 წლის 6 მარტს გამოცხადდა **კონორსთან** თანამშრომლობის დასრულების შესახებ.


მარტინა ჰინგისი

### ტონი როჩი (ავსტრალია)

26 ტიტული ერთეულებში (1 - „დიდი სლემის" ტურნირებზე). რეიტინგის ყოფილი მე-2 ნომერი.

ერთეულებში 1966 წლის როლან გაროსის გამარჯვებული და წყვილებში ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ისტორიაში. მან სამწვრთნელო კარიერაშიც ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია. **ტონის** შეგირდები იყვნენ ივან ლენდლი, **პატრიკ რაფტერი, ლეიტონ ჰიუიტი, როჯერ ფედერერი**... ამასთან, რაფტერმა როჩთან თანამშრომლობის დაწყებიდან ერთი წლის თავზე მოიპოვა რეიტინგში ლიდერობა. საინტერესოა, რომ ლენდლმა როჩი უიმბლდონის მოსაგებად დაიქირავა, მაგრამ მაინც ვერ აისრულა ოცნება, ფედერერმა კი როლან გაროსზე წარმატებისთვის, რაც აასრულა კიდეც 2009 წელს (მაშინ როჩი შვეიცარიელს აღარ ავარჯიშებდა).

### პანა მანდლიკოვა (ავსტრალია)

27 ტიტული ერთეულებში (4 - „დიდი სლემის" ტურნირებზე). რეიტინგის ყოფილი მე-3 ნომერი.

ცხრა წლის განმავლობაში ავარჯიშებდა ჩეხ **იანა ნოვოტნას**, რომელიც 1997 წელს მსოფლიოს მეორე ჩოგანი გახდა, 1998-ში კი უიმბლდონი მოიგო.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608